

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი
სამართლის სამაგისტრო პროგრამა



სამაგისტრო ნაშრომი თემაზე:

ნაკლიანი შესრულების თანმდევი მეორადი მოთხოვნის უფლებათა
კონკურენცია და ვალდებულების შესრულებაზე ორიენტირების
ხარისხი (ქართული სამართლისა და ვენის კონვენციის მიხედვით)

თემის ავტორი: ანა ხუციშვილი

თემის ხელმძღვანელი: ნათია ჩიტაშვილი, სამართლის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი.

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

თბილისი
2019

სარჩევი

აბრევიატურები.....	4
I. შესავალი.....	6
II. მეორადი მოთხოვნის უფლებათა წარმოშობა.....	9
1. ვალდებულების დარღვევა.....	9
აა. ნივთობრივი ნაკლი.....	12
1. ქართული სამართლის მიხედვით.....	12
2. ვენის კონვენციის მიხედვით.....	14
ა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მახასიათებლების შესაბამისი ნივთი.....	14
ბ. ჩვეულებრივი გამოყენებისთვის გამოსადეგი ნივთი.....	15
ბბ. უფლებრივი ნაკლი.....	16
1. ქართული სამართლის მიხედვით.....	16
2. ვენის კონვენციის მიხედვით.....	16
ა. უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთის მიწოდების ვალდებულება ვენის კონვენციის 41-ე მუხლის მიხედვით.....	17
ბ. უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთის მიწოდების ვალდებულება ვენის კონვენციის 42-ე მუხლის მიხედვით.....	18
2. შეტყობინების ვალდებულება.....	18
2.1. შეტყობინების ვალდებულება ვენის კონვენციის მიხედვით.....	19
2.2. შეტყობინების ვალდებულება სსკ-ს მიხედვით.....	20
III. უპირატესად გამოსაყენებელი მეორადი მოთხოვნის უფლება.....	22
1. დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის უფლება სსკ-ს მიხედვით.....	23
1.1. დამატებითი შესრულების სახეები.....	24
1.2. ვადის დაწესების ამაოება.....	25
2. რეალური შესრულების მოთხოვნა, როგორც უპირატესი სამართლებრივი დაცვის საშუალება (ვენის კონვენციის მიხედვით).....	26
ა. ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება მყიდველის მიერ.....	27
აა. ვალდებულების შესრულების მოთხოვნა ვენის კონვენციის 46 (1) მუხლის საფუძველზე.....	29
ბბ. ნაკლიანი ნივთის შეცვლა უნაკლოთი.....	30
1. ხელშეკრულების ფუნდამენტური დარღვევის ცნება.....	32
2. მოთხოვნის წარდგენის ვადა.....	34
გგ. ნაკლის გამოსწორების მოთხოვნა.....	35
ბ. გამყიდველის სამართლებრივი დაცვის საშუალებები.....	36
გ. დამატებითი ვადის დაწესება.....	37

დ. გამყიდველის უფლება გამოასწოროს ნაკლი (Right to Cure).....	40
ე. რეალური შესრულების მოთხოვნის გამორიცხვა ვენის კონვენციის 28-ე მუხლის საფუძველზე	41
IV. ფასის შემცირების მოთხოვნა.....	44
ა. ფასის შემცირების მოთხოვნა სსკ-ს მიხედვით	44
ბ. ფასის შემცირების მოთხოვნა ვენის კონვენციის მიხედვით.....	45
გ. ფასის შემცირებისა და სხვა მეორადი მოთხოვნის უფლებათა კონკურენცია	47
V. ხელშეკრულებიდან გასვლა.....	50
ა. ხელშეკრულებიდან გასვლის ცნება	50
ბ. ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები და შედეგები ქართული სამართლის მიხედვით	52
გ. ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები და შედეგები ვენის კონვენციის მიხედვით.....	53
დ. ხელშეკრულებიდან გასვლის მიმართება სხვა მეორადი მოთხოვნის უფლებებთან.....	56
1. სსკ-ს მიხედვით	56
2. ვენის კონვენციის მიხედვით	57
აა. მყიდველის სამართლებრივი დაცვის საშუალებების კონკურენცია	57
ბბ. გამყიდველის სამართლებრივი დაცვის საშუალებების კონკურენცია	58
VI. ზიანის ანაზღაურება	59
ა. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ქართული სამართლის მიხედვით	59
აა. ზიანის ანაზღაურების დაკისრების წინაპირობები	60
1. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სსკ-ს 394-ე მუხლის მიხედვით	60
2. დამატებითი ვადის დაწესება.....	61
3. დამატებითი ვადის დაწესების საჭიროების არარსებობა.....	61
ბბ. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გამომრიცხავი გარემოებები	62
ბ. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვენის კონვენციის მიხედვით	62
გ. ზიანის ანაზღაურების და სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებების ურთიერთმიმართება.....	63
VII. დასკვნა.....	66
ბიბლიოგრაფია.....	71

აბრევიატურები

ქართულ ენაზე:

ა.შ. – ასე შემდეგ

გსკ – გერმანიის სამოქალაქო კოდექსი.

ე.ი. – ესე იგი

ვენის კონვენცია – საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია

იხ. – იხილეთ

რედ. – რედაქტორი

სსკ – საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

შეად. – შეადარეთ

უცხოურ ენებზე:

Ariz. J. Int'l & Comp. L. – Arizona Journal of International and Comparative Law

Art. – Article

Am. J. Comp. L. – American Journal of Comparative Law

Berkeley J. Int'l Law – Berkeley Journal of International Law

BGB – Bürgerliches Gesetzbuch, Code of Civil Law

CISG – United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods

Cor. Int'l L. J. – Cornell International Law Journal

Edin. L. Rev. – Edinburgh Law Review

J.L. & Com. – Journal of Law and Commerce

Int'l Bus. L. J. – International Business Law Journal

Int'l Tax & Bus. Law – International Tax & Business Lawyer

Iss. – Issue

J. Civ. L. Stud. – Journal of Civil Law Studies

No. – Number

Pace Int'l L. Rev. – Pace International Law Review

Para – Paragraph

PECL – Principles of European Contract Law

Tex. Int'l L. J. – Texas International Law Journal

UNIDROIT – International Institute for the Unification of Private Law

Unif. L. Rev. – Uniform Law Review

Vol. – Volume

I. შესავალი

როგორც წესი, ხელშეკრულების მხარეებისათვის ხელშეკრულების დადების ძირითადი მოტივაცია ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიღებაა. სამოქალაქო ბრუნვის კეთილსინდისიერი მონაწილეები სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლით სწორედ რეალური შესრულების¹ მიღებას ესწრაფვიან, თუმცა მათი მოლოდინები ყოველთვის არ მართლდება.

ზოგჯერ ხელშეკრულების ერთ-ერთი (ან ორივე) მხარე, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების „მსხვერპლი“ ხდება და ვერ იღებს იმ შესრულებას, რაც ხელშეკრულების თანახმად უნდა მიეღო. თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ დაზარალებული მხარე ვერ შეძლებს საკუთარი დარღვეული უფლებების აღდგენას. პირიქით, თითქმის ყველა არსებული მართლწესრიგი ითვალისწინებს სამართლებრივი დაცვის საშუალებებს, რომელთა გამოყენებაც ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში შეუძლია დაზარალებულ მხარეს.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული სამართლებრივი დაცვის საშუალების ძირითადი მიზანია ჩააყენოს დაზარალებული მხარე იმ სიტუაციაში, რომელშიც იგი იქნებოდა ხელშეკრულება რომ არ დარღვეულიყო², შესაძლოა, ზოგიერთი სამართლებრივი დაცვის საშუალებამ, სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალებასთან შედარებით, უკეთ უზრუნველყოს დაზარალებული მხარის შელახული ინტერესის აღდგენა. ამავდროულად, გათვალისწინებული უნდა იყოს ისიც, რომ დაზარალებული მხარის მიერ ამა თუ იმ სამართლებრივი დაცვის საშუალებისთვის მიმართვა, შეუსაბამოდ მძიმე ტვირთს არ უნდა აკისრებდეს ხელშეკრულების მეორე მხარეს. ყოველივე აღნიშნული წარმოშობს მეორად მოთხოვნათა შორის როგორც გამომრიცხავ, ასევე ალტერნატიულ კონკურენციას, ზოგიერთ შემთხვევაში კი სხვადასხვა მოთხოვნის კუმულაციურად არსებობაცაა შესაძლებელი.³

¹ რეალური (ნატურით) შესრულება წარმოადგენს ქმედების ფაქტობრივად განხორციელებას, მაგალითად, მოვალის მიერ კრედიტორისათვის ნივთის გადაცემა რეალური (ნატურით) შესრულებაა. იხ.: *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რომაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი*, თბილისი, 2014, 328; *ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი*, მეორე გამოცემა, თბილისი, 1999, 38.

² *Boghossian N., A Comparative Study of Specific Performance Provisions in the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, 1999-2000*, 6, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/boghossian.html>>, [17.06.2019].

³ *ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში*, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2010, 56, <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/sofio_chachava.pdf>, [10.05.2019].

წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა (შემდგომში – სსკ) და „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის⁴ (შემდგომში – ვენის კონვენცია) შესაბამისი ნორმების შედარებით-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, სწორედ იმ სამართლებრივი დაცვის საშუალებების – მეორადი მოთხოვნის უფლებების, და მათ შორის არსებული კონკურენციის, განხილვა წარმოადგენს, რომლებიც ხელშეკრულების პირველადი ვალდებულების დარღვევის დროს წარმოემოხება დაზარალებულ მხარეს. ამავე დროს, წარმოდგენილი ნაშრომის ფარგლებში შეფასდება თუ რამდენად უზრუნველყოფს აღნიშნული სამართლებრივი დაცვის საშუალებები დაზარალებული მხარის თავდაპირველი ინტერესის – მიიღოს რეალური შესრულება, დაცვას.

შედარებით-სამართლებრივი მიზნებისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან ერთად ვენის კონვენციის შერჩევა მისმა უნივერსალურმა ხასიათმა განაპირობა. წარმოადგენს რა ვენის კონვენციის მთავარ მიზანს სხვადასხვა სამართლებრივი სისტემებისთვის დამახასიათებელი განსხვავებული მიდგომების შემცირების გზით საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ კანონმდებლობის ჰარმონიზება⁵, იგი სულ უფრო და უფრო მზარდ მნიშვნელობას იძენს საერთაშორისო ნასყიდობის სამართალში. ამ ფონზე მნიშვნელოვანია იმის გარკვევა თუ რამდენად შეესაბამება აღნიშნულ სფეროში ვენის კონვენციით აღიარებულ სტანდარტს ქართული კანონმდებლობა, შეუძლია თუ არა დაზარალებულ მხარეს სსკ-ს საფუძველზე მიმართოს ისეთი სამართლებრივი დაცვის საშუალებებს, რომლებიც აღიარებულია საერთაშორისო ნასყიდობის სამართალში, როგორც მეორადი მოთხოვნის უფლებათა შიდა იერარქია ვენის კონვენციის მიხედვით და რა

⁴ *ib.* United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) 1980, <<https://www.uncitral.org/pdf/english/texts/sales/cisg/V1056997-CISG-e-book.pdf>>, [29.06.2019].

⁵ *Honnold J. O.*, Uniform Law for International Sales under the 1980 United Nations Convention, 3rd edition, 1999, 15, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/honnold.html>>, [21.05.2019]; *Magnus U.*, The Vienna Sales Convention (CISG) between Civil and Common law – Best of all Worlds? *J. Civ. L. Stud.*, Vol. 3, No. 1, 2010, 70, <<https://digitalcommons.lsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1023&context=jcls>>, [12.06.2019]; *Kabik M.*, Through the Looking-Glass: International Trade in the Wonderland of the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, *INT'L TAX & BUS. LAW.*, Vol. 9, Iss. 2, 1992, 409-411, <<https://scholarship.law.berkeley.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1115&context=bjil>>, [14.06.2019]; *Karton J. D., de Germigny L.*, Has the CISG Advisory Council Come of Age, *Berkeley J. Int'l Law*, Vol. 27, Iss. 2, 2009, 449, <<https://scholarship.law.berkeley.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1372&context=bjil>>, [14.06.2019]; *Bailey J. E.*, Facing the Truth: Seeing the Convention on Contracts for the International Sale of Goods as an Obstacle to a Uniform Law of International Sales, *Cor. Int'l L. J.*, Vol. 32, Iss. 2, 1999, 274, <<https://scholarship.law.cornell.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1443&context=cilj>>, [21.05.2019].

თავისებურებებით ხასიათდება მათ შორის არსებული ალტერნატიული თუ ურთიერთგამომრიცხავი კონკურენცია.

სსკ-სა და ვენის კონვენციის შესაბამისი ნორმების შედარებით-სამართლებრივ ჭრილში განხილვა, სასამართლო პრაქტიკის ანალიზის პარალელურად, შესაძლებლობას მოგვცემს პასუხი გავცეთ ზემოაღნიშნულ კითხვებს და შევაფასოთ ეწინააღმდეგებიან თუ არა ერთმანეთს მოცემული ორი სამართლებრივი აქტის დებულებები.

იმის გათვალისწინებით, რომ ვენის კონვენცია გამოიყენება საქონლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების მიმართ, წინამდებარე კვლევის მიზნებისათვის განხილული იქნება ის მეორადი მოთხოვნის უფლებები და სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომლებსაც ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა წარმოშობს.

დასახული მიზნის მისაღწევად გამოყენებული იქნება შედარებითი და ანალიტიკური კვლევის მეთოდები.

ნაშრომი შვიდი თავისაგან შედგება: პირველი თავი ეთმობა შესავალს, რომელშიც ხაზგასმულია საკითხის აქტუალობა, გამოკვეთილია დასახული მიზანი, კვლევის ფარგლები და მეთოდი; მეორე თავში განხილულია მეორადი მოთხოვნის უფლებათა წარმოშობის საფუძვლები; მესამე თავი ეთმობა ვალდებულების რეალური შესრულების, როგორც უპირატესად გამოსაყენებელი მეორადი მოთხოვნის უფლებას; მეოთხე თავი – ფასის შემცირების მოთხოვნას; მეხუთე თავი – ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი დაცვის საშუალებას; მეექვსე თავი – ზიანის ანაზღაურების

⁶ ვენის კონვენციის გამოყენებისთვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: ხელშეკრულების მხარეების საქმიანობის ადგილი უნდა იყოს სხვადასხვა ქვეყანაში; აღნიშნული ქვეყნები მიერთებულნი უნდა იყვნენ კონვენციას ან მათი საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების თანახმად, გამოყენებული უნდა იქნეს ვენის კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოს სამართალი; ხელშეკრულება უნდა ეხებოდეს საქონლის ყიდვა-გაყიდვას და ხელშეკრულება გაფორმებული უნდა იყოს მას შემდეგ, რაც ხელშეკრულების მხარეების სახელმწიფოები მიუერთდნენ ვენის კონვენციას. იხ.: *Van Alstine M. P., Consensus, Dissensus, and Contractual Obligation Through the Prism of Uniform International Sales Law, 1996, 10, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/alstine3.html>>*, [16.06.2019]; იხ. ასევე Cist art. 1. ამასთან, როდესაც საქმე ეხება საკითხს, რომელთან მიმართებითაც გამოყენებული უნდა იქნეს ვენის კონვენცია, თუმცა ეს უკანასკნელი არ შეიცავს ამ საკითხის მარეგულირებელ დებულებებს, მოქმედებს ვენის კონვენციის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, ამგვარი საკითხები გადაიჭრება იმ ზოგადი პრინციპების შესაბამისად, რომელთაც კონვენცია ემყარება, ხოლო თუ ასეთი პრინციპები არ არსებობს – სამართლის შესაბამისად, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების თანახმად. იხ.: *Andersen C.B., General Principles of the CISG – Generally Impenetrable? 2008, 16, <<http://cisgw3.law.pace.edu/cisg/biblio/andersen6.html>>*, [13.06.2019].

მოთხოვნას; მეშვიდე თავში მოცემულია დასკვნა, სადაც შეჯამებულია კვლევის შედეგები და ასახულია საკანონმდებლო რეკომენდაციები.

II. მეორადი მოთხოვნის უფლებათა წარმოშობა

მეორადი მოთხოვნის უფლებები პირველადი მოთხოვნის უფლებათა ადგილს ამ უფლებათა დარღვევის შემთხვევაში იკავებს⁷, შესაბამისად, მეორადი მოთხოვნის უფლებათა წარმოშობას ვალდებულების დარღვევა – ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება⁸ განაპირობებს. ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება ვალდებულების წარმოშობის ყველაზე გავრცელებულ საფუძველს წარმოადგენს,⁹ სსკ მას ვალდებულების წარმოშობის ერთადერთ საფუძველად არ მიიჩნევს და ადგენს, რომ ვალდებულება შესაძლოა წარმოიშვას ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველებიდან, ასევე წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას (სსკ-ს 317-ე მუხლი), აქედან გამომდინარე, მეორადი მოთხოვნის უფლებების წარმოშობის საფუძველი შესაძლოა არასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევაც იყოს.¹⁰

მეორადი მოთხოვნის უფლებათა განხორციელებას გამორიცხავს ასეთი მოთხოვნის ხანდაზმულობა. ამასთან, რამდენადაც ნასყიდობის თავში მოცემული არ არის ამ საკითხის მოწესრიგება, მეორადი მოთხოვნების ხანდაზმულობის შესაფასებლად გამოიყენება სსკ-ს 129-ე მუხლი.¹¹

1. ვალდებულების დარღვევა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილი ხელშეკრულების მხარეებს აკისრებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შესრულების ვალდებულებას. ვალდებულების შესრულება მოვალის მიერ იმ მოქმედების შესრულება ან მოქმედებისაგან თავის

⁷ ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2010, 57, <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/sofio_chachava.pdf>, [10.05.2019].

⁸ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 1999, 55.

⁹ თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, 15.

¹⁰ ბაჩიაშვილი ვ., დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 160-161.

¹¹ იქვე, 170; იხ. ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 7 ივლისის განჩინება საქმეზე: №ას-681-635-2017.

შეკავებაა, რომლის მოთხოვნის უფლებაც აქვს კრედიტორს.¹² სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვალდებულების შესრულებას აქვს ადგილი, როდესაც პირი აკეთებს იმას, რისი გაკეთებაც მას ხელშეკრულების თანახმად ევალება.¹³ ამის საპირისპიროდ, ვალდებულების შეუსრულებლობა, არასათანადო შესრულება, შესრულებისთვის განსაზღვრული ვადის გადაცილება და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა არაპირდაპირი მოვალეობების დარღვევა წარმოადგენს ვალდებულების დარღვევის შემთხვევებს.¹⁴ არაპირდაპირ ვალდებულებას განეკუთვნება სსკ-ს 316-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულება, ასევე სსკ-ს 318-ე მუხლით განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება.¹⁵

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, სამეცნიერო ლიტერატურაში ვალდებულების დარღვევის ცნების არაერთი განმარტება არსებობს, მაგრამ თავად სსკ არ განსაზღვრავს ვალდებულების დარღვევის ერთიან ცნებას, ამასთან, დარღვევის ცალკეული სახეების საკანონმდებლო მოწესრიგება გაზნეულია სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულებების მომწესრიგებელ ნორმებში.¹⁶

სსკ-ს 477-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იმისათვის, რომ გამყიდველმა შეასრულოს ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი პირველადი ვალდებულება, უნდა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი, ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი, მყიდველს შეთანხმებული ფასის გადახდისა¹⁷ და ნაყიდი ქონების მიღების ვალდებულება ეკისრება. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ გამყიდველის მოვალეობა მხოლოდ ნასყიდობის საგნის მყიდველისთვის გადაცემით არ შემოიფარგლება და სსკ-ს 487-ე მუხლის საფუძველზე იგი მოვალეა მყიდველს ნივთობრივად და

¹² ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 1999, 37.

¹³ თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, 92.

¹⁴ ჩაჩავა ს., მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, 50.

¹⁵ იქვე, 51.

¹⁶ ჩიტაშვილი ნ., მეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2014, 263, <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/natia_chitashvili.pdf>, [12.05.2019];

¹⁷ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 24 ნოემბრის განჩინება საქმეზე: № ას-859-825-2016; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-793-760-2016; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 იანვრის განჩინება საქმეზე: №ას-671-642-2016.

უფლებრივად უნაკლო ნივთი გადასცეს.¹⁸ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხელშეკრულების მხარეს მის მიერ ნაკისრი მოვალეობებისაგან ვალდებულების მხოლოდ ჯეროვნად შესრულება ათავისუფლებს. ის თუ რა მიიჩნევა ხელშეკრულების მიზნებისათვის ჯეროვან შესრულებად, განისაზღვრება ხელშეკრულების მხარეების მიერ. იმის გასარკვევად, გამყიდველმა ჯეროვნად შეასრულა თუ არა მის მიერ ნაკისრი ვალდებულება, უნდა დადგინდეს, შეესაბამება თუ არა მიწოდებული საქონელი შეთანხმებულ ხარისხს.¹⁹ თუ მხარეთა მიერ ნასყიდობის საგნის ხარისხი შეთანხმებული არ არის, აღნიშნული საკითხი რეგულირდება კანონმდებლობით²⁰ და მოვალე ვალდებულია შეასრულოს, სულ ცოტა, საშუალო ხარისხის სამუშაო და გადასცეს საშუალო ხარისხის ნივთი²¹.

სსკ-ს 477-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების ანალოგიურ დათქმებს შეიცავს, შესაბამისად, ვენის კონვენციის 30-ე და 53-ე მუხლები, რომელთა თანახმად, გამყიდველის ძირითადი მოვალეობაა მიაწოდოს საქონელი, ხოლო მყიდველი ვალდებულია გადაიხადოს მიწოდებული პროდუქციის ღირებულება. ამავე დროს, აღნიშნული ძირითადი ვალდებულებების გარდა, სსკ-ს მსგავსად, ვენის კონვენცია განსაზღვრავს სხვა მოვალეობებს, რომელთა შესრულება ასევე ეკისრებათ ხელშეკრულების მხარეებს, მაგალითად, საქონლის მიწოდების გარდა, მყიდველს აქვს უფლება გამყიდველისაგან მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტების მიწოდება, საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა და ა.შ.²²

სსკ-ს მსგავსად, ვენის კონვენციის მიხედვითაც, ხელშეკრულების დარღვევას წარმოადგენს კონტრაქტორის მხრიდან მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა.²³ ამასთან, ვენის კონვენცია ვალდებულების დარღვევად მიიჩნევს ხელშეკრულებით

¹⁸ ჩაჩავა ს., მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, 49.

¹⁹ მესხიშვილი მ., ნივთობრივი ნაკლის ცნება გერმანულსა და ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, 32.

²⁰ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 374.

²¹ იხ. სსკ-ს 380-ე მუხლი.

²² Herman S., Specific Performance: a Comparative Analysis, Edin. L. Rev., Vol. 7, Iss. 1, 2003, 195, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/herman1.html>>, [22.06.2019].

²³ Blase F., Hötter P., Remarks on the Damages Provisions in the CISG, Principles of European Contract Law (PECL) and UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (UPICC), 2004, § 2(a), <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/blase3.html>>, [25.06.2019].

გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობას, მიუხედავად იმისა, არის იგი ძირითადი ვალდებულება, თუ – დამხმარე.²⁴

ვენის კონვენციის თანახმად, გამყიდველის მხრიდან ვალდებულების დარღვევას აქვს ადგილი, როდესაც ვალდებულება სრულდება: 1. ხელშეკრულებით დადგენილი წესისგან განსხვავებულად (საქონელი შეფუთულია განსხვავებულად ან ტრანსპორტირებულია შეუსაბამო საშუალებით); 2. მხარეთა შეთანხმებულისგან განსხვავებულ დროს (დათქმულ დრომდე ან დათქმული დროის შემდეგ); 3. შესრულება განსხვავდება ხელშეკრულებით განსაზღვრულისაგან; 4. შესრულება არ ხორციელდება ხელშეკრულებით შეთანხმებულ ადგილზე; 5. საქონელი არ შეესაბამება დათქმულ ოდენობას; 6. შესრულებას აქვს უფლებრივი ნაკლი; 7. პირველადი ვალდებულების შესრულებისას, მოვალე არღვევს დამხმარე ვალდებულებას და 8. ვალდებულების დარღვევის სხვა შემთხვევები, რომლებიც ასეთად მიიჩნევა კანონის შესაბამისად.²⁵ მყიდველის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევებს კი განეკუთვნება: საქონლის ფასის გადაუხდელობა, ფასის დაგვიანებული გადახდა, საქონლის მიღებაზე უარის თქმა ან დაგვიანებით მიღება.²⁶

აა. ნივთობრივი ნაკლი

სსკ-ს 488-ე მუხლი და ვენის კონვენციის 35-ე მუხლი განსაზღვრავს გამყიდველის ვალდებულებას გადასცეს მყიდველს ნივთობრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი.

1. ქართული სამართლის მიხედვით

სსკ განსაზღვრავს, რომ საქონელი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეთანხმებული ხარისხისაა. იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულებით შეთანხმებული არ არის ნივთის ხარისხი, მაშინ ნივთი უნაკლოდ ჩაითვლება, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი

²⁴ *Enderlein, F.*, Rights and Obligations of the Seller under the UN Convention on Contracts for the International Sale of Goods, 1996, 188, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/enderlein1.html>>, [09.06.2019].

²⁵ *Martinez Calcerrada L.*, Cumplimiento defectuoso de la prestación (Su inclusión en la 'Contravención' o cuarta causa del artículo 1.101 del Código Civil). In: Revista Crítica de Derecho Inmobiliario, 1976, 1335, 1395, მითითებულია: *Cerqueira G.*, Defective Performance in Contracts for International Sale of Goods : A comparative analysis between the Brazilian Law and the 1980 United Nations Convention on Contracts for the International Sales of Goods, 2005, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/cerqueira.html>>, [22.06.2019].

²⁶ *Schlechtriem P.*, Damages, avoidance of the contract and performance interest under the CISG, 2005, 3, <<https://pdfs.semanticscholar.org/ed9b/a6bed0650a64970688709c05d505a9fee84b.pdf>>, [14.05.2019].

სარგებლობისათვის. ამავე დროს, სსკ იცნობს ნივთობრივ ნაკლთან გათანაბრებულ შემთხვევებსაც და ადგენს, რომ ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ გამყიდველი გადასცემს ნივთის მხოლოდ ერთ ნაწილს, სულ სხვა ნივთს ან პროდუქციის მცირე რაოდენობას. ნივთი ნაკლის მქონედ ჩაითვლება მაშინაც, თუ მისი მხოლოდ ერთი ნაწილია ნაკლის მქონე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნივთის ამგვარი ნაკლი არსებით გავლენას ვერ მოახდენს შესრულებაზე.²⁷

სსკ-ს მიხედვით, ნივთობრივი ნაკლის გამოსავლენად, თავდაპირველად, ნივთის შეთანხმებულ ხარისხთან შესაბამისობა უნდა შემოწმდეს, ხოლო თუ ხელშეკრულებით ნივთის ხარისხი არ არის განსაზღვრული, უნდა შეფასდეს ის, თუ რამდენად ამართლებს მიწოდებული საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობის მიზანს, რითაც სსკ სუბიექტურ თეორიას²⁸ ემხრობა.²⁹

ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, სსკ-ს 488-ე მუხლში მითითებული სიტყვა „ხარისხი“ ფართო მნიშვნელობით უნდა იქნას გაგებული და მან უნდა მოიცვას „თვისების“ მნიშვნელობაც, რამდენადაც, შესაძლოა, მარტოდენ სიტყვა „ხარისხმა“ სრულყოფილად ვერ აღწეროს მხარეთა მიერ შეთანხმებული მახასიათებლები: „შეთანხმებული ხარისხის ნივთს შეიძლება არ გააჩნდეს შეთანხმებული თვისება“.³⁰

რაც შეეხება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობის მიზანს, ამ შემთხვევაში უნდა შეფასდეს ის, თუ რამდენად გამოსადეგია მიწოდებული ნივთი იმ დანიშნულებისთვის, რომელიც მხარეებმა შეათანხმეს ან, რომლისთვისაც ჩვეულებრივ გამოიყენება აღნიშნული ნივთი.³¹ ზოგადად, მიჩნეულია, რომ ნივთი ჩვეულებრივი სარგებლობისთვის არ არის ვარგისი, თუ იგი იმდენად უხარისხოა, რომ შეუძლებელია მისი გამოყენება, ანდა მისი გამოყენებისთვის გარკვეული ხარჯების გაწევას საჭირო.³²

²⁷ იხ. სსკ-ს 488-ე მუხლი.

²⁸ *მესხიშვილი მ.*, ნივთობრივი ნაკლის ცნება გერმანულსა და ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, 10.

²⁹ *ბაჩიაშვილი ვ.*, დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 162.

³⁰ *ჩაჩავა ს.*, მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, 50.

³¹ იქვე, 49.

³² *მესხიშვილი მ.*, ნივთობრივი ნაკლის ცნება გერმანულსა და ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, 32.

2. ვენის კონვენციის მიხედვით

ვენის კონვენციის 35-ე მუხლი გამყიდველს ავალდებულებს მყიდველისთვის იმ ნიშან-თვისებების მქონე საქონლის მიწოდების ვალდებულებას, რაც შესაბამისობაში იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მახასიათებლებთან.³³

ა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მახასიათებლების შესაბამისი ნივთი

იმისათვის, რომ მიწოდებული საქონელი შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მახასიათებლებს, იგი თავისი რაოდენობით, ხარისხითა და აღწერით არ უნდა გასხვავდებოდეს იმისგან, რასაც მყიდველი სამართლიანად მოელოდა ხელშეკრულების საფუძველზე, ამასთან, საქონელი მომზადებული და შეფუთული უნდა იყოს შეთანხმებისამებრ.³⁴

ვენის კონვენციის 35-ე მუხლი, ზოგადად, ითვალისწინებს ოთხ შემთხვევას, როდესაც მიწოდებული საქონელი მიიჩნევა ნაკლიანად. საქონელი ნაკლიანია თუ: 1. იგი გამოუსადეგარია იმ მიზნებისათვის, რომლებისთვისაც ჩვეულებრივ გამოიყენება იმავე აღწერილობის საქონელი; 2. თუ იგი გამოუსადეგარია ნებისმიერი კონკრეტული მიზნისათვის, რომლის შესახებაც გამყიდველის პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით აცნობეს ხელშეკრულების დადების დროს, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარეობს, რომ მყიდველი არ ეყრდნობოდა ან არაგონივრული იყო დაყრდნობოდა გამყიდველის კომპეტენტურობასა და მსჯელობას; 3. მას არ გააჩნია იმ საქონლისთვის თვისებები, რომელიც გამყიდველმა შესთავაზა მყიდველს ნიმუშის ან მოდელის სახით; 4. თუ არ არის მომზადებული და შეფუთული ამ საქონლისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი წესით, რაც შეესაბამება ამ საქონლის შენახვისა და დაცვის მიზანს.

მიუხედავად ამისა, ვენის კონვენციის თანახმად, გამყიდველი პასუხს არ აგებს თუ ხელშეკრულების დადების დროს მყიდველმა იცოდა ან არ შეიძლება არ სცოდნოდა ნაკლის შესახებ. მაგალითად, თუკი გამყიდველი, ჩვეულებრივ, აწოდებდა მყიდველს ნაკლიან საქონელს, თუმცა ეს უკანასკნელი არ გამოთქვამდა პრეტენზიას აღნიშნულის თაობაზე ან თუკი

³³ *Bridge M., A Law for International Sales, 2007, 21, <<https://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/bridge3.html>>, [10.06.2019].*

³⁴ *ib. Cisg art. 35 (1).*

მყიდველმა იმ ოდენობის ფასი გადაიხადა, რაც, ჩვეულებრივ, ნაკლიანი საქონლისათვის გადაიხდებოდა.³⁵

ბ. ჩვეულებრივი გამოყენებისთვის გამოსადეგი ნივთი

მიწოდებული საქონელი გამოსადეგია ჩვეულებრივი გამოყენებისათვის თუ იგი არის ნორმალური ხარისხის, ე.ი., აკმაყოფილებს იმ ჩვეულებრივ მოთხოვნებს, რაც წაყენება ამ კონკრეტული სახეობის ნივთს და არ აქვს ისეთი ნაკლი, რომელიც ჩვეულებრივ არ უნდა ჰქონდეს ასეთ საქონელს. ნივთი არ შეესაბამება ჩვეულებრივი გამოყენების მიზანს, როდესაც ამა თუ იმ ნაკლის არსებობა აბრკოლებს აღნიშნული ნივთის მატერიალურ გამოყენებას ან გამოიწვევს ზედმეტ ხარჯებს. საქონელი ასევე გამოუსადეგარია ჩვეულებრივი გამოყენებისთვის მაშინაც, როდესაც, მიუხედავად იმისა, რომ ნაკლი ხელს არ უშლის ნივთის მატერიალურ გამოყენებას, იგი ამცირებს მის ფინანსურ ღირებულებას.³⁶

ჩვეულებრივი გამოყენებისთვის საქონლის შესაბამისობის სტანდარტი უნდა დადგინდეს გამყიდველის საქმიანობის ადგილზე არსებული სტანდარტის მიხედვით, რადგან მიიჩნევა, რომ გამყიდველი არ არის ვალდებული იცოდეს სხვა ქვეყნებში მოქმედი სპეციალური მოთხოვნებისა და შეზღუდვების შესახებ. ეს წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით მყიდველი სამართლიანად მიიჩნევდა, რომ გამყიდველი ფლობდა ასეთ ინფორმაციას. თუმცა ჩვეულებრივი გამოყენებისთვის საქონლის შესაბამისობის სტანდარტის გამყიდველის საქმიანობის ადგილზე არსებული სტანდარტის მიხედვით დადგენა, არ წარმოადგენს ერთადერთ მიდგომას. არსებობს განსხვავებული შეხედულებაც, რომლის თანახმად, ჩვეულებრივი სარგებლობისთვის ნივთის შესაბამისობა უნდა დადგინდეს იმ ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად, რომელშიც მყიდველი აპირებს საქონლის გამოყენებას.³⁷

ვენის კონვენციის თანახმად, მყიდველის პასუხისმგებლობას იწვევს საქონლის ნებისმიერი ნაკლი, რომელიც არსებობდა რისკის მყიდველზე გადასვლის მომენტში, მაშინაც კი, თუ ეს შეუსაბამობა მხოლოდ მოგვიანებით გამოაშკარავდება.³⁸

³⁵ Bianca C M., in Bianca C M., Bonell M J., Commentary on the International Sales Law: The 1980 Vienna Sales Law, Giuffrè: Milan, 1987, 279, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/bianca-bb35.html>>, [12.05.2019].

³⁶ იქვე, 274.

³⁷ Bianca C M., in Bianca C M., Bonell M J., Commentary on the International Sales Law: The 1980 Vienna Sales Law, Giuffrè: Milan, 1987, 274, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/bianca-bb35.html>>, [12.05.2019].

³⁸ იხ. Cisg art. 36.

ბბ. უფლებრივი ნაკლი

სსკ-ს 489-ე მუხლი და ვენის კონვენციის 41-42-ე მუხლები განსაზღვრავს გამყიდველის ვალდებულებას გადასცეს მყიდველს უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი.

1. ქართული სამართლის მიხედვით

სსკ-ს მიხედვით, უფლებრივად უნაკლოდ მიიჩნევა ნივთი, თუ მესამე პირს არ შეუძლია განუცხადოს მყიდველს პრეტენზია თავისი უფლებების გამო.³⁹ სსკ ასევე ითვალისწინებს ნივთის უფლებრივ ნაკლთან გათანაბრებულ შემთხვევასაც და განსაზღვრავს, რომ უფლებრივ ნაკლს უთანაბრდება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არარსებული უფლება.⁴⁰

ნაკლი არსებობს მიუხედავად იმისა, მოცემულ მომენტში მისი არსებობა აბრკოლებს თუ არა შემძენს საკუთარი უფლებების სრულყოფილად გამოყენების პროცესში.⁴¹

თუ მყიდველმა ნივთის შეძენისას იცოდა, რომ ნივთი დატვირთული იყო მესამე პირთა უფლებებით, მას ნივთის ნაკლის გამო შედავების უფლება აღარ ექნება.⁴²

უფლებრივი ნაკლის ნივთობრივი ნაკლისაგან მთავარი განმასხვავებელი ნიშანი პასუხიმგებლობის განსაზღვრის მომენტია. ნივთობრივი ნაკლისას ნივთის ნაკლი უნდა არსებობდეს რისკის გადასვლამდე, უფლებრივი ნაკლის შემთხვევაში კი ნაკლი სახეზე უნდა იყოს საკუთრების გადაცემამდე.⁴³

2. ვენის კონვენციის მიხედვით

გამყიდველის ვალდებულება მიაწოდოს მყიდველს უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი განსაზღვრულია ვენის კონვენციის 41-ე და 42-ე მუხლებით. აღნიშნული ვალდებულების ორ მუხლში ჩამოყალიბება განაპირობა სამრეწველო და ინტელექტუალური საკუთრებიდან

³⁹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-24-22-2013.

⁴⁰ ჩაჩავა ს., მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, 49.

⁴¹ ჩაჩავა ს., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge., 29.03.2016, მუხლი 489, ველი 4, <<http://www.gccc.ge/>>, [29.05.2019].

⁴² ჩაჩავა ს., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge., 29.03.2016, მუხლი 489, ველი 7, <<http://www.gccc.ge/>>, [29.05.2019].

⁴³ *Bamberger/Roth*, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band 1, 2. Auflage, München 2007, 1869, მითითებულია: *ბაჩიაშვილი ვ.*, დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 166.

გამომდინარე მესამე პირის მოთხოვნების განსხვავებამ სხვა უფლებების საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნებისაგან.⁴⁴

ა. უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთის მიწოდების ვალდებულება ვენის კონვენციის 41-ე მუხლის მიხედვით

ვენის კონვენციის 41-ე მუხლი ავალდებულებს გამყიდველს მყიდველისათვის მესამე პირების ნებისმიერი უფლებისა და მოთხოვნისაგან თავისუფალი ნივთის გადაცემას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მყიდველი თავად დათანხმდა მიეღო საქონელი, რომელიც დამძიმებული იყო ასეთი უფლებებითა და მოთხოვნებით. ამასთან, თუ ასეთი უფლებების ან მოთხოვნების საფუძველია სამრეწველო საკუთრება ან სხვა ინტელექტუალური საკუთრება, მაშინ გამყიდველის უფლებებს აწესრიგებს ვენის კონვენციის 42-ე მუხლი.⁴⁵

ვალდებულება, რომ მყიდველისათვის მიწოდებული საქონელი უნდა იყოს თავისუფალი მესამე პირთა მოთხოვნებისაგან, დარღვეულია არა მხოლოდ მაშინ, როდესაც მესამე პირებს ნივთის მიმართ აქვთ კანონიერი მოთხოვნები, არამედ მაშინაც, როდესაც მათ აქვთ თუნდაც ფიქტიური, კანონიერი ძალის არ მქონე მოთხოვნები. აღნიშნული მოსაზრება განპირობებულია იმით, რომ ასეთ მოთხოვნებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ ძვირადღირებული სამართალწარმოება და, შესაბამისად, დააზარალონ მყიდველი. ამიტომაც, ამ უკანასკნელს უნდა ჰქონდეს უფლება ასეთ შემთხვევაშიც მოითხოვოს კომპენსაცია გამყიდველისაგან.⁴⁶

თუ მესამე პირი საქონელთან დაკავშირებით წარადგენს მოთხოვნებს და მყიდველი აღნიშნულის თაობაზე გონივრულ ვადაში მას შემდეგ, რაც გაიგებს ან უნდა გაეგო ამ მოთხოვნების არსებობის შესახებ, შეატყობინებს გამყიდველს (ვენის კონვენციის 43-ე მუხლის შესაბამისად), ამ უკანასკნელს წარმოეშობა ვალდებულება თავად მოაგვაროს დავა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას.⁴⁷

⁴⁴ *Date-Bah S. K.*, in *Bianca C M., Bonell M J.*, Commentary on the International Sales Law: The 1980 Vienna Sales Law, Giuffrè: Milan, 1987, 317-318, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/date-bah-bb41.html>>, [12.05.2019].

⁴⁵ იხ. Cisg art. 41.

⁴⁶ *Date-Bah S. K.*, in *Bianca C M., Bonell M J.*, Commentary on the International Sales Law: The 1980 Vienna Sales Law, Giuffrè: Milan, 1987, 318, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/date-bah-bb41.html>>, [12.05.2019].

⁴⁷ იქვე.

ბ. უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთის მიწოდების ვალდებულება ვენის კონვენციის 42-ე მუხლის მიხედვით

გამყიდველი ვალდებულია მყიდველს მიაწოდოს საქონელი, რომელიც თავისუფალია მესამე პირების ნებისმიერი უფლებისაგან ან მოთხოვნისაგან, როდესაც მისი საფუძველი არის სამრეწველო ან სხვა ინტელექტუალური საკუთრება. ამასთან, აღნიშნული დათქმა მოქმედებს იმ შემთხვევაში თუ გამყიდველმა ხელშეკრულების დადების დროს იცოდა ან უნდა სცოდნოდა ამ უფლებებისა და მოთხოვნების იმ ქვეყნის კანონმდებლობით არსებობის შესახებ, სადაც საქონლის გადაყიდვას ან სხვაგვარად გამოყენებას ითვალისწინებდა ხელშეკრულება ან თუ ასეთ უფლებები და მოთხოვნები არსებობდა იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც განთავსებული იყო მყიდველის კომერციული საწარმო.⁴⁸

ზემოაღნიშნული მიდგომა განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: ინტელექტუალური საკუთრების უფლებები კონკრეტულ საქონელზე შესაძლოა დაცული იყოს ერთი სამართლებრივი სისტემით, მაგრამ სხვა სამართლებრივი სისტემა არ იცავდეს მათ. ამიტომაც, რთულია მსოფლიო მასშტაბით მოვაჭრე გამყიდველისთვის ისეთი გარანტიის გაცემა, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი არ დაარღვევს არც ერთი ქვეყნის საპატენტო უფლებებს. შესაძლოა, გამყიდველმა საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, კანონიერად გაყიდოს საქონელი, თუმცა საქონელს ჯერ კიდევ იცავდეს რომელიმე სხვა ქვეყნის კანონმდებლობა და სწორედ ამ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად ირღვეოდეს საპატენტო უფლებები. ასეთ შემთხვევაში გამყიდველისათვის მეტისმეტი ტვირთი იქნებოდა მყიდველის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების დაკისრება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ გამყიდველმა იცოდა, რომ მყიდველი სწორედ ამ ქვეყანაში შეიტანდა შემენილ პროდუქციას.⁴⁹

2. შეტყობინების ვალდებულება

იმისათვის, რომ ნაკლიანი ნივთის მიღებით დაზარალებულმა მყიდველმა შეძლოს მეორადი მოთხოვნის უფლებათა გამოყენება, იგი ვალდებულია ნივთის ნაკლის შესახებ დროულად აცნობოს გამყიდველს. მყიდველის აღნიშნული ვალდებულება გათვალისწინებულია როგორც ვენის კონვენციის დებულებებით, ასევე სსკ-ს შესაბამისი დათქმითაც.

⁴⁸ იხ. Cisg art. 42.

⁴⁹ *Date-Bah S. K.*, in *Bianca C M., Bonell M J.*, *Commentary on the International Sales Law: The 1980 Vienna Sales Law*, Giuffrè: Milan, 1987, 320-321, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/date-bah-bb42.html>>, [12.05.2019].

2.1. შეტყობინების ვალდებულება ვენის კონვენციის მიხედვით

ვენის კონვენცია აკისრებს მყიდველს გამყიდველისათვის საქონლის ნაკლის შესახებ შეტყობინების ვალდებულებას.⁵⁰ ამასთან, ასეთი შეტყობინება მყიდველის მიერ უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადაში და შესაბამისი ფორმით, წინააღმდეგ შემთხვევაში მყიდველი დაკარგავს ყველა იმ სამართლებრივი დაცვის საშუალებების: რეალური შესრულების, ზიანის ანაზღაურების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მოთხოვნის უფლებათა გამოყენების შესაძლებლობას, რომელსაც მას ვენის კონვენცია ანიჭებს⁵¹, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამყიდველმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა საქონლის ნაკლის შესახებ და არ აცნობა მყიდველს (ვენის კონვენციის 40-ე მუხლი) ან როდესაც ასეთი შეტყობინება ვერ განხორციელდა შესაბამისი, გონივრული მიზეზის გამო (ვენის კონვენციის 44-ე მუხლი).

გონივრული ვადის დასაწყისად მიჩნეულია ის მომენტი, როდესაც მყიდველმა აღმოაჩინა ან უნდა აღმოეჩინა, რომ მიწოდებული ნივთი იყო ნაკლის მქონე. ამიტომაც, ვენის კონვენციის 38-ე მუხლი ავალდებულებს მყიდველს შეამოწმოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მახასიათებლებთან საქონლის შესაბამისობა ისეთ მოკლე ვადაში, რომელიც პრაქტიკულად შესაძლებელია მისთვის ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე. აღნიშნული პროცედურა ვენის კონვენციამ გერმანიის სავაჭრო კოდექსიდან „ისესხა“.⁵²

ამასთან, ვენის კონვენცია ადგენს, რომ მყიდველი, ნებისმიერ შემთხვევაში, კარგავს უფლებას მიუთითოს საქონლის შეუსაბამობაზე, თუ იგი გამყიდველს არ გადასცემს შეტყობინებას ნივთის ნაკლის შესახებ არა უგვიანეს ორი წლისა იმ თარიღიდან, როდესაც საქონელი ფაქტობრივად გადაეცა მას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ვადა ეწინააღმდეგება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საგარანტიო ვადას.⁵³ მიუხედავად ამ დათქმისა, მყიდველმა ვენის კონვენციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის

⁵⁰ *Magnus U.*, The Vienna Sales Convention (CISG) between Civil and Common law – Best of all Worlds? J. Civ. L. Stud., Vol. 3, No. 1, 2010, 85, <<https://digitalcommons.law.lsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1023&context=jcls>>, [12.06.2019].

⁵¹ *Mullis A.*, Avoidance for Breach under the Vienna Convention; A Critical Analysis of Some of the Early Cases, 1998, 335, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/mullis1.html#iii>>, [4.06.2019]; *Schneider E. C.*, The Seller's Right to Cure under the Uniform Commercial Code and the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, Ariz. J. Int'l & Comp. L., Vol. 7, 1989-1990, 79, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/schneider.html>>, [24.04.2019].

⁵² *Magnus U.*, The Vienna Sales Convention (CISG) between Civil and Common law – Best of all Worlds? J. Civ. L. Stud., Vol. 3, No. 1, 2010, 85-86, <<https://digitalcommons.law.lsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1023&context=jcls>>, [12.06.2019].

⁵³ *ib.* Cisg art. 39 (2).

საფუძველზე⁵⁴ მაინც შეიძლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება თუკი დაამტკიცებს, რომ ნაკლი არსებობდა რისკის მყიდველზე გადასვლის მომენტში, მაგრამ მოგვიანებით გამოვლინდა. თუმცა, აღნიშნული მოსაზრების გასაბათილებლად შეიძლება ითქვას შემდეგი: რადგან ვენის კონვენციის 39-ე მუხლში მითითებულია, რომ მყიდველი „ნებისმიერ შემთხვევაში“ კარგავს საქონლის შეუსაბამობაზე მითითების უფლებას საქონლის მიღებიდან ორი წლის გასვლის შემდეგ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ვენის კონვენციის 36-ე მუხლის საფუძველზე დაკმაყოფილდეს მისი მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე.⁵⁵

ვენის კონვენციის 39-ე მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების ვალდებულება დაკმაყოფილებულია მაშინ, როდესაც მყიდველი გამყიდველს გარკვევით მიუთითებს თუ რაში გამოიხატება ნივთის ნაკლი და კონკრეტულად რა პრობლემა აქვს მიწოდებულ საქონელს.⁵⁶ აღნიშნული შეტყობინების მიზანია მისი გამყიდველს შესაძლებლობა, მყიდველის მიერ მოთხოვნის წარდგენის შემდეგ, აირჩიოს საქონლის შეცვლასა და ნაკლის გამოსწორებას (შეკეთებას) შორის.⁵⁷

2.2. შეტყობინების ვალდებულება სსკ-ს მიხედვით

ზემოაღნიშნულის ანალოგიურ მიდგომას იცნობს სსკ-ც, რომლის 495-ე მუხლის პირველი ნაწილი მყიდველს, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, აკისრებს ნივთის დაუყოვნებლივ შემოწმების ვალდებულებას. თუ მყიდველი ნაკლის აღმოჩენიდან შესაბამის ვადაში ან იმ ვადაში, რომლის განმავლობაშიც მას უნდა აღმოეჩინა ნაკლის არსებობა, პრეტენზიით არ მიმართავს გამყიდველს, მას წაერთმევა ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის წარდგენის უფლება.⁵⁸ საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა,

⁵⁴ ვენის კონვენციის 36 (1) მუხლი: „გამყიდველი პასუხისმგებელია ხელშეკრულებისა და ამ კონვენციის თანახმად საქონლის ნებისმიერ შეუსაბამობაზე, რომელიც არსებობდა იმ მომენტში, როდესაც რისკი გადადის მყიდველზე, მაშინაც კი, თუ ეს შეუსაბამობა მხოლოდ მოგვიანებით გამოაშკარავდება.“

⁵⁵ *Gonzalez O., Remedies under the U.N. Convention for the International Sale of Goods*, INT'L TAX & BUS. LAW., Vol. 2, Iss. 1, 1984, 90-91, <<https://scholarship.law.berkeley.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1013&context=bjil>>, [23.04.2019].

⁵⁶ *Andersen C.B., Comparative Analysis: Selected Notice Requirements under CISG, PECL and UNIDROIT Principles: CISG Arts. 39 & 26; UNIDROIT Principles Arts. 1.9, 3.14, 7.3.2.; PECL Arts. 1.303, 3.304, 4.112, 9.303, 13.104, 2004*, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/andersen2.html#cbaii>>, [16.06.2019].

⁵⁷ *Ferrari F., Tribunale di Vigevano: Specific Aspects of the CISG Uniformly Dealt With, 2001, 235-236*, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/ferrari6.html#vii>>, [13.06.2019].

⁵⁸ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 27 ოქტომბრის განჩინება საქმეზე: №ას-373-347-2017; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 ნოემბრის განჩინება საქმეზე: №ას-629-588-2017; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 15

რომ სსკ-ს 495-ე მუხლი „შემძენ მეწარმეს კანონის ძალით წარმოუშობდა ჩვეულებრივ მყიდველთან შედარებით მეტ წინდახედულებას და ნასყიდობის საგნის მახასიათებლების შემოწმებას. ამ ვალდებულებისაგან არ ათავისუფლებს მეწარმეს სახელშეკრულებო შეთანხმება იმის თაობაზე, რომ გამყიდველს ეკისრებოდა უნაკლო ნივთის მიწოდების ვალდებულება.“⁵⁹ უფრო მეტიც, მიჩნეულია, რომ სსკ-ს 495-ე მუხლის დანაწესი გამოიყენება არამხოლოდ მაშინ, როდესაც გარიგების მხარეები წარმოადგენენ მეწარმე სუბიექტებს, არამედ – მაშინაც, როდესაც ნივთის შეძენას გააჩნია სამეწარმეო მიზანი, მხარის სტატუსს სწორედ მის მიერ დადებული ხელშეკრულების მიზანი განსაზღვრავს.⁶⁰ იმ შემთხვევაში თუ მხარე რეგისტრირებულია მეწარმედ, მაგრამ იგი სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობს როგორც ფიზიკური პირი და არ დასტურდება მისი სამეწარმეო საქმიანობის შემხებლობა ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საგნის მიმართ, მასზე ვერ გავრცელდება აღნიშნული მუხლის დანაწესი.⁶¹ ამავე დროს, სსკ-ს 495-ე მუხლის მე-2 ნაწილი უზღუდავს არაკეთილსინდისიერ გამყიდველს ამავე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების შესაძლებლობას და განსაზღვრავს, რომ თუ გამყიდველი შეგნებულად დუმდა ნივთის ნაკლზე, იგი ვერ დაეყრდნობა სსკ-ს 495-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ უფლებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსი მყიდველს ნივთის ხარისხის დაუყოვნებლივ შემოწმებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ავალებს თუ ეს უკანასკნელი არის მეწარმე.⁶²

ამგვარად, სსკ-ს თანახმად, მყიდველის მიერ მეორადი მოთხოვნის უფლებათა განხორციელება გამორიცხულია იმ შემთხვევაში, თუკი მისთვის ხელშეკრულების გაფორმებისას ცნობილი იყო ნივთის ნაკლის შესახებ, ხოლო თუ ასეთი ინფორმაციის არ ქონა განაპირობა მისმა უხეშმა გაუფთხილებლობამ, მყიდველი მხოლოდ მაშინ შეძლებს გამოიყენოს კანონმდებლობით მინიჭებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები,

სექტემბრის განჩინება საქმეზე: № ას-845-811-2016; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 ნოემბრის განჩინება საქმეზე: №ას-719-687-2016; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 26 ნოემბრის განჩინება საქმეზე: №ას-640-608-2013.

⁵⁹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 16 ივნისის განჩინება საქმეზე: №ას-560-519-2017.

⁶⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-486-467-2016.

⁶¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 23 მარტის განჩინება საქმეზე: №ას-146-142-2016.

⁶² ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 1999, 103.

თუკი გამყიდველმა ნივთის ნაკლი დამალა ბოროტი განზრახვით ან ნივთის ხარისხის თაობაზე გაცემული ჰქონდა გარანტია.⁶³

III. უპირატესად გამოსაყენებელი მეორადი მოთხოვნის უფლება

სამართლებრივი დაცვის საშუალებებს არსებითი მნიშვნელობა აქვთ ხელშეკრულების მხარეებისთვის. იმ შემთხვევაში თუ პირებს ხელშეკრულების დადებისას არ ექნებათ საკმარისი გარანტია იმისა, რომ შეძლებენ საკუთარი ინტერესების დაცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიღების ან სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალებების განხორციელების გზით, შესაძლოა პოტენციურმა კონტრაქტორებმა საერთოდ უარი განაცხადონ სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლაზე.⁶⁴

სსკ დაზარალებული მხარის ინტერესებს მისთვის ისეთი მეორადი მოთხოვნის უფლებათა მინიჭების გზით იცავს, როგორცაა: დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლის, ფასის შემცირებისა და ზიანის ანაზღაურების მეორადი მოთხოვნის უფლებები.

ითვალისწინებს რა ხელშეკრულების დადების მიზანს, სსკ აქცენტს ვალდებულების რეალურ შესრულებაზე აკეთებს, იგი შესრულებაზე ორიენტირებული აქტია და ვალდებულების დამრღვევ მხარეს, პასუხისმგებლობის დაკისრებამდე, ვალდებულების შესრულების შესაძლებლობას ანიჭებს,⁶⁵ რაც უმეტესწილად ხელშეკრულების ორივე მხარის ინტერესებში შედის (მაგალითად, მყიდველს საშუალება აქვს მიიღოს ის შესრულება, რასაც მიიღებდა იმ შემთხვევაში, გამყიდველს ვალდებულება რომ არ დაერღვია და, პირიქით, გამყიდველს ზიანის ანაზღაურების დაკისრებამდე შეუძლია გამოასწოროს შესრულების ნაკლი). სსკ-ს განზრახვა, უპირველეს ყოვლისა, ხელი შეუწყოს ვალდებულების შესრულებას ვლინდება იმით, რომ მეორადი მოთხოვნის უფლებათა წარმოშობის შემთხვევაში, დაზარალებულ მხარეს, თავდაპირველად, დამატებითი ვადის დაწესების მოთხოვნა წარმოეშობა.⁶⁶ ამავე დროს, სსკ-ს 316-ე მუხლის მეორე

⁶³ *ბაჩიაშვილი ვ.*, დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 169.

⁶⁴ *Mak. V.*, Performance-oriented remedies in European sale of goods law, Oxford and Portland, 2009, 1, <<https://b-ok.cc/book/841722/23ab21>>, [10.06.2019].

⁶⁵ *ზოიძე ბ.*, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005, 285; იხ. ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-75-71-2017.

⁶⁶ *ზოიძე ბ.*, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005, 285; *ჩაჩავა ს.*, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში,

ნაწილი ხელშეკრულების მხარეებს აკისრებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულების შესრულების პროცესში ერთმანეთისთვის ხელშეწყობის ვალდებულებას.⁶⁷

ვენის კონვენციის თანახმად, ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, მეორე მხარეს, ჩვეულებრივ, სამართლებრივი დაცვის სამ ძირითად საშუალებას შეუძლია მიმართოს. პირველი მოთხოვნა, რომელიც დაზარალებულ მხარეს შეუძლია მეორე მხარეს წარუდგინოს ვალდებულების შესრულების მოთხოვნაა, მეორე – დაზარალებულ მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და მესამე – დაზარალებულ მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.⁶⁸ ამასთან, ზემოაღნიშნული სამი ძირითადი სამართლებრივი დაცვის საშუალება შესაძლოა სხვადასხვა სახესხვაობით გამოვლინდეს, როგორცაა, მაგალითად, ფასის შემცირების მოთხოვნა და ვალდებულების შესრულების დაყოვნება (შეჩერება).⁶⁹

მეორადი მოთხოვნის უფლებათა გამოყენება შესაძლოა გამორიცხოს მხარეთა შეთანხმებით, თუ მათ სსკ-ს 497-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებით შეზღუდეს ან გამორიცხეს გამყიდველის პასუხისმგებლობა ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას. გამყიდველი ვერ დაეყრდნობა ასეთ შეთანხმებას თუ იგი განზრახ დუმდა ნივთის ნაკლის შესახებ. ამგვარ შემთხვევაში მხარეთა ასეთი შეთანხმება იქნება ბათილი.⁷⁰

1. დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის უფლება სსკ-ს მიხედვით

სსკ-ს 490-ე და 405-ე მუხლებიდან გამომდინარეობს, რომ დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის უფლება გამომრიცხავ კონკურენციას წარმოშობს სხვა მეორად მოთხოვნებთან მიმართებით, იგი მათ შორის უპირატესად გამოსაყენებელ მოთხოვნას წარმოადგენს.⁷¹ სხვა მეორადი

სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2010, 57, <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/sofio_chachava.pdf>, [10.05.2019].

⁶⁷ *ახვლედიანი ზ.*, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 1999, 6.

⁶⁸ *Koskinen J.*, CISG, Specific Performance and Finnish Law, 1999, 2, <http://www.sisudoc.org/cisg/en/pdf/cisg_specific_performance_and_finnish_law.jussi_koskinen.landscape.letter.pdf>, [15.06.2019]; *Magnus U.*, The Vienna Sales Convention (CISG) between Civil and Common law – Best of all Worlds? J. Civ. L. Stud., Vol. 3, No. 1, 2010, 76, <<https://digitalcommons.law.lsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1023&context=jcls>>, [12.06.2019].

⁶⁹ *Koskinen J.*, CISG, Specific Performance and Finnish Law, 1999, 5, <http://www.sisudoc.org/cisg/en/pdf/cisg_specific_performance_and_finnish_law.jussi_koskinen.landscape.letter.pdf>, [15.06.2019].

⁷⁰ *ახვლედიანი ზ.*, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 1999, 104.

⁷¹ *ჩაჩავა ს.*, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2010, 57, <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/sofio_chachava.pdf>, [10.05.2019].

მოთხოვნების (ხელშეკრულებიდან გასვლა, ფასის შემცირება, ზიანის ანაზღაურება შესრულების ნაცლად) გამოყენების შესაძლებლობა დაზარალებულ მხარეს მხოლოდ მას შემდეგ ეძლევა, რაც ამოიწურება დამატებითი შესრულებისთვის განსაზღვრული ვადა.⁷² თუკი დაზარალებული მხარე სსკ-ს 405-ე მუხლის შესაბამისად, არ განუსაზღვრავს კონტრაქტის ვალდებულების შესრულებისათვის დამატებით ვადას, იგი კარგავს სხვა მეორადი მოთხოვნის უფლებათა განხორციელების უფლებას⁷³, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრული გარემოებები, რა დროსაც, არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება.

დამატებითი შესრულების მოთხოვნის წინაპირობას არ წარმოადგენს მოვალის ბრალეულობის არსებობა, არაბრალეული შეუსრულებლობაც ვალდებულების დარღვევის დასრულებულ შემადგენლობას ქმნის.⁷⁴

1.1. დამატებითი შესრულების სახეები

სსკ-ს 490-ე მუხლის პირველი ნაწილი ნაკლიანი ნივთის მიწოდების შემთხვევაში დამატებითი შესრულების ორ სახე იცნობს, ესენია: ნაკლის გამოსწორება და ნაკლიანი ნივთის შეცვლა.

აღსანიშნავია, რომ დამატებითი შესრულების სახეებს შორის არჩევანის გაკეთების უფლება გამყიდველს ეკუთვნის.⁷⁵ ამასთან, სსკ-ს 490-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს, რომ ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში გამყიდველმა უნდა გამოასწოროს ნივთის ნაკლი, ხოლო თუ ნაკლი აღმოაჩნდება გვაროვნულ ნივთს, მაშინ გამყიდველს მისი შეცვლის ვალდებულება ეკისრება.⁷⁶ მაშასადამე, გამყიდველის მიერ დამატებითი შესრულების სახის არჩევა დამოკიდებულია იმაზე, ნივთი ინდივიდუალურია თუ გვაროვნული.⁷⁷ ამავე დროს, თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს მოვალემ ვალდებულება ყოველთვის უნდა შეასრულოს. ამგვარი ვალდებულება მას მხოლოდ იმ შემთხვევაში აღარ ექნება, თუ სამოქალაქო ბრუნვაში აღარ იარსებებს აღნიშნული გვარის ნივთები ან თუ

⁷² იქვე, 58.

⁷³ იქვე, 59.

⁷⁴ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2014, 188, <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/natia_chitashvili.pdf>, [12.05.2019].

⁷⁵ ჩაჩავა ს., მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, 51-52.

⁷⁶ ძლიერიშვილი ზ., ვალდებულების შესრულება, თბილისი, 2006, 74.

⁷⁷ ბაჩიაშვილი ვ., დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 172.

მათი შეძენა უზომოდ დიდ დანახარჯებს გამოიწვევს.⁷⁸ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ, „როდესაც ნასყიდობის საგანს ხარისხობრივი ნაკლის მქონე გვაროვნული ნივთი წარმოადგენს, გამყიდველის ვალდებულება არა მისი გამოსწორება, არამედ მისი ახლით შეცვლაა.“⁷⁹ ამგვარი მოწესრიგება, შესაძლოა, მეტისმეტად მკაცრად კი ჩაითვალოს იმის გათვალისწინებით, რომ სსკ, განსხვავებით ვენის კონვენციისაგან, ნივთის შეცვლის წინაპირობად არ მიიჩნევს, ნაკლის არსებით ხასიათს. სასურველია, ამ საკითხში, სსკ-მ გაიზიაროს ვენის კონვენციის მიდგომა.

იმ შემთხვევაში თუ გამყიდველი ნაკლიან ნივთს ჩაანაცვლებს უნაკლოთი, მყიდველი სსკ-ს 490-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში, დაუბრუნოს გამყიდველს ნაკლიანი ნივთი.

სსკ-ს 490-ე მუხლის მეორე ნაწილი ნაკლის გამოსწორებისათვის აუცილებელ ხარჯებს, მათ შორის, ტრანსპორტირების, გზის, სამუშაოს შესრულების და მასალის ღირებულების ხარჯებს, სამართლიანად აკისრებს ვალდებულების დამრღვევ გამყიდველს.

ამავდროულად, მართალია, სსკ ადგენს, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს, თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს მისი ყველა გზითა და საშუალებით შესრულებას⁸⁰, გამყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას როგორც ნაკლის გამოსწორებაზე, ასევე ნივთის შეცვლაზე, თუ ეს მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს, რის უფლებასაც მას სსკ-ს 490-ე მუხლის მე-3 ნაწილი ანიჭებს.

1.2. ვადის დაწესების ამაოება

სსკ-ს 405-ე მუხლის მეორე ნაწილი განსაზღვრავს სამ შემთხვევას, როდესაც დაზარალებული მხარე არ არის ვალდებული დაუწესოს ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს დამატებითი შესრულების ვადა. სსკ-ს 405-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დამატებითი ვადის დაწესების (ან გაფრთხილების) ვალდებულება არ არსებობს თუკი აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება. ასეთ შემთხვევას აქვს ადგილი, მაგალითად, როდესაც ნაკლის გამოსწორება არ არის შესაძლებელი ნივთის თვისებიდან გამომდინარე, ან სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური

⁷⁸ თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, 39.

⁷⁹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-940-2018.

⁸⁰ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005, 286.

მიზეზების გამო⁸¹ და დამატებითი ვადის დაწესებას მხოლოდ ფორმალური დატვირთვა ექნება.⁸² ასევე არ არსებობს დამატებითი ვადის დაწესების ვალდებულება მაშინ, როდესაც კრედიტორისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შესრულებას ჰქონდა, თუმცა მოვალემ დადგინებულ ვადაში არ შეასრულა ვალდებულება (სსკ-ს 405 (2) (ბ) მუხლი). აღნიშნულს აქვს ადგილი მაშინ, როდესაც მოვალის მიერ დროული შესრულება კრედიტორის განსაკუთრებული ინტერესიდან გამომდინარე მის მიერ წინასწარ განსაზღვრული აუცილებელი წინაპირობაა, როდესაც ხელშეკრულება მხოლოდ იმ წინაპირობით იდება, რომ ვალდებულება დროულად შესრულდება.⁸³ ასევე არ არსებობს დამატებითი ვადის დაწესების ვალდებულება თუკი განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლა (სსკ-ს 405 (2) (გ) მუხლი).

2. რეალური შესრულების მოთხოვნა, როგორც უპირატესი სამართლებრივი დაცვის საშუალება (ვენის კონვენციის მიხედვით)

იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულების მხარეებს აქვთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიღების მოლოდინი, ვენის კონვენციის მიხედვით, დაზარალებულმა მხარემ უპირატესად იმგვარი სამართლებრივი დაცვის საშუალებები უნდა გამოიყენოს, რომლებიც დაკავშირებულნი არ არიან ხელშეკრულების ანულისრებასთან.⁸⁴

სსკ-ს მსგავსად, ვენის კონვენციაც დაზარალებულ მხარეს, უპირველეს ყოვლისა, ანიჭებს უფლებას მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების რეალური შესრულება (Specific performance).⁸⁵ იმ ფაქტს, რომ რეალური შესრულების მოთხოვნა, ვენის კონვენციის მიხედვით, წარმოადგენს უპირატესი სამართლებრივი დაცვის საშუალებას, ხაზს უსვამს

⁸¹ ჩაჩავა ს., მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, 53.

⁸² ბეგიაშვილი ნ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), სამართლის ჟურნალი „სარჩევი“, №1(2), 2011, 15.

⁸³ ჩაჩავა ს., მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, 53.

⁸⁴ Piliounis P. A., The Remedies of Specific Performance, Price Reduction and Additional Time (Nachfrist) Under the CISG: Are These Worthwhile Changes or Additions to English Sales Law? 2000, 5, <<https://digitalcommons.pace.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1221&context=pilr>>, [10.06.2019].

⁸⁵ Shen J., The Remedy of Requiring Performance under the CISG and the Relevance of Domestic Rules [particularly in the context of China-related sales transactions], 1996, 261, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/shen1.html>>, [25.06.2019].

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ხელშეწყობისთვის განსაზღვრული ისეთი დამატებითი სამართლებრივი საშუალებების არსებობა, როგორცაა: მყიდველის უფლება დაუწესოს გამყიდველს დამატებით ვადა ვალდებულების შესრულებისთვის და გამყიდველის უფლება გამოასწოროს ნაკლი მანამ, სანამ ხელშეკრულება შეწყდება.⁸⁶

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვალდებულების რეალური შესრულების მოთხოვნის უფლება ერთნაირად აქვს როგორც მყიდველს, ასევე გამყიდველს.⁸⁷ ამავე დროს, იმისათვის, რომ დაზარალებულმა მხარემ მოითხოვოს ვალდებულების რეალური შესრულება, სავალდებულო არ არის გადასაცემი ნივთი იყოს ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული.⁸⁸

ა. ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება მყიდველის მიერ

მყიდველის შესაძლებლობა მოითხოვოს გამყიდველისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, რეგლამენტირებულია ვენის კონვენციის 46-ე მუხლით.⁸⁹ აღნიშნული მუხლი სამი პუნქტისაგან შედგება და თითოეული მათგანი იმის უზრუნველყოფას ემსახურება, რომ მყიდველმა სწორედ ის შესრულება მიიღოს, რომელსაც იგი გამყიდველის მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიიღებდა.⁹⁰

⁸⁶ *Boghossian N.*, *A Comparative Study of Specific Performance Provisions in the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, 1999-2000*, 19, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/boghossian.html>>, [17.06.2019].

⁸⁷ *Gonzalez O.*, *Remedies under the U.N. Convention for the International Sale of Goods*, INT'L TAX & BUS. LAW., Vol. 2, Iss. 1, 1984, 96, <<https://scholarship.law.berkeley.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1013&context=bjil>>, [23.04.2019]; *Boghossian N.*, *A Comparative Study of Specific Performance Provisions in the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, 1999-2000*, 18, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/boghossian.html>>, [17.06.2019].

⁸⁸ *Piliounis P. A.*, *The Remedies of Specific Performance, Price Reduction and Additional Time (Nachfrist) Under the CISG: Are These Worthwhile Changes or Additions to English Sales Law?* 2000, 14, <<https://digitalcommons.pace.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1221&context=pilr>>, [10.06.2019].

⁸⁹ *Southerington T.*, *Impossibility of Performance and Other Excuses in International Trade*, 2001, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/southerington.html>>, [7.06.2019]; იხ. ასევე ICC Arbitration Case No. 8786 of January 1997, <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/978786i1.html>>, [10.05.2019].

⁹⁰ *Khandani K.M.*, *Does the CISG, compared to English law, put too much emphasis on promoting performance of the contract despite a breach by the seller?* 2012, 117, <[https://www.humanities.manchester.ac.uk/medialibrary/law/main_site/Research/Student_Law_Review1/MSLR_Vol1_9\(Khandani\).pdf](https://www.humanities.manchester.ac.uk/medialibrary/law/main_site/Research/Student_Law_Review1/MSLR_Vol1_9(Khandani).pdf)>, [15.05.2019]; *Flechtner H. M.*, *Buyers' Remedies in General and Buyers' Performance-Oriented Remedies*, J.L. & Com., Vol. 25, 2005-2006, 342, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/flechtner6.html>>, [14.06.2019]; *Fitzgerald J.*, *CISG, Specific*

კონვენციის 46-ე მუხლით გათვალისწინებული მყიდველის უფლება მოითხოვოს გამყიდველისგან ვალდებულების შესრულება მოიცავს იმ შემთხვევებს, როდესაც გამყიდველმა საერთოდ არ მიაწოდა მყიდველს საქონელი, ან მიაწოდა თუმცა მიწოდებული საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარისხს, მათ შორის, როდესაც ნივთს აქვს ვენის კონვენციის 41-ე და 42-ე მუხლებით განსაზღვრული უფლებრივი ნაკლი.⁹¹ ამგვარი მოთხოვნის წარდგენის უფლება აქვს მყიდველს მაშინაც, როდესაც გამყიდველმა მას შეთანხმებული საქონლის მხოლოდ ნაწილი მიაწოდა, შესრულება არ განხორციელდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ადგილზე (ვენის კონვენციის 31-ე მუხლი) ან მყიდველს არ გადაეცა საქონელთან დაკავშირებული დოკუმენტები ვენის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

თუ გამყიდველმა მყიდველს არ მიაწოდა ხელშეკრულებით შეთანხმებული საქონელი, დაზარალებულ მხარეს შეუძლია ვენის კონვენციის 46-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მოითხოვოს გამყიდველისაგან ნაკისრი ვალდებულების შესრულება ნივთის მიწოდების გზით. ნაკლიანი ნივთის მიწოდების შემთხვევაში კი, მყიდველს შეუძლია ვენის კონვენციის 46-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე მოითხოვოს, შესაბამისად, ნაკლიანი ნივთის უნაკლოთი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება. ამასთან, ვენის კონვენციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გამყიდველის მიერ ნაკლიანი ნივთის მიწოდებისას მყიდველს შეუძლია მოითხოვოს ნივთის შეცვლა მხოლოდ მაშინ, თუ ეს ნაკლი მნიშვნელოვნად (ფუნდამენტურად) არღვევს ხელშეკრულებას. ხელშეკრულების ფუნდამენტური დარღვევის არარსებობისას კი მყიდველს შეუძლია 46-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე მოითხოვოს ნაკლის გამოსწორება.⁹² თუმცა მყიდველმა შესაძლოა დაკარგოს ნაკლის

Performance, and the Civil Law of Louisiana and Quebec, J.L. & Com., Vol. 16, 1997, 293-295, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/1fitz.html>>, [17.05.2019].

⁹¹ *Enderlein F., Maskow D.*, International Sales Law : United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods : Convention on the Limitation Period in the International Sale of Goods : Commentary, New York, 1992, 178, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/enderlein.html#art28>>, [16.05.2019].

⁹² *Khandani K.M.*, Does the CISG, compared to English law, put too much emphasis on promoting performance of the contract despite a breach by the seller? 2012, 117, <[https://www.humanities.manchester.ac.uk/medialibrary/law/main_site/Research/Student_Law_Review1/MSLR_Vol1_9\(Khandani\).pdf](https://www.humanities.manchester.ac.uk/medialibrary/law/main_site/Research/Student_Law_Review1/MSLR_Vol1_9(Khandani).pdf)>, [15.05.2019]; *Jafarzadeh M.*, THE BUYER'S REMEDIES FOR SELLER'S NON-CONFORMING DELIVERY, A Comparative Study under English Law, the 1980 UN Convention on Contracts for the International Sale of Goods and Shiah Law, 1998, 157, <<http://theses.whiterose.ac.uk/3461/1/284976.pdf>>, [28.06.2019]; *Felemegas J.*, Comparison between provisions of the CISG regarding the right to require specific performance (Arts. 28, 46 and 62) and the counterpart provisions of the UNIDROIT Principles (Arts. 7.2.1 - 7.2.5), 2005, Chapter 3, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/felemegas13.html>>, [10.05.2019].

გამოსწორების მოთხოვნაც თუ იგი კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით არაგონივრული იქნება.⁹³

ა. ვალდებულების შესრულების მოთხოვნა ვენის კონვენციის 46 (1) მუხლის საფუძველზე

ვენის კონვენციის 46-ე მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარეობს მყიდველის ზოგადი უფლება მოითხოვოს გამყიდველისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. აღნიშნული პუნქტი ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც ადგილი აქვს გამყიდველის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების აბსოლუტურ შეუსრულებლობას, როდესაც გამყიდველმა საერთოდ არ მიაწოდა საქონელი მყიდველს.⁹⁴ თუმცა მყიდველის მიერ გარკვეული სახის სამართლებრივი დაცვის საშუალებებისთვის მიმართვა გამორიცხავს ამ უკანასკნელის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მოთხოვნის შესაძლებლობას. ვალდებულების შესრულების მოთხოვნის გამომრიცხავი სამართლებრივი დაცვის საშუალებებს მიეკუთვნება ხელშეკრულებიდან გასვლა და ფასის შემცირება.⁹⁵

ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში ავტომატურად გამოირიცხება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება. აღნიშნული გამომდინარეობს ვენის კონვენციის 81-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებიდან, რომლის თანახმად, „ხელშეკრულებაზე უარის თქმა ორივე მხარეს ათავისუფლებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან“.

ფასის შემცირებისა და ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებათა კონკურენცია კი ასეთი ცალსახა არ არის. ფასის შემცირების ან ნაკლის გამოსწორებისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნით დაზარალებული მხარე კარგავს ნაკლის გამოსწორებისა და ნაკლიანი საქონლის შეცვლის მოთხოვნების წარდგენის უფლებას, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ფასის შემცირების მოთხოვნა არ არის შეუთავსებელი 46-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ, ვალდებულების შესრულების მოთხოვნასთან როდესაც იგი აღქმულია, როგორც კომპენსაცია (ზიანის ანაზღაურება) ნივთის ნაკლის გამო, ვენის კონვენციის 45-ე მუხლის

⁹³ *Herman S.*, Specific Performance: a Comparative Analysis, Edin. L. Rev., Vol. 7, Iss. 1, 2003, 195, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/herman1.html>>, [22.06.2019].

⁹⁴ *Khandani K.M.*, Does the CISG, compared to English law, put too much emphasis on promoting performance of the contract despite a breach by the seller? 2012, 117, <[https://www.humanities.manchester.ac.uk/medialibrary/law/main_site/Research/Student_Law_Review1/MSLR_Vol1_9\(Khandani\).pdf](https://www.humanities.manchester.ac.uk/medialibrary/law/main_site/Research/Student_Law_Review1/MSLR_Vol1_9(Khandani).pdf)>, [15.05.2019]

⁹⁵ იქვე, 118; *Walt S.*, For Specific Performance Under the United Nations Sales Convention, Tex. Int'l L. J., Vol. 26, Iss. 2, 1991, 214, <<https://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/walt.html>>, [28.05.2019].

მე-2 პუნქტის თანახმად⁹⁶, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვალდებულების შესრულების მოთხოვნის პარალელურად შეიძლება წარედგინოს ვალდებულების დამრღვევ მხარეს.⁹⁷ ამდენად, მყიდველს შეუძლია ვალდებულების შესრულებასთან ერთად ზიანის ანაზღაურების ან ფასის შემცირების მოთხოვნაც წარადგინოს იმ შემთხვევაში, თუ ამ მოთხოვნებს გამყიდველს ერთდროულად წარუდგენს.⁹⁸

ბბ. ნაკლიანი ნივთის შეცვლა უნაკლოთი

ვენის კონვენციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტი ეხება შემთხვევებს, როდესაც გამყიდველმა მყიდველს, მართალია, მიაწოდა საქონელი, თუმცა იგი არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარისხს, რის გამოც ნაკლიანი შესრულების ჩანაცვლება ხდება ახალი საქონლის მიწოდების გზით. გამყიდველმა ნაკლიანი საქონელი უნდა შეცვალოს გონივრულ ვადაში. იმ დროის განმავლობაში, რომელიც ნივთის შეცვლისათვის განესაზღვრა გამყიდველს, მყიდველს არ შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.⁹⁹

თუ მყიდველი მანამ განაცხადებს უარს ნაკლიანი შესრულების მიღებაზე, სანამ მას საქონელი რეალურად გადაეცემა, საქმე გვაქვს ვენის კონვენციის 46-ე მუხლის არა მეორე, არამედ პირველი პუნქტით მოწესრიგებულ შემთხვევასთან.¹⁰⁰

აქვე ყურადსაღებია, რომ ვენის კონვენციის 46-ე მუხლის მეორე პუნქტის გამოყენებისას, შესაძლოა, განსხვავებული შედეგები დადგეს იმის მიხედვით, საქმე გვაროვნულ ნივთს ეხება, თუ – ინდივიდუალურს. თუ მხარეთა შორის

⁹⁶ვენის კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებების გამოყენება არ ართმევს მყიდველს უფლებას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

⁹⁷ *Schlechtriem P.*, Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), Oxford, 2nd ed., 1998, 378, მითითებულია: *Koskinen J.*, CISG, Specific Performance and Finnish Law, 1999, 9, <http://www.sisudoc.org/cisg/en/pdf/cisg_specific_performance_and_finnish_law.jussi_koskinen.landscape.letter.pdf>, [15.06.2019].

⁹⁸ *Koskinen J.*, CISG, Specific Performance and Finnish Law, 1999, 9-10, <http://www.sisudoc.org/cisg/en/pdf/cisg_specific_performance_and_finnish_law.jussi_koskinen.landscape.letter.pdf>, [15.06.2019].

⁹⁹ *Enderlein F., Maskow D.*, International Sales Law : United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods : Convention on the Limitation Period in the International Sale of Goods : Commentary, New York, 1992, 179, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/enderlein.html#art28>>, [16.05.2019].

¹⁰⁰ *Schlechtriem P.*, Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), Oxford, 2nd ed., 1998, 383, მითითებულია: *Koskinen J.*, CISG, Specific Performance and Finnish Law, 1999, 10, <http://www.sisudoc.org/cisg/en/pdf/cisg_specific_performance_and_finnish_law.jussi_koskinen.landscape.letter.pdf>, [15.06.2019].

შეთანხმებულია გვაროვნული ნივთის მიწოდების ვალდებულება, მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს ნაკლიანი ნივთის უნაკლო ნივთით ჩანაცვლება. თუმცა თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის მიწოდების ვალდებულება და საქონლის სახეობიდან გამომდინარე ნივთის ჩანაცვლება შეუძლებელია, ახალი ნივთის მიწოდების მოთხოვნა იქნება აზრს მოკლებული და მყიდველი შეძლებს მხოლოდ ნაკლის გამოსწორების ან ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენებას.¹⁰¹

ნაკლიანი ნივთის უნაკლოთი ჩანაცვლების შემთხვევაში მყიდველმა გამყიდველს უკან უნდა დაუბრუნოს თავდაპირველად მიღებული, ნაკლიანი საქონელი.¹⁰²

ნაკლიანი ნივთის უნაკლოთი ჩანაცვლების მოთხოვნა მყიდველს არ ართმევს პარალელურად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. გარდა ამისა, ნივთის შეცვლის ყველა ხარჯი, მათ შორის ტრანსპორტირების ხარჯები, უნდა აანაზღაუროს გამყიდველმა.¹⁰³

იმისათვის, რომ მყიდველმა მოითხოვოს ნაკლიანი ნივთის შეცვლა, უნდა არსებობდეს გარკვეული წინაპირობები.

პირველ რიგში, ასეთ წინაპირობას წარმოადგენს ხელშეკრულების ფუნდამენტური დარღვევა გამყიდველის მიერ – მყიდველს ნაკლიანი ნივთის შეცვლის მოთხოვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ეს ნაკლი იწვევს ხელშეკრულების ფუნდამენტურ დარღვევას. ამასთან, რადგან ხელშეკრულების ფუნდამენტური დარღვევა წარმოადგენს ხელშეკრულებაზე უარის თქმის წინაპირობასაც, მყიდველს შეუძლია აირჩიოს ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და ნაკლიანი ნივთის უნაკლოთი ჩანაცვლების სამართლებრივი დაცვის საშუალებებს შორის.¹⁰⁴ აქვე ყურადსაღებია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი არ აქვს ხელშეკრულების ფუნდამენტურ დარღვევას და, შესაბამისად, მყიდველს არ შეუძლია მოითხოვოს ნივთის შეცვლა, გამყიდველი უფლებამოსილია

¹⁰¹ იქვე.

¹⁰² *Honnold J. O.*, Uniform Law for International Sales under the 1980 United Nations Convention, Hague, 3rd ed., 1999, 422-423, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/honnold.html>>, [21.05.2019].

¹⁰³ *Schlechtriem P.*, Subsequent Performance and Delivery Deadlines - Avoidance of CISG Sales Contracts Due to Non-conformity of the Goods, 2006, 96, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/schlechtriem8.html>>, [21.05.2019].

¹⁰⁴ *Koskinen J.*, CISG, Specific Performance and Finnish Law, 1999, 11, <http://www.sisudoc.org/cisg/en/pdf/cisg_specific_performance_and_finnish_law.jussi_koskinen.land_scape.letter.pdf>, [15.06.2019].

განახორციელოს ამგვარი მოქმედება, თუკი იგი კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით უფრო ხელსაყრელი იქნება მისთვის.¹⁰⁵

ნაკლიანი ნივთის შეცვლის მოთხოვნის განხორციელებისათვის მომდევნო წინაპირობაა მისი დროულად განცხადება.

1. ხელშეკრულების ფუნდამენტური დარღვევის ცნება

დაზარალებული მხარის სამართლებრივი დაცვის საშუალებების პერსპექტიულობის შემოწმებისათვის, თავდაპირველად, უნდა განისაზღვროს წარმოადგენს თუ არა მეორე მხარის მიერ ვალდებულების დარღვევა ხელშეკრულების ფუნდამენტურ დარღვევას.¹⁰⁶ ის თუ რა წარმოადგენს ხელშეკრულების ფუნდამენტურ დარღვევას განმარტებულია ვენის კონვენციის 25-ე მუხლში და ასეთად მიიჩნევა ვალდებულების ისეთი დარღვევა, რომლის შედეგად დაზარალებული მხარე ვერ იღებს იმ სარგებელსა თუ შესრულებას, რასაც იგი სამართლიანად მოელოდა ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულების ფუნდამენტური დარღვევის არსებობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა გავლენას ახდენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა ხელშეკრულებაზე¹⁰⁷ ანუ მის არსებობა/არარსებობას ხელშეკრულების დარღვევის თანმდევი შედეგები განაპირობებს¹⁰⁸ და, შესაბამისად, იმის გასაგებად, თუ რა არის ხელშეკრულების ფუნდამენტური დარღვევა, გამოკვლეულ უნდა იქნეს თუ რაზე შეთანხმდნენ მხარეები ხელშეკრულებით.

გამყიდველის მხრიდან ხელშეკრულების ფუნდამენტურ დარღვევას აქვს ადგილი, როდესაც იგი მყიდველს აწოდებს არა იმ პროდუქციას, რომელზეც მხარეები შეთანხმდნენ, არამედ შეთანხმებულისაგან აბსოლუტურად განსხვავებულ, სხვა სახეობის საქონელს.¹⁰⁹ ხელშეკრულების ფუნდამენტურ დარღვევასთან გვაქვს საქმე მაშინაც, როდესაც ნივთის ნაკლის ხასიათიდან

¹⁰⁵ *Enderlein F., Maskow D.*, International Sales Law : United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods : Convention on the Limitation Period in the International Sale of Goods : Commentary, New York, 1992, 179, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/enderlein.html#art28>>, [16.05.2019].

¹⁰⁶ *Herman S.*, Specific Performance: a Comparative Analysis, Edin. L. Rev., Vol. 7, Iss. 1, 2003, 199, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/herman1.html>>, [22.06.2019].

¹⁰⁷ *Bridge M.*, Good Faith, the Common Law, and the CISG, Unif. L. Rev., Vol. 22, Iss. 1, 2017, 110, <<https://booksc.xyz/book/65433757/fc595e>>, [8.06.2019].

¹⁰⁸ *Kazimierska A.*, The Remedy of Avoidance under the Vienna Convention on the International Sale of Goods, 1999-2000, 106, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/kazimierska.html>>, [19.06.2019].

¹⁰⁹ *Bianca C M., Bonell M J.*, Commentary on the International Sales Law: The 1980 Vienna Sales Law, Giuffrè: Milan, 1987, 337, მითითებულია: *Koskinen J.*, CISG, Specific Performance and Finnish Law, 1999, 11, <http://www.sisudoc.org/cisg/en/pdf/cisg_specific_performance_and_finnish_law.jussi_koskinen.land_scape.letter.pdf>, [15.06.2019].

გამომდინარე, დაზარალებული მხარე სრულ კომპენსაციას ვერ მიიღებს ზიანის ანაზღაურების ან ფასის შემცირების სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების შედეგად.¹¹⁰ ერთ-ერთ საქმეში ციურხის კომერციულმა სასამართლომ ნაკლიანი შესრულება არ მიიჩნია ხელშეკრულების ფუნდამენტურ დარღვევად, რადგან ნაკლი იყო ადვილად გამოსწორებადი.¹¹¹ სასამართლო პრაქტიკაში, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, ფუნდამენტურ დარღვევად არ მიიჩნევენ ასევე არც საქონლის დაგვიანებულ მიწოდებას.¹¹² ხელშეკრულების ფუნდამენტურ დარღვევას წარმოადგენს გამყიდველის საბოლოო, გაუმართლებელი უარი ვალდებულების შესრულებაზე.¹¹³

ხელშეკრულების დარღვევის ფუნდამენტურ დარღვევად კვალიფიკაციის მნიშვნელობას ხაზს უსვამს ის გარემოებაც, რომ ხელშეკრულების ფუნდამენტური დარღვევის შემთხვევაში დაზარალებულ მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ისე, რომ არ დაკარგოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.¹¹⁴

ამავე დროს, მყიდველი, რომელსაც საქონელი სპეციალური დანიშნულებით არ შეუძენია და თავისი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, საქონლის ჩანაცვლების გარეშე, შეძლებს მის გამოყენებას, არ არის უფლებამოსილი უარი თქვას ხელშეკრულებაზე.¹¹⁵

მაგალითისთვის განვიხილოთ შვეიცარიის უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება:¹¹⁶ გამყიდველმა (მოსარჩელე) მყიდველს (მოპასუხე) გემით მიაწოდა გაყინული ხორცი. გამყიდველმა საქონლის ნაკლის გამო უარი განაცხადა ფასის გადახდაზე. სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენდა თუ რამდენად ჰქონდა მყიდველს ხელშეკრულებიდან

¹¹⁰ *Ferrari F.*, Fundamental Breach of Contract Under the UN Sales Convention -- 25 Years of Article 25 CISG --, J.L. & Com., Vol. 25, 2006, 501, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/ferrari14.html>>, [12.05.2019].

¹¹¹ *ob.* “*Saltwater isolation tank case*”, Commercial Court Zürich (Switzerland), 26 April 1995, № HG 920670, <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/950426s1.html>>, [25.06.2019].

¹¹² *ob.* “*Shoes case*“, District Court München, (Germany), 20 February 2002, №10 O 5423/01, <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/020220g1.html>>, [29.05.2019]; *ob.* ასევე “*Shoes case*“, Appellate Court München, (Germany), 1 July 2002, №10 O 5423/01, <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/020701g1.html>>, [29.05.2019].

¹¹³ *Liu C.*, THE CONCEPT OF FUNDAMENTAL BREACH: Perspectives from the CISG, UNIDROIT Principles and PECL and case law, 2nd ed., 2005, Chapter 5, Para 5.2 (a), <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/liu8.html#ccv>>, [30.05.2019].

¹¹⁴ *Gonzalez O.*, Remedies under the U.N. Convention for the International Sale of Goods, INT'L TAX & BUS. LAW., Vol. 2, Iss. 1, 1984, 86, <<https://scholarship.law.berkeley.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1013&context=bjil>>, [23.04.2019];

¹¹⁵ *Leisinger B. K.*, Fundamental Breach Considering Non-Conformity of the Goods, 2007, 131, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/leisinger.html>>, [10.05.2019].

¹¹⁶ *ob.* E.K., L. und A. v. F., Supreme Court Bundesgericht (Switzerland), 28 October 1998, №4C.179/1998/odi, <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/981028s1.html>>, [7.05.2019].

გასვლის უფლება საქონლის ნაკლის გამო. სასამართლომ მიიჩნია, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი იმდენად არსებითად არ განსხვავდებოდა მხარეთა მიერ შეთანხმებულისაგან, რომ მყიდველს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება ჰქონოდა, მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტების შეფასებით, საქონლის ღირებულებას მისი ცხიმოვანობა და სისველე 25.5 პროცენტით ამცირებდა. სასამართლომ განმარტა, რომ ვენის კონვენციით დამკვიდრებული პრინციპის თანახმად, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება მყიდველის ყველაზე სერიოზულ სამართლებრივი დაცვის საშუალებას წარმოადგენდა, რის გამოც ხელშეკრულებაზე უარის თქმა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში იყო დასაშვები. სასამართლოს მითითებით, გამართლებულია თუ არა აღნიშნული სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოყენება, უნდა შემოწმდეს კონკრეტული საქმის ყველა შესაბამისი გარემოების გათვალისწინებით, მათ შორის, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მყიდველის შესაძლებლობა სხვაგვარად გამოიყენოს ან გაყიდოს საქონელი, თუნდაც ნაკლებ ფასად. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მყიდველს ასეთი შესაძლებლობა ჰქონდა, რის გამოც დაასკვნა, რომ იგი უფლებამოსილი არ იყო უარი ეთქვა ხელშეკრულებაზე და შეეძლო მხოლოდ ფასის 25,5 პროცენტით შემცირება მოეთხოვა.¹¹⁷

2. მოთხოვნის წარდგენის ვადა

ნაკლიანი ნივთის შეცვლის მოთხოვნისათვის, გარდა იმისა, რომ მიწოდებული პროდუქციის ნაკლი მნიშვნელოვნად უნდა არღვევდეს ხელშეკრულებას, ვენის კონვენციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია, რომ ასეთი მოთხოვნა გაცხადებული უნდა იყოს ვენის კონვენციის 39-ე მუხლით¹¹⁸ გათვალისწინებულ შეტყობინებასთან ერთდროულად ან მას შემდეგ გონივრულ ვადაში. აღნიშნული დანაწესი ემსახურება ორივე მხარის ინტერესების დაცვას, რამდენადაც, ერთის მხრივ, მყიდველს სურს რაც შეიძლება მალე მიიღოს ჯეროვანი შესრულება, მეორეს

¹¹⁷ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო მიიჩნევს, რომ მყიდველი დანაკარგების გარეშე ვერ შეძლებს ნაკლიანი საქონლის გამოყენებას, მას ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას ანიჭებს. იხ. *Société Sacovini/M. Marrazza v. Sté les fils de Henri Ramel/Sté Bonfils Georges/Sté Preau et compagnie*, Supreme Court France, 23 January 1996, №173 P/B 93-16.542, <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/960123f1.html>>, [7.05.2019].

¹¹⁸ ვენის კონვენციის 39-ე მუხლი: 1. მყიდველი კარგავს უფლებას მიუთითოს საქონლის შეუსაბამობაზე, თუ იგი გამყიდველს არ გადასცემს შეტყობინებას, რომელიც შეიცავს მონაცემებს შეუსაბამობის ხასიათის შესახებ, გონივრულ ვადაში მას შემდეგ, რაც შეუსაბამობა აღმოჩნდა ან უნდა აღმოეჩინა მყიდველს. 2. ნებისმიერ შემთხვევაში მყიდველი კარგავს უფლებას მიუთითოს საქონლის შეუსაბამობაზე, თუ იგი გამყიდველს არ გადასცემს შეტყობინებას ამის შესახებ არა უგვიანეს ორი წლის ვადისა იმ თარიღიდან, როდესაც საქონელი ფაქტიურად გადაეცა მყიდველს, რამდენადაც ეს ვადა არ ეწინააღმდეგება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საგარანტიო ვადას.

მხრივ კი, გამყიდველს აქვს უფლება დროულად გაიგოს თუ რა მოთხოვნას წარუდგენს მას დაზარალებული მხარე.¹¹⁹

ვენის კონვენცია არ ადგენს თუ რა ფორმით უნდა განხორციელდეს 39-ე მუხლით გათვალისწინებული შეტყობინება, თუმცა რეკომენდირებულია ასეთი შეტყობინება იყოს წერილობითი ფორმით, რამდენადაც შეტყობინების ზეპირი ფორმით მიწოდების შემთხვევაში მყიდველს გაუჭირდება აღნიშნული ვალდებულების შესრულების დამტკიცება.¹²⁰

გგ. ნაკლის გამოსწორების მოთხოვნა

ვენის კონვენციის 46-ე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს მყიდველის უფლებას მოითხოვოს გამყიდველისაგან ნაკლიანი ნივთის შეკეთება და განსაზღვრავს, რომ თუ საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულებას, მყიდველს შეუძლია მოითხოვოს გამყიდველისაგან ამ შეუსაბამობის გამოსწორება. აღნიშნული მუხლის დანაწესი თანაბრად ვრცელდება, როგორც გვაროვნულ, ასევე ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრულ ნივთებზეც.¹²¹

მსგავსად მყიდველის უფლებისა, მოითხოვოს გამყიდველისაგან ნაკლიანი ნივთის უნაკლოთი ჩანაცვლება, არც ნაკლის გამოსწორების მოთხოვნაა შეუზღუდავი და მისი განხორციელებისთვის საჭიროა გარკვეული წინაპირობების არსებობა.

მყიდველი ვერ შეძლებს ამ უფლების გამოყენებას თუკი ნაკლის გამოსწორება კონკრეტულ სიტუაციაში და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით არაგონივრულია. ვენის კონვენცია არ განსაზღვრავს „არაგონივრულობის“ ცნებას, თუმცა, ჩვეულებრივ, ნივთის შეკეთება არაგონივრულად მიიჩნევა, თუ ის იწვევს გამყიდველისთვის არაპროპორციულ დანახარჯებს მყიდველის მიერ მიღებულ სარგებელთან შედარებით.¹²² ასეთ შემთხვევას აქვს ადგილი მაშინ, როდესაც შეკეთების

¹¹⁹ *Enderlein F., Maskow D.*, International Sales Law : United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods : Convention on the Limitation Period in the International Sale of Goods : Commentary, New York, 1992, 180, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/enderlein.html#art28>>, [16.06.2019].

¹²⁰ *Andersen C.B.*, Comparative Analysis: Selected Notice Requirements under CISG, PECL and UNIDROIT Principles: CISG Arts. 39 & 26; UNIDROIT Principles Arts. 1.9, 3.14, 7.3.2.; PECL Arts. 1.303, 3.304, 4.112, 9.303, 13.104, 2004, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/andersen2.html#cbaii>>, [16.06.2019].

¹²¹ *Schlechtriem P.*, Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), Oxford, 2nd ed., 1998, 391, მითითებულია: *Koskinen J.*, CISG, Specific Performance and Finnish Law, 1999, 12, <http://www.sisudoc.org/cisg/en/pdf/cisg_specific_performance_and_finnish_law.jussi_koskinen.landscape.letter.pdf>, [16.06.2019].

¹²² *Schneider E. C.*, The Seller's Right to Cure under the Uniform Commercial Code and the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, *Ariz. J. Int'l & Comp. L.*, Vol. 7, 1989-1990, 80-81, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/schneider.html>>, [24.04.2019];

ხარჯი არაგონივრულად მაღალია, ან მიწოდებული საქონლის ბუნებიდან გამომდინარე შეუძლებელია ნაკლის გამოსწორება¹²³, ან გამყიდველი არის მხოლოდ მიმწოდებელი და მას არ ხელეწიფება ნივთის შეკეთება ან თუ მყიდველს ნაკლები დანახარჯებით შეუძლია გამოსწოროს ნაკლი.¹²⁴ ასეთ შემთხვევაში მყიდველს რჩება ზიანის ანაზღაურების ან ფასის შემცირების მოთხოვნის უფლება.¹²⁵

მსგავსად ნაკლიანი ნივთის უნაკლოთი ჩანაცვლების მოთხოვნისა, ნაკლიანი ნივთის შეკეთების მოთხოვნაც განცხადებული უნდა იყოს ვენის კონვენციის 39-ე მუხლით გათვალისწინებულ შეტყობინებასთან ერთად ან მას შემდეგ გონივრულ ვადაში.

ბ. გამყიდველის სამართლებრივი დაცვის საშუალებები

მყიდველის ვალდებულებები შესაძლოა მოკლედ შეჯამდეს, შემდეგნაირად: მყიდველი ვალდებულია მიიღოს საქონელი და გადაიხადოს ფასი¹²⁶, რაც განპირობებულია იმით, რომ მყიდველს გამყიდველთან შედარებით, ჩვეულებრივ, ნაკლები ვალდებულებები ეკისრება.¹²⁷

მყიდველის მხრიდან ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში გამყიდველსაც, თავდაპირველად, ვალდებულების რეალური შესრულების მოთხოვნა წარმოემოხა, რაც გამომდინარეობს ვენის კონვენციის 62-ე მუხლიდან: გამყიდველს შეუძლია მოსთხოვოს მყიდველს ფასის გადახდა, მიწოდებული საქონლის მიღება ან სხვა ვალდებულებების შესრულება, თუ

Schlechtriem P., Uniform Sales Law - The UN-Convention on Contracts for the International Sale of Goods, Vienna, 1986, 76, <<https://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/schlechtriem.html>>, [24.04.2019].

¹²³ *Bianca C M., Bonell M J.*, Commentary on the International Sales Law: The 1980 Vienna Sales Law, Giuffrè: Milan, 1987, 338-339, მითითებულია: *Koskinen J.*, CISG, Specific Performance and Finnish Law, 1999, 12, <http://www.sisudoc.org/cisg/en/pdf/cisg_specific_performance_and_finnish_law.jussi_koskinen.landscape.letter.pdf>, [16.06.2019].

¹²⁴ *Honnold J.*, Uniform Law for International Sales under the 1980 United Nations Convention, Deventer /Netherlands, Antwerp, Boston, London, Frankfurt, 1982, 301, მითითებულია: *Enderlein F., Maskow D.*, International Sales Law : United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods : Convention on the Limitation Period in the International Sale of Goods : Commentary, New York, 1992, 180, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/enderlein.html#art28>>, [16.05.2019].

¹²⁵ *Schlechtriem P.*, Uniform Sales Law - The UN-Convention on Contracts for the International Sale of Goods, Vienna, 1986, 76, <<https://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/schlechtriem.html>>, [24.04.2019].

¹²⁶ *Gabriel H. D.*, The Buyer's Performance Under the CISG: Articles 53-60 Trends in the Decisions, J.L. & Com., Vol. 25, 2005-2006, 273, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/gabriel4.html>>, [8.05.2019].

¹²⁷ *Fitzgerald J.*, CISG, Specific Performance, and the Civil Law of Louisiana and Quebec, J.L. & Com., Vol. 16, 1997, 296-297, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/1fitz.html>>, [17.05.2019].

გამყიდველმა არ მიმართა სამართლებრივი დაცვის საშუალებას, რომელიც შეუთავსებელია ასეთ მოთხოვნასთან. ვალდებულების შესრულების მოთხოვნის გამომრიცხავი სამართლებრივი დაცვის საშუალება ამ შემთხვევაში არის დაზარალებული მხარის, გამყიდველის მიერ ხელშეკრულებაზე ვენის კონვენციის 64-ე მუხლის შესაბამისად, უარის თქმა.¹²⁸ ამასთან, ხელშეკრულებაზე უარის თქმა გამყიდველის ერთადერთი სამართლებრივი დაცვის საშუალებაა, რომელიც ვენის კონვენციის 62-ე მუხლით განსაზღვრულ ვალდებულების რეალური შესრულების მოთხოვნასთან არის შეუთავსებელი.¹²⁹ ამდენად, მყიდველი ვალდებულია შეასრულოს მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები: გადაიხადოს შეთანხმებული ფასი, მიიღოს მიწოდებული საქონელი ან შეასრულოს სხვა ვალდებულებები გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამყიდველმა ან თავად მყიდველმა უარი თქვეს ხელშეკრულებაზე.¹³⁰ აღსანიშნავია, რომ სამართლებრივი დაცვის ამა თუ იმ საშუალებისთვის მიმართვა, გამყიდველს არ ართმევს უფლებას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.¹³¹

გ. დამატებითი ვადის დაწესება

დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს მოვალეს ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად განუსაზღვროს გონივრული ხანგრძლივობის დამატებითი ვადა. დამატებითი ვადის დაწესების შესაძლებლობა აქვს როგორც დაზარალებულ მყიდველს¹³², ასევე დაზარალებულ გამყიდველსაც.¹³³ ვენის კონვენციით გათვალისწინებული

¹²⁸ *Honnold J.*, Documentary history of the 1980 Uniform Law for International Sales, Deventer, 1989, 439, მითითებულია: *Koskinen J.*, CISG, Specific Performance and Finnish Law, 1999, 14, <http://www.sisudoc.org/cisg/en/pdf/cisg_specific_performance_and_finnish_law.jussi_koskinen_landscape.letter.pdf>, [16.06.2019]; *Felemegas J.*, Comparison between provisions of the CISG regarding the right to require specific performance (Arts. 28, 46 and 62) and the counterpart provisions of the UNIDROIT Principles (Arts. 7.2.1 - 7.2.5), 2005, Chapter 4, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/felemegas13.html>>, [10.05.2019].

¹²⁹ *Fitzgerald J.*, CISG, Specific Performance, and the Civil Law of Louisiana and Quebec, J.L. & Com., Vol. 16, 1997, 297, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/1fitz.html>>, [17.05.2019].

¹³⁰ იქვე; იხ. ასევე “*Thread case*”, Appellate Court Düsseldorf, (Germany), 21 April 2004, № 15 U 222/02, <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/040421g2.html>>, [24.06.2019]; “*Construction machine case*”, Supreme Court Switzerland, 19 February 2004, №4C.307/2003/ech, <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/040219s1.html>>, [17.05.2019]; “*Filters case*”, District Court Mönchengladbach, (Germany), 15 July 2003, №7 O 221/02, <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/030715g1.html>>, [29.05.2019].

¹³¹ იხ. Cisg art. 61 (2).

¹³² იხ. Cisg art. 47.

¹³³ იხ. Cisg art. 63; Masidlauskiene V., THE CISG: ADVANTAGES AND DISADVANTAGES WHEN COMPARED TO SOME NATIONAL LAWS, 2010 – 2011, 28,

დამატებითი ვადის დაწესების მექანიზმი, არ წარმოადგენს სამართლებრივი დაცვის დამოუკიდებელ საშუალებას. იგი მჭიდრო კავშირშია სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალებებთან, განსაკუთრებით კი, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებასთან.¹³⁴

აღსანიშნავია, რომ ვენის კონვენციით განსაზღვრული დამატებითი ვადის დაწესების შესაძლებლობა, დამატებითი ვადის დაწესებასთან დაკავშირებით გერმანული სამართლის მიდგომის მსგავსია.¹³⁵

გერმანული სახელშეკრულებო სამართლის მიხედვით, თუ მოვალემ დადგინდეს ვადაში სრულად არ შეასრულა ვალდებულება, კრედიტორმა მას უნდა დაუწესოს დამატებითი ვადა (იგივე “Nachfrist”) შესრულებისთვის. თუ ვალდებულება დამატებით ვადაშიც არ შესრულდება კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე¹³⁶, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ხელშეკრულების დარღვევა არსებითი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დარღვევა მეტისმეტად უმნიშვნელოა.¹³⁷ დამატებითი ვადის დაწესების მექანიზმი გერმანულ სახელშეკრულებო სამართალში საუკეთესო გამოსავალია ისეთი სიტუაციებიდან, როდესაც აშკარა არ არის წარმოადგენს თუ არა ვალდებულების დარღვევა ხელშეკრულების არსებით დარღვევას და, შესაბამისად, შეუძლია თუ არა კრედიტორს ამ დარღვევის საფუძველზე გავიდეს ხელშეკრულებიდან ისე, რომ თავად მისი ეს ქმედება არ ჩაითვალოს ხელშეკრულების დარღვევად. დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, დაზარალებულ მხარეს ამგვარი რისკის გარეშე, თავისუფლად შეუძლია უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე.¹³⁸

ვენის კონვენცია, მართალია, იზიარებს გერმანულ სამართალში აღიარებულ ამ მიდგომას, მაგრამ სრულად არა. პირველ რიგში, განსხვავებით

<https://lib.ugent.be/fulltxt/RUG01/001/787/286/RUG01-001787286_2012_0001_AC.pdf>, [25.06.2019].

¹³⁴ Piliounis P. A., The Remedies of Specific Performance, Price Reduction and Additional Time (Nachfrist) Under the CISG: Are These Worthwhile Changes or Additions to English Sales Law? 2000, 19, <<https://digitalcommons.pace.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1221&context=pilr>>, [10.06.2019].

¹³⁵ იქვე 20; Boghossian N., A Comparative Study of Specific Performance Provisions in the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, 1999-2000, 62, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/boghossian.html>>, [17.06.2019].

¹³⁶ იხ. BGB §323.

¹³⁷ დარღვევა უმნიშვნელოა, როდესაც მისი ღირებულება ხელშეკრულების ფასის 10%-ზე ნაკლებია. იხ. Christian Grüneberg, § 323 ¶ 32, in BGB (Otto Palandt ed., 69th ed. 2010), მითითებულია: Magnus U., The Vienna Sales Convention (CISG) between Civil and Common law – Best of all Worlds? J. Civ. L. Stud., Vol. 3, No. 1, 2010, 86, <<https://digitalcommons.lsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1023&context=jcls>>, [12.06.2019].

¹³⁸ Magnus U., The Vienna Sales Convention (CISG) between Civil and Common law – Best of all Worlds? J. Civ. L. Stud., Vol. 3, No. 1, 2010, 86, <<https://digitalcommons.lsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1023&context=jcls>>, [12.06.2019].

გერმანული მოწესრიგებისგან, ვენის კონვენციის მიხედვით, დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში მყიდველს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება, როდესაც გამყიდველს საერთოდ არ მიუწოდებია მისთვის ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონელი.¹³⁹ თუკი გამყიდველმა მყიდველს არ მიაწოდა საქონლის ნაწილი, დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის საფუძველით, მყიდველს მხოლოდ ამ ნაწილთან მიმართებით შეუძლია უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე¹⁴⁰, რამდენადაც შეთანხმებული პროდუქციის მხოლოდ ნაწილის მიუწოდებლობის შემთხვევაში, მთლიან ხელშეკრულებაზე უარის თქმა არაგონივრული იქნება¹⁴¹, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვალდებულების ნაწილობრივი შეუსრულებლობა წარმოადგენს ხელშეკრულების ფუნდამენტურ დარღვევას.¹⁴²

მეორე და ასევე არსებითი განსხვავება დამატებითი ვადის დაწესებასთან მიმართებით ვენის კონვენციითა და გერმანული სამართლით აღიარებულ მიდგომებს შორის არის ის, რომ ვენის კონვენცია დაზარალებულ მხარეს არ ავალდებულებს ხელშეკრულების დამრღვევი მხარისათვის დამატებითი ვადის დაწესებას, იგი უბრალოდ შესაძლებლობას აძლევს მას გამოიყენოს დამატებითი ვადის დაწესების მექანიზმი.¹⁴³

რაც შეეხება დამატებითი ვადის ხანგრძლივობას, ვენის კონვენცია ადგენს, რომ ასეთი ვადა უნდა იყოს გონივრული, თუმცა არ განსაზღვრავს გონივრული ვადის ცნებას. ზოგადად, მიჩნეულია, რომ თუ დაზარალებული მხარე, მაგალითად, არის მყიდველი, მის მიერ დაწესებული ვადა იქნება გონივრული თუ ასეთი ვადა შეესაბამება მყიდველის მიზანს მიიღოს რეალური შესრულება და ასევე ითვალისწინებს გამყიდველის შესაძლებლობას უზრუნველყოს საქონლის მიწოდება დროის ამ მონაკვეთში.¹⁴⁴

¹³⁹ იხ. Cisg art. 49 (1) (b).

¹⁴⁰ იხ. Cisg art. 51(1); *Magnus U.*, The Vienna Sales Convention (CISG) between Civil and Common law – Best of all Worlds? J. Civ. L. Stud., Vol. 3, No. 1, 2010, 87, <<https://digitalcommons.law.lsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1023&context=jcls>>, [12.06.2019].

¹⁴¹ *Kee C.*, Remedies for breach of contract where only part of the contract has been performed: Comparison between provisions of CISG (Articles 51, 73) and counterpart provisions of the Principles of European Contract Law, 2002, 286, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/kee.html>>, [5.06.2019].

¹⁴² იხ. Cisg art. 51 (2).

¹⁴³ *DiPalma M.*, Nachfrist under National Law, the CISG, and the UNIDROIT and European Principles - A Comparison, International Contract Adviser (Kluwer), Vol. 5, No. 1, 1999, 3, <http://www.sisudoc.org/cisg/en/pdf/nachfrist_under_national_law_the_cisg_and_the_unidroit_and_european_principles_a_comparison.maryellen_dipalma.landscape.a4.pdf>, [15.06.2019].

¹⁴⁴ *Kazimierska A.*, The Remedy of Avoidance under the Vienna Convention on the International Sale of Goods, 1999-2000, 112, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/kazimierska.html>>, [19.06.2019].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამატებითი ვადის ამოწურვამდე დაზარალებულ მხარეს არ შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების დამრღვევი მხარისგან შესრულების განხორციელება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას, თავდაპირველად, შეეძლო ჰქონდა ასეთი უფლება.¹⁴⁵

დ. გამყიდველის უფლება გამოასწოროს ნაკლი (Right to Cure)

ვენის კონვენციის 48-ე მუხლის საფუძველზე გამყიდველს შეუძლია გამოასწოროს შესრულების ნაკლი ვალდებულების შესრულებისთვის გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგაც გონივრულ ვადაში, თუ ეს არ გამოიწვევს არაგონივრულ დაყოვნებას ან შეუსაბამო გაურკვევლობას მყიდველისათვის.¹⁴⁶ გამყიდველის აღნიშნული უფლება კონკურირებს მყიდველის უფლებასთან უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში ჩამოყალიბებული არ არის ერთიანი მიდგომა იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ მათგანს უნდა მიენიჭოს უპირატესობა. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, გამყიდველის უფლება გამოასწოროს შესრულების ნაკლი გამორიცხავს მყიდველის უფლებას გავიდეს ხელშეკრულებიდან, საწინააღმდეგოს დაშვების შემთხვევაში კი გამყიდველის ასეთი უფლების არსებობა აზრს დაკარგავდა.¹⁴⁷ სხვა მოსაზრების თანახმად, ვენის კონვენცია არ ავალდებულებს დაზარალებულ მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლამდე გამყიდველისთვის ნაკლის გამოსწორების შესაძლებლობის მიცემას¹⁴⁸, რის გამოც გამყიდველს უფლება აქვს გამოასწოროს ნებისმიერი არსებითი დარღვევა მხოლოდ მანამ, სანამ მყიდველი აცნობებდეს, რომ უარს ამბობს ხელშეკრულებაზე.¹⁴⁹ თუმცა თუკი მხედველობაში მივიღებთ ვენის კონვენციის ზოგად პრინციპს, რომლის თანახმად, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ვალდებულების რეალურ

¹⁴⁵ *Liu C.*, Additional Period (Nachfrist) for Late Performance: Perspectives from the CISG, UNIDROIT Principles, PECL and Case Law, 2nd ed., 2005, Chapter 5, Para 5.1, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/liu4.html>>, [10.05.2019].

¹⁴⁶ *Magnus U.*, The Vienna Sales Convention (CISG) between Civil and Common law – Best of all Worlds? *J. Civ. L. Stud.*, Vol. 3, No. 1, 2010, 80, <<https://digitalcommons.law.lsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1023&context=jcls>>, [12.06.2019]; *Schneider E. C.*, The Seller's Right to Cure under the Uniform Commercial Code and the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, *Ariz. J. Int'l & Comp. L.*, Vol. 7, 1989-1990, 77-78, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/schneider.html>>, [24.04.2019];

¹⁴⁷ *Honnold J. O.*, Uniform Law for International Sales under the 1980 United Nations Convention, 3rd edition, 1999, 320 <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/honnold.html>>, [21.05.2019];

¹⁴⁸ *Ziegel J. S.*, The Remedial Provisions in the Vienna Sales Convention: Some Common Law Perspectives, 1984, 9-23, <<https://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/ziegel6.html#903>>, [28.04.2019].

¹⁴⁹ *Gonzalez O.*, Remedies under the U.N. Convention for the International Sale of Goods, *INT'L TAX & BUS. LAW.*, Vol. 2, Iss. 1, 1984, 89, <<https://scholarship.law.berkeley.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1013&context=bjil>>, [23.04.2019].

შესრულებას, გაზიარებულ უნდა იქნეს პირველი მიდგომა. მით უმეტეს, რომ მყიდველი არ კარგავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, თუკი დაყოვნებამ გამოიწვია მისი ინტერესების შელახვა.¹⁵⁰

გამყიდველის უფლება გამოასწოროს ნაკლი, გამოირიცხება მყიდველის უფლებით მოითხოვოს საქონლის შეცვლა, როდესაც ადგილი აქვს ხელშეკრულების ფუნდამენტურ დარღვევას. როდესაც არ იკვეთება ფუნდამენტური დარღვევის ფაქტი და მყიდველი ვერ მოითხოვს ნივთის შეცვლას, ასევე, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, არც ნივთის შეკეთებაა შესაძლებელი, მყიდველმა უნდა დაიტოვოს საქონელი და შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ ფასის შემცირება ან ზიანის ანაზღაურება.¹⁵¹

ე. რეალური შესრულების მოთხოვნის გამორიცხვა ვენის კონვენციის 28-ე მუხლის საფუძველზე

ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, ვალდებულების შესრულების მოთხოვნის წარმოშობა, უცხო არ არის კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახის ქვეყნებისათვის¹⁵², განსხვავებით საერთო სამართლის ქვეყნებისაგან, სადაც დაზარალებულ მხარეს, ჩვეულებრივ, არა ვალდებულების შესრულების, არამედ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოეშობა¹⁵³ და შესაბამისად, სასამართლოებიც

¹⁵⁰ იქვე.

¹⁵¹ *Schneider E. C.*, The Seller's Right to Cure under the Uniform Commercial Code and the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, *Ariz. J. Int'l & Comp. L.*, Vol. 7, 1989-1990, 82-83, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/schneider.html>>, [24.04.2019]; *Schlechtriem P.*, Uniform Sales Law - The UN-Convention on Contracts for the International Sale of Goods, Vienna, 1986, 76, <<https://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/schlechtriem.html>>, [24.04.2019].

¹⁵² *Khandani K.M.*, Does the CISG, compared to English law, put too much emphasis on promoting performance of the contract despite a breach by the seller? 2012, 120, <[https://www.humanities.manchester.ac.uk/medialibrary/law/main_site/Research/Student_Law_Review1/MSLR_Vol1_9\(Khandani\).pdf](https://www.humanities.manchester.ac.uk/medialibrary/law/main_site/Research/Student_Law_Review1/MSLR_Vol1_9(Khandani).pdf)>, [15.05.2019]; *Kastely A. H.*, The Right to Require Performance in International Sales: Towards an International Interpretation of the Vienna Convention, 1988, 610, <<https://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/kastely1.html>>, [15.05.2019]; *Bridge M.*, A Law for International Sales, 2007, 34, <<https://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/bridge3.html>>, [10.06.2019]; *Gonzalez O.*, Remedies under the U.N. Convention for the International Sale of Goods, *INT'L TAX & BUS. LAW.*, Vol. 2, Iss. 1, 1984, 96, <<https://scholarship.law.berkeley.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1013&context=bjil>>, [23.04.2019]; *Fitzgerald J.*, CISG, Specific Performance, and the Civil Law of Louisiana and Quebec, *J.L. & Com.*, Vol. 16, 1997, 301, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/1fitz.html>>, [17.05.2019]; *ძლიერიშვილი ზ.*, ვალდებულების შესრულება, თბილისი, 2006, 76.

¹⁵³ *Koskinen J.*, CISG, Specific Performance and Finnish Law, 1999, 23, <http://www.sisudoc.org/cisg/en/pdf/cisg_specific_performance_and_finnish_law.jussi_koskinen_landscape.letter.pdf>, [15.06.2019]; *Basedow J.*, Towards a Universal Doctrine of Breach of Contract: The Impact of the CISG, 2005, 492-493, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/basedow.html>>, [15.06.2019].

ნაკლებად აკისრებენ ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს რეალური შესრულების ვალდებულებას.¹⁵⁴ ასეთ გადაწყვეტილებას სასამართლო, როგორც წესი, მხოლოდ მაშინ იღებს, როდესაც ზიანის ანაზღაურება ვერ უზრუნველყოფს დაზარალებული მხარის შელახული ინტერესის სრულყოფილ კომპენსირებას.¹⁵⁵ აღსანიშნავია ისიც, რომ საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს რეალური შესრულება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება დაეკისროს, ვენის კონვენციის თანახმად კი, რეალური შესრულების მოთხოვნა მყიდველის არჩევანს წარმოადგენს და მას ამ უფლების განსახორციელებლად სასამართლოსთვის მიმართვა არ სჭირდება.¹⁵⁶ მყიდველს შეუძლია გამყიდველს ზეპირი ან წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით, დაუნიშნოს კონკრეტული საქმის გარემოებებისთვის შესაფერისი გონივრული ვადა და მოსთხოვოს მას ვალდებულების შესრულება. მიუხედავად ამგვარი შესაძლებლობის არსებობისა, ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა, გამყიდველმა, რომელიც არღვევს ხელშეკრულების პირობებს, ნებაყოფლობით არ შეასრულოს ვალდებულება.¹⁵⁷

აღნიშნული განსხვავების დაბალანსების მიზნით, ვენის კონვენცია გარკვეულ კომპრომისზე მიდის და 28-ე მუხლით ადგენს, რომ სასამართლო ვალდებული არ არის დააკისროს ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს ვალდებულების შესრულება, თუ იგი ამას არ გააკეთებდა საკუთარ შიდა კანონმდებლობაზე დაყრდნობით, ყიდვა-გაყიდვის ანალოგიური ხელშეკრულებების მიმართ, რომლებსაც ეს კონვენცია არ აწესრიგებს.¹⁵⁸

¹⁵⁴ *Schneider E. C.*, The Seller's Right to Cure under the Uniform Commercial Code and the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, *Ariz. J. Int'l & Comp. L.*, Vol. 7, 1989-1990, 78, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/schneider.html>>, [24.04.2019];

¹⁵⁵ *Liu C.*, Remedies for Non-performance - Perspectives from CISG, UNIDROIT Principles & PECL, 2003, 29, <http://www.sisudoc.org/cisg/en/pdf/remedies_for_non_performance_perspectives_from_cisg_upicc_and_pecl.chengwei_liu.landscape.a4.pdf>, [16.06.2019]; *კანდელაკარი რ.*, რეალური შესრულება თუ ზიანის ანაზღაურება: საერთაშორისო კონვენსუსი? საიუბილეო კრებული „სერგო ჯორბენაძე – 70“, თბილისი, 1996, 111.

¹⁵⁶ *Piliounis P. A.*, The Remedies of Specific Performance, Price Reduction and Additional Time (Nachfrist) Under the CISG: Are These Worthwhile Changes or Additions to English Sales Law? 2000, 15, <<https://digitalcommons.pace.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1221&context=pilr>>, [10.06.2019].

¹⁵⁷ *Babiak A.*, Defining "Fundamental Breach" Under the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, 1992, 129, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/babiak.html>>, [10.06.2019].

¹⁵⁸ *Magnus U.*, The Vienna Sales Convention (CISG) between Civil and Common law – Best of all Worlds? *J. Civ. L. Stud.*, Vol. 3, No. 1, 2010, 77, <<https://digitalcommons.lsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1023&context=jcls>>, [12.06.2019];

თუმცა აღნიშნულ დათქმას უფრო მეტი გაურკვევლობა შემოაქვს, ვიდრე სიცხადე. იგი პრაქტიკულად მნიშვნელობას ართმევს დაზარალებული მხარისთვის მინიჭებულ უფლებას მოითხოვოს ვალდებულების შესრულება¹⁵⁹ და საფრთხის ქვეშ აყენებს ვენის კონვენციის მიზანს განახორციელოს საერთაშორისო ნასყიდობის სამართლის უნიფიკაცია.¹⁶⁰ ბუნდოვანია აღნიშნულ მუხლში მითითებული ისეთი ფრაზების მნიშვნელობა როგორცაა: „საკუთარი შიდა კანონმდებლობა“, „ყიდვა-გაყიდვის ანალოგიური ხელშეკრულებები“, „ვალდებულების შესრულება“, მოცემული ფრაზები შესაძლოა განსხვავებულად იქნეს გაგებული იმისდა მიხედვით, თუ ვინ კითხულობს მას, საერთო სამართლის თუ კონტინენტური ევროპის სამართლის იურისტი.¹⁶¹

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ვენის კონვენცია უპირატესობას რეალური შესრულების მოთხოვნას ანიჭებს, აღნიშნული სამართლებრივი დაცვის საშუალება შეიძლება გამოირიცხოს ვენის კონვენციის 28-ე მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმად, სასამართლო არ არის ვალდებული დააკისროს მხარეს ვალდებულების რეალური შესრულება, თუ იგი ასეთ გადაწყვეტილებას არ გამოიტანდა თავისი შიდა კანონმდებლობის საფუძველზე. მაშასადამე, დაზარალებული მხარისათვის რეალური შესრულების მიღება დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნის სასამართლო განიხილავს დავას და მიუხედავად მცდელობისა, ვენის კონვენცია ვერ უქმნის დაზარალებულ მხარეს ვალდებულების რეალური შესრულების მიღების გარანტიას. ამავე დროს, სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმ შემთხვევაში თუ დავის განმხილველი სასამართლოს შიდა კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ვალდებულების რეალური შესრულების დაკისრებას მხარისათვის, სასამართლო ვალდებული არ არის უარი განაცხადოს რეალური შესრულების დაკისრებაზე და მას ვენის კონვენციის შესაბამის

Walt S., For Specific Performance Under the United Nations Sales Convention, *Tex. Int'l L. J.*, Vol. 26, Iss. 2, 1991, 217-218, <<https://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/walt.html>>, [28.05.2019].

¹⁵⁹ *Koskinen J.*, CISG, Specific Performance and Finnish Law, 1999, 24, <http://www.sisudoc.org/cisg/en/pdf/cisg_specific_performance_and_finnish_law.jussi_koskinen.landscape.letter.pdf>, [16.06.2019].

¹⁶⁰ *Piliounis P. A.*, The Remedies of Specific Performance, Price Reduction and Additional Time (Nachfrist) Under the CISG: Are These Worthwhile Changes or Additions to English Sales Law? 2000, 16, <<https://digitalcommons.pace.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1221&context=pilr>>, [10.06.2019].

¹⁶¹ *Liu C.*, Remedies for Non-performance - Perspectives from CISG, UNIDROIT Principles & PECL, 2003, 32, <http://www.sisudoc.org/cisg/en/pdf/remedies_for_non_performance_perspectives_from_cisg_upicc_and_pecl.chengwei_liu.landscape.a4.pdf>, [16.06.2019];

მუხლებზე დაყრდნობით მაინც შეუძლია დააკმაყოფილოს დაზარალებული მხარის ამგვარი მოთხოვნა.¹⁶²

რეალური შესრულების უპირატესობა მეტად ხაზგასმულია სხვა სამართლებრივ აქტებში, რომლებიც სახელშეკრულებო სამართლის უნიფიკაციას ისახავენ მიზნად, მათ შორის არის „უნიდრუს საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპები“¹⁶³ და „ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები“¹⁶⁴. აღნიშნული აქტებიდან ცალსახად გამომდინარეობს, რომ რეალური შესრულება წარმოადგენს დაზარალებული მხარისთვის უპირატესად გამოსაყენებელ სამართლებრივი დაცვის საშუალებას, ამავე დროს, აღნიშნული მოთხოვნა შეზღუდული არ არის ვენის კონვენციის 28-ე მუხლის მსგავსი დანაწესით.¹⁶⁵

IV. ფასის შემცირების მოთხოვნა

ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებას ზიანის ანაზღაურების მეორადი მოთხოვნის უფლების ნაირსახეობად მიიჩნევენ, თუმცა მისგან განსხვავებით, ფასის შემცირების მოთხოვნის უფლების განხორციელებისათვის სავალდებულო არ არის მოვალის ბრალეულობის არსებობა.¹⁶⁶

გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, ფასის შემცირების მოთხოვნის მეორადი უფლების გამოყენების შესაძლებლობა გათვალისწინებულია როგორც ვენის კონვენციით, ასევე ქართული სახელშეკრულებო სამართლით.

ა. ფასის შემცირების მოთხოვნა სსკ-ს მიხედვით

¹⁶² *Koskinen J.*, CISG, Specific Performance and Finnish Law, 1999, 25, <http://www.sisudoc.org/cisg/en/pdf/cisg_specific_performance_and_finnish_law.jussi_koskinen_land scape.letter.pdf>, [16.06.2019]; *Gonzalez O.*, Remedies under the U.N. Convention for the International Sale of Goods, INT'L TAX & BUS. LAW., Vol. 2, Iss. 1, 1984, 96-97, <<https://scholarship.law.berkeley.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1013&context=bjil>>, [23.04.2019]; ¹⁶³ UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, International Institute for the Unification of Private Law (UNIDROIT), Rome, 2004, <<https://www.unidroit.org/english/principles/contracts/principles2004/integralversionprinciples2004-e.pdf>>, [8.05.2019].

¹⁶⁴ Principles of European Contract Law (PECL) – Parts I and II - Revised 1998, Part III – 2002, <<https://www.jus.uio.no/lm/eu.contract.principles.parts.1.to.3.2002/>>, [8.05.2019].

¹⁶⁵ *Piliounis P. A.*, The Remedies of Specific Performance, Price Reduction and Additional Time (Nachfrist) Under the CISG: Are These Worthwhile Changes or Additions to English Sales Law? 2000, 18-19, <<https://digitalcommons.pace.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1221&context=pilr>>, [10.06.2019].

¹⁶⁶ *ჩიტაშვილი ნ.*, შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2014, 183, <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/natia_chitashvili.pdf>, [12.05.2019].

მყიდველს შეუძლია გამოიყენოს ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლება იმ შემთხვევაში, როდესაც იგი გამყიდველისაგან არ ითხოვს ნივთის ნაკლის გამოსწორებას ან ახლით მის შეცვლას გამყიდველისათვის საამისოდ მიცემული ვადის გასვლის შემდეგ და არც ხელშეკრულებაზე ამბობს უარს.¹⁶⁷ ფასის შემცირების მოთხოვნა, ჩვეულებრივ, ცალმხრივი ნების გამოვლენით ხორციელდება, თუმცა მყიდველს მისი განხორციელება კონკლუდენტური მოქმედებით, ფასის გადახდისას გარკვეული თანხის დაკავების გზითაც შეუძლია.¹⁶⁸ ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის ბუნებიდან გამომდინარე, მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ ხელშეკრულებებში, სადაც საპასუხო შესრულებად ფულადი ანაზღაურებაა გათვალისწინებული.¹⁶⁹

რაც შეეხება შემცირებული ფასის გამოთვლას ნაკლიანი ნივთის მიწოდების შემთხვევაში, ამისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა უნდა შემცირდეს დაახლოებით იმ ოდენობით, რაც საჭირო იქნება ნივთის ნაკლის გამოსწორებისთვის.¹⁷⁰ ხოლო თუ შესრულების ნაკლი იქიდან გამომდინარეობს, რომ გამყიდველმა მყიდველს იმაზე ნაკლები საქონელი მიაწოდა, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, დაზარალებული მხარე სსკ-ს 493-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე უფლებამოსილია ხელშეკრულებით შეთანხმებულ საზღაურს ფასი დააკლოს განუხორციელებელი შესრულების პროპორციულად და თანხა მხოლოდ მიღებული შესრულების შესაბამისად გადაიხადოს.¹⁷¹

ბ. ფასის შემცირების მოთხოვნა ვენის კონვენციის მიხედვით

ფასის შემცირების მოთხოვნის უფლებას მყიდველს ვენის კონვენციის 50-ე მუხლი ანიჭებს. ფასის შემცირების მოთხოვნა, ვენის კონვენციის მიხედვით, მხოლოდ მაშინ გამოიყენება, როდესაც მყიდველს მიეწოდება ნაკლიანი საქონელი და ეს უკანასკნელიც უარს არ იტყვის მის მიღებაზე.¹⁷²

¹⁶⁷ იხ. სსკ-ს 492-ე მუხლი.

¹⁶⁸ ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2010, 63, <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/sofio_chachava.pdf>, [10.05.2019].

¹⁶⁹ ჩაჩავა ს., მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, 55-56.

¹⁷⁰ იქვე, 55.

¹⁷¹ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2014, 183, <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/natia_chitashvili.pdf>, [12.05.2019].

¹⁷² Gonzalez O., Remedies under the U.N. Convention for the International Sale of Goods, INT'L TAX & BUS. LAW., Vol. 2, Iss. 1, 1984, 91-92, <<https://scholarship.law.berkeley.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1013&context=bjil>>, [23.04.2019];

ამასთან, ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლების გამოყენების წინაპირობად ვენის კონვენციის 50-ე მუხლი არ მიიჩნევს ხელშეკრულების ფუნდამენტურ დარღვევას. აღნიშნული მეორადი მოთხოვნის ცალმხრივი ხასიათი აქცევს მას უნიკალურად ვენის კონვენციით გათვალისწინებულ სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალებებს შორის.¹⁷³ ამავე დროს, ფასის შემცირების მოთხოვნის განხორციელებისთვის დაზარალებულ მხარეს არ სჭირდება სასამართლოსთვის მიმართვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამყიდველი სადავოდ ხდის ნაკლის არსებობას ან შემცირებული ფასის ოდენობას.¹⁷⁴ მყიდველს ნაკლიანი საქონლის მიღებისას შეუძლია ისარგებლოს ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებით, მიუხედავად იმისა, მის მიერ ფასი უკვე გადახდილია, თუ – არა.¹⁷⁵

იშვიათი არ არის შემთხვევები, როდესაც მყიდველს ურჩევნია მოითხოვოს ფასის შემცირება, ნაცვლად ზიანის ანაზღაურებისა. ასეთ შემთხვევას ადგილი მაშინ, როდესაც მყიდველი ვერ ამტკიცებს ნაკლიანი საქონლის მიღებით მიყენებული ზიანის არსებობას. ამის მიზეზი, შესაძლოა, იყოს ის, რომ მყიდველმა საქონელი შეიძინა არაკომერციული მიზნებისთვის. მაგალითად, თუ მყიდველის მიზანია ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის საქველმოქმედო მიზნით გამოყენება, მას არ მიადგება უშუალო ზიანი საქონლის უხარისხობის გამო, ამიტომაც, მტკიცების ტვირთის გამარტივების მიზნით მისთვის უმჯობესია მოითხოვოს ფასის შემცირება.¹⁷⁶

სწორედ ფასის შემცირების მოთხოვნის შესაძლებლობა იცავს მყიდველის ინტერესებს მაშინ, როდესაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გამოყენება გამორიცხულია ვენის კონვენციის 79-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გამო.¹⁷⁷ მაგალითად, თუ მალფუჭებადი საქონლის ტრანზიტით მიწოდებისას ფორს-მაჟორული გარემოებები შეაყოვნებს საქონლის მიწოდებას, რაც გამოიწვევს მისი ღირებულების შემცირებას, თუმცა მყიდველი მაინც არ განაცხადებს უარს საქონლის

¹⁷³ იქვე, 92.

¹⁷⁴ იქვე.

¹⁷⁵ იხ. Cistg art. 50.

¹⁷⁶ Piliounis P. A., The Remedies of Specific Performance, Price Reduction and Additional Time (Nachfrist) Under the CISG: Are These Worthwhile Changes or Additions to English Sales Law? 2000, 33-34, <<https://digitalcommons.pace.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1221&context=pilr>>, [10.06.2019].

¹⁷⁷ **ვენის კონვენციის 79 (1) მუხლი:** მხარეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა თავისი ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, თუ დაამტკიცებს, რომ იგი გამოწვეული იყო დაბრკოლებით, რომელიც მის კონტროლს არ ექვემდებარება და რომ არაგონივრული იყო მისგან ამ დაბრკოლების გათვალისწინება ხელშეკრულების დადების დროს ან ამ დაბრკოლების ან მისი შედეგების თავიდან აცილება ან გადალახვა. **ვენის კონვენციის 79 (5) მუხლი:** ამ მუხლში არაფერი არ უშლის ხელს არც ერთ მხარეს განახორციელოს სხვა ნებისმიერი უფლება, გარდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისა ამ კონვენციის საფუძველზე.

მიღებაზე, ამ შემთხვევაში მისთვის ხელმისაწვდომი ერთადერთი სამართლებრივი დაცვის საშუალება იქნება ფასის შემცირების მოთხოვნა.¹⁷⁸

ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის მნიშვნელობა ყველაზე მეტად კი თავს იჩენს იმ შემთხვევებში, როდესაც საქონლის საბაზრო ფასი არსებითად იცვლება ხელშეკრულების დადებიდან პროდუქციის მიწოდებამდე პერიოდში.¹⁷⁹ მაგალითად, განვიხილოთ ასეთი შემთხვევა: ხელშეკრულების საგანია 100000 ევროს ღირებულების ყველი, რომელიც მყიდველისათვის მიწოდებისას არის დაობებული. საქონლის ნაკლი მის ღირებულებას ამცირებს 1/5-ით. ვენის კონვენციის 50-ე მუხლის თანახმად, მყიდველი უფლებამოსილია მიიღოს ნაკლიანი საქონელი და თავდაპირველად შეთანხმებულ თანხას დააკლოს ფასი საქონლის ამჟამინდელი ფასის პროპორციულად, შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში მყიდველს შეუძლია გადაიხადოს მხოლოდ 100000 ევროს 1/5 ანუ 20000 ევრო.¹⁸⁰ ამგვარად, განსხვავებით ზიანისაგან, რომელიც ანგარიშდება იმის მიხედვით თუ რა დანაკარგი განიცადა დაზარალებულმა მხარემ, ფასის შემცირებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თუ რამდენად ჩამოუვარდება მიწოდებული საქონლის ხარისხი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარისხს.¹⁸¹

გ. ფასის შემცირებისა და სხვა მეორადი მოთხოვნის უფლებათა კონკურენცია

თავდაპირველად, შევაფასოთ დამატებითი შესრულებისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებათა ურთიერთმიმართება სსკ-ს მიხედვით.

სსკ-ს 492-ე მუხლიდან გამომდინარეობს, რომ დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის უფლება (ისევე როგორც სხვა დანარჩენი

¹⁷⁸ Piliounis P. A., *The Remedies of Specific Performance, Price Reduction and Additional Time (Nachfrist) Under the CISG: Are These Worthwhile Changes or Additions to English Sales Law?* 2000, 34, <<https://digitalcommons.pace.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1221&context=pilr>>, [10.06.2019]; Gonzalez O., *Remedies under the U.N. Convention for the International Sale of Goods*, INT'L TAX & BUS. LAW., Vol. 2, Iss. 1, 1984, 92, <<https://scholarship.law.berkeley.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1013&context=bjil>>, [23.04.2019];

¹⁷⁹ Piliounis P. A., *The Remedies of Specific Performance, Price Reduction and Additional Time (Nachfrist) Under the CISG: Are These Worthwhile Changes or Additions to English Sales Law?* 2000, 34-35, <<https://digitalcommons.pace.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1221&context=pilr>>, [10.06.2019].

¹⁸⁰ Piliounis P. A., *The Remedies of Specific Performance, Price Reduction and Additional Time (Nachfrist) Under the CISG: Are These Worthwhile Changes or Additions to English Sales Law?* 2000, 34-35, <<https://digitalcommons.pace.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1221&context=pilr>>, [10.06.2019].

¹⁸¹ Bergsten E. E., Miller A. J., *The Remedy of Reduction of Price*, Am. J. Comp. L., Vol. 27, Iss. 2-3, 1979, 259, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/bergsten.html>>, [5.06.2019].

მეორადი მოთხოვნის უფლებათა შემთხვევაში) მყიდველმა ფასის შემცირების მოთხოვნის წარდგენამდე უნდა განახორციელოს. აღნიშნული დასკვნის საშუალებას იძლევა ის გარემოება, რომ ფასის შემცირების მოთხოვნის უფლება მყიდველს მხოლოდ მას შემდეგ აქვს, რაც ამოიწურება ნაკლის გამოსწორების ან მისი ახლით შეცვლისათვის მიცემული ვადა.¹⁸² ხოლო იმ შემთხვევაში თუ ამგვარი ვადის გასვლის შემდეგ მყიდველი გამყიდველისაგან კვლავ ვალდებულების შესრულებას მოითხოვს, იგი კარგავს პარალელურად ფასის შემცირების მოთხოვნის უფლებას, რის გამოც ფასის შემცირების მოთხოვნა შესაძლებელია განმარტებული იქნეს, როგორც დამატებითი შესრულების ალტერნატიული მეორადი მოთხოვნა.¹⁸³ ამასთან, ფასის შემცირებისა და დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის უფლებები მხოლოდ დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის უპირატესად და უშედეგოდ გამოყენების შემდეგ ქმნიან ერთმანეთის მიმართ ალტერნატიულ კონკურენციას, მანამდე კი დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნა გამორიცხავს ფასის შემცირების მოთხოვნის უფლებას.

ვენის კონვენციის მიხედვით, ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლება ალტერნატიულ კონკურენციაშია მყიდველის ისეთი მეორადი მოთხოვნის უფლებებთან, როგორცაა: ნაკლიანი ნივთის უნაკლოთი შეცვლა და ნაკლის გამოსწორება.¹⁸⁴ განსხვავებით სსკ-სგან, ვენის კონვენცია დაზარალებულ მხარეს არ ავალდებულებს, ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლების გამოყენებამდე, გამყიდველისთვის ვალდებულების შესრულებისთვის დამატებითი ვადის დანიშვნას.

რაც შეეხება ფასის შემცირებისა და ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლებათა კონკურენციას, რამდენადაც სსკ-ს 492-ე მუხლი არ ადგენს თუ რა თანმიმდევრობით შეუძლია მყიდველს ამ ორი უფლების განხორციელება¹⁸⁵, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფასის შემცირების მოთხოვნა ალტერნატიულ კონკურენციას ქმნის ხელშეკრულებიდან გასვლის

¹⁸² *ბაჩიაშვილი ვ.*, დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 188.

¹⁸³ *ჩიტაშვილი ნ.*, შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2014, 186, <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/natia_chitashvili.pdf>, [12.05.2019].

¹⁸⁴ ფასის შემცირებისა და ვენის კონვენციის 46 (1) მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებათა ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით იხ. ქვეთავი „ვალდებულების შესრულების მოთხოვნა ვენის კონვენციის 46 (1) მუხლის საფუძველზე“.

¹⁸⁵ *ჩიტაშვილი ნ.*, შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2014, 185, <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/natia_chitashvili.pdf>, [12.05.2019].

მეორადი მოთხოვნის უფლებასთან მიმართებითაც და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლების გამოყენება აქარწყლებს ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოყენების შესაძლებლობას.¹⁸⁶ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლებისაგან განსხვავებით, ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლების გამოყენება მყიდველს მაშინაც შეუძლია, როდესაც ადგილი აქვს ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევას.¹⁸⁷

ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლება, სსკ-ს მსგავსად, ვენის კონვენციის მიხედვითაც გამოირიცხება თუ მყიდველი უარს განაცხადებს ხელშეკრულებაზე¹⁸⁸ ან არ მიიღებს საქონელს ვენის კონვენციის 52-ე მუხლის შესაბამისად. ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლების გამოყენებას გამორიცხავს ასევე გამყიდველის მიერ, ვენის კონვენციის 37-ე ან 48-ე მუხლების შესაბამისად, ნაკლის გამოსწორება.

მართალია, ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლების გამოყენება, ჩვეულებრივ, გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, თუმცა არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც. ასეთ შემთხვევას აქვს ადგილი მაშინ, როდესაც მყიდველს ზიანი მიადგება გამყიდველის მიერ მიწოდებული ნაკლიანი დანადგარის გამო.¹⁸⁹ მაგალითად, თუ ნაკლიანი დანადგარის გამოყენებამ გაანადგურა მყიდველის პროდუქცია, რითაც ამ უკანასკნელს მიადგა დიდი ოდენობით ზიანი, ამ შემთხვევაში მყიდველს შეუძლია გამყიდველისაგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და ნაკლიანი დანადგარის დატოვების შემთხვევაში, პარალელურად შეუძლია ნაკლის გამო მოითხოვოს დანადგარის ფასის შემცირებაც.

ამდენად, გარკვეული გამონაკლისების გარდა, მყიდველს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია მიმართოს ფასის შემცირების მეორად მოთხოვნას თუ იგი გამყიდველისაგან არ ითხოვს დამატებით შესრულებას, არც ხელშეკრულებაზე ამბობს უარს და არც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარუდგენია.

¹⁸⁶ ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2010, 63-64, <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/sofio_chachava.pdf>, [10.05.2019].

¹⁸⁷ ბაჩიაშვილი ვ., დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 189.

¹⁸⁸ იხ. Cist art. 81.

¹⁸⁹ Gonzalez O., Remedies under the U.N. Convention for the International Sale of Goods, INT'L TAX & BUS. LAW., Vol. 2, Iss. 1, 1984, 92, <<https://scholarship.law.berkeley.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1013&context=bjil>>, [23.04.2019];

V. ხელშეკრულებიდან გასვლა

ა. ხელშეკრულებიდან გასვლის ცნება

ხელშეკრულებიდან გასვლა უკიდურეს სამართლებრივი დაცვის საშუალებას წარმოადგენს.¹⁹⁰ იგი, ზოგადად, მაშინ არის ხელმისაწვდომი დაზარალებული მხარისათვის, როდესაც ცალკე აღებული, რომელიმე სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალება ვერ უზრუნველყოფს მისი ინტერესების დაცვას. დაზარალებული მხარის უფლებების დაცვის სხვადასხვა სამართლებრივი საშუალება, მათ შორის რეალური შესრულება და ფასის შემცირება, შემუშავებულ იქნა იმისათვის, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნა ნაკლებად ხელმისაწვდომი და მიმზიდველი ყოფილიყო დაზარალებული მხარისათვის.¹⁹¹ ვენის კონვენციის აღნიშნული მიდგომა, არ დაუშვას ხელშეკრულებიდან გასვლა უკიდურეს მომენტამდე, განპირობებულია მხარეთა სახელშეკრულებო ინტერესის დაცვით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეები შეძლებდნენ ბოროტად ესარგებლათ აღნიშნული უფლებით. მაგალითად, გამყიდველი უარს იტყოდა ხელშეკრულებაზე საბაზრო ფასების გაზრდისას, მყიდველი კი, პირიქით, საბაზრო ფასების შემცირებისას შეეცდებოდა თავი დაეღწია ნაკლებად ხელსაყრელი სახელშეკრულებო ვალდებულებებისათვის, რაც ხელს შეუშლიდა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობების განვითარებასა და სანდოობას.¹⁹²

ხელშეკრულებიდან გასვლა ხორციელდება ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენით, რისთვისაც საჭირო არ არის მეორე მხარის თანხმობა.¹⁹³ აღნიშნული მიდგომა გაზიარებულია, როგორც სსკ-ს, ისე

¹⁹⁰ *Graffi L.*, Case Law on the Concept of "Fundamental Breach" in the Vienna Sales Convention, Int'l Bus. L. J., No. 3, 2003, 345, <<https://cisgw3.law.pace.edu/cisg/biblio/graffi.html>>, [19.06.2019].

¹⁹¹ *da Silveira M. A.*, Termination of Contract under the Principles of European Contract Law - A Comparative Study, 2006, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/silveira.html>>, [10.06.2019].

¹⁹² *Nyer D.*, Withholding Performance for Breach in International Transactions: an Exercise in Equations, Proportions or Coercion? Pace Int'l L. Rev., Vol. 18, Iss. 1, 2006, 39, <<https://digitalcommons.pace.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1072&context=pilr>>, [18.05.2019].

¹⁹³ *ჩიტაშვილი ნ.*, შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2014, 204, <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/natia_chitashvili.pdf>, [12.05.2019]; *Zimmerman R.*, Breach of Contract and Remedies under the New German Law of Obligations, Roma, 2002, 41, <<https://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/zimmerman.html>>, [2.07.2019]; *ახვლედიანი ზ.*, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 1999, 36; *იან კროპკოლერი*, გსკ-ის კომენტარი, თბილისი, 2014, 248; იხ. ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 1 დეკემბრის განჩინება საქმეზე: №ას-1003-924-2017; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ივლისის განჩინება საქმეზე: №ას-1209-1169-2016.

ვენის კონვენციის მიერ. ვენის კონვენციის 26-ე მუხლი ადგენს, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა თუ ამის შესახებ შეტყობინება მიუვა მეორე მხარეს. აღნიშნული მუხლი არ აკონკრეტებს თუ რა ინფორმაციას უნდა შეიცავდეს ასეთი შეტყობინება, თუმცა სასურველია იგი შეიცავდეს ინფორმაციას იმ მიზეზის შესახებ, რამაც განაპირობა უარის თქმა ხელშეკრულებაზე და იყოს წერილობითი ფორმით.¹⁹⁴

სსკ-ს მსგავსად, ვენის კონვენციის მიხედვითაც, იმისათვის, რომ დაზარალებულმა მხარემ მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, სავალდებულოა არსებობდეს ხელშეკრულების ფუნდამენტური დარღვევის ფაქტი. აღნიშნულმა მიდგომამ მკაფიო ასახვა ჰპოვა სასამართლო პრაქტიკაში. მაგალითად, ფრანკფურტის სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმა მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, როდესაც ვალდებულების დარღვევა არის ფუნდამენტური ხასიათის.¹⁹⁵

ხელშეკრულებიდან გასვლის¹⁹⁶ შესაძლებლობა გათვალისწინებულია სსკ-ს 491-ე მუხლით. აღნიშნული მუხლი მითითებს აკეთებს სსკ-ს 352-ე მუხლზე, რომელშიც ჩამოყალიბებულია ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები და რომელიც, თავის მხრივ, მიუთითებს სსკ-ს 405-ე მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია ხელშეკრულებაზე უარის თქმის წინაპირობები.

განსხვავებით სსკ-სგან ვენის კონვენცია განცალკევებულად აწესრიგებს მყიდველისა და გამყიდველის უფლებას უარი განაცხადონ ხელშეკრულებაზე. მყიდველის უფლებას უარი თქვას ხელშეკრულებაზე განსაზღვრავს ვენის კონვენციის 49-ე მუხლი, ხოლო ვენის კონვენციის 64-ე მუხლი ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც გამყიდველს შეუძლია გამოაცხადოს ხელშეკრულებიდან გასვლა. ამავე დროს, ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგების მომწესრიგებელი თავი (ვენის კონვენციის 81-84-ე მუხლები) თანაბრად ვრცელდება ხელშეკრულების ორივე მხარეზე.

¹⁹⁴ *Babiak A.*, Defining "Fundamental Breach" Under the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, 1992, 135, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/babiak.html>>, [10.06.2019].

¹⁹⁵ იხ. "Shoes case", Appellate Court Frankfurt, (Germany), 18 January 1994, №5 U 15/93, <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/940118g1.html>>, [7.05.2019].

¹⁹⁶ მართალია, სსკ-ს 491-ე მუხლში გამოყენებულია ტერმინი „ხელშეკრულების მოშლა“, თუმცა აღნიშნული მუხლის მიზნიდან და შედეგებიდან გამომდინარე, იგი ხელშეკრულებიდან გასვლის მნიშვნელობით უნდა იქნეს გაგებული. იხ.: *ბაჩიაშვილი ვ.*, დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 178. იხ. ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ივლისის განჩინება საქმეზე: №ას-1209-1169-2016.

ბ. ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები და შედეგები ქართული სამართლის მიხედვით

ხელშეკრულების მხარეს მხოლოდ გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში შეუძლია უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე. ასეთი უფლების წარმოშობის უპირველეს წინაპირობას ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ ვალდებულების დარღვევა წარმოადგენს. ამასთან, იმისათვის, რომ მხარემ შეძლოს ხელშეკრულებიდან გასვლა, ვალდებულების დარღვევა უნდა იყოს არსებითი ხასიათის¹⁹⁷, რაც გამომდინარეობს სსკ-ს 405-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან, რომლის თანახმად, ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევა არ წარმოშობს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას.¹⁹⁸

გარდა ვალდებულების არსებითი დარღვევის არსებობისა, ხელშეკრულებაზე უარის თქმის სამართლებრივი დაცვის საშუალების განხორციელებისათვის სსკ-ს 405-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საჭიროა, რომ ვალდებულების დამრღვევმა მხარემ ვალდებულების შესრულებისათვის დამატებით განსაზღვრულ ვადაშიც არ გამოასწოროს შესრულების ნაკლი, რაც დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის უპირატესობის პრინციპიდან გამომდინარეობს.¹⁹⁹ მაგალითად, საქონლის დაგვიანებით მიწოდება იმთავითვე არ განიხილება ხელშეკრულების არსებით დარღვევად და დაზარალებულმა მხარემ ხელშეკრულებიდან გასვლამდე მოვალეს უნდა განუსაზღვროს შესრულებისთვის დამატებითი ვადა.²⁰⁰ თუმცა ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როდესაც მყიდველს ჰქონდა გამოკვეთილი ინტერესი მიეღო შესრულება შეთანხმებულ ვადაში, ვადის გადაცილებით კი კარგავს ინტერესს ხელშეკრულებისადმი.²⁰¹

¹⁹⁷ *Zimmerman R.*, Breach of Contract and Remedies under the New German Law of Obligations, Roma, 2002, 36, <<https://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/zimmerman.html>>, [2.07.2019].

¹⁹⁸ *ჩიტაშვილი ნ.*, შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2014, 205, <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/natia_chitashvili.pdf>, [12.05.2019].

¹⁹⁹ *ბაჩიაშვილი ვ.*, დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 180; *ფიფია ა.*, ხელშეკრულებიდან გასვლის კონტინენტურევროპული და ანგლოამერიკული სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი მახასიათებლები და მათი გავლენა ქართულ სამართალზე, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 74.

²⁰⁰ *Graffi L.*, Case Law on the Concept of "Fundamental Breach" in the Vienna Sales Convention, Int'l Bus. L. J., No. 3, 2003, 341, <<https://cisgw3.law.pace.edu/cisg/biblio/graffi.html>>, [19.06.2019].

²⁰¹ *მაჭარაძე მ.*, ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა — განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 126-127.

ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობა არ არის დამატებითი ვადის დაწესება, თუკი ასეთი ვადის დაწესება არ არის აუცილებელი სსკ-ს 405-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად.

იმისათვის, რომ მხარემ უარი თქვას ხელშეკრულებაზე, არ უნდა არსებობდეს სსკ-ს 405-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული გარემოებები. აღნიშნული ნორმის თანახმად, ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელია თუ:

1. ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა. ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელო დარღვევად კვალიფიცირდება ცალკეული შემთხვევისთვის დამახასიათებელი გარემოებების გათვალისწინებით;²⁰²
2. მიუხედავად სსკ-ს 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნების დარღვევისა, კრედიტორს მაინც შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება;
3. ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორი მთლიანად ან უმთავრესად თვითონ არის პასუხისმგებელი;
4. მოთხოვნას უპირისპირდება შესაგებელი, რომელიც მოვალემ უკვე წარადგინა ან დაუყოვნებლივ წარადგენს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემდეგ. ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის შესაძლებლობა.²⁰³

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მხარეს კონტრაქტის მიერ ვალდებულების დარღვევამდეც შეუძლია განაცხადოს უარი ხელშეკრულებაზე. ასეთ შემთხვევას აქვს ადგილი მაშინ, როდესაც შესრულების ვადის დადგომამდე აშკარა ხდება, რომ მხარე ვალდებულებას ვერ შეასრულებს.²⁰⁴

მხარის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში მხარეებს უბრუნდებათ ის, რაც ხელშეკრულების შესასრულებლად უკვე გადასცეს ერთმანეთს.²⁰⁵

გ. ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები და შედეგები ვენის კონვენციის მიხედვით

²⁰² ჩაჩავა ს., მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, 54.

²⁰³ ჩაჩავა ს., მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, 54.

²⁰⁴ იხ. სსკ-ს 405 (4) მუხლი.

²⁰⁵ Zimmerman R., Breach of Contract and Remedies under the New German Law of Obligations, Roma, 2002, 43, <<https://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/zimmerman.html>>, [2.07.2019]; ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 1999, 34.

ხელშეკრულებაზე უარის თქმის წინაპირობები განსაზღვრულია ვენის კონვენციის 49-ე და 64-ე მუხლებით.²⁰⁶ მხარეთა შორის დავის წარმოშობისას ვენის კონვენციის თანახმად, თავდაპირველად, მოწმდება ადგილი აქვს თუ არა ხელშეკრულების დარღვევას. ამისათვის ხელშეკრულების მხარეებმა უნდა გადახედონ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ასევე თავიანთ იმ ვალდებულებებს, რომლებიც ვენის კონვენციიდან გამომდინარეობს (გამყიდველის ვალდებულებები განსაზღვრულია ვენის კონვენციის 30-44-ე მუხლებით, ხოლო მყიდველის – 53-60-ე მუხლებით), რის შემდეგაც უნდა შემოწმდეს არის თუ არა დარღვევა ფუნდამენტური ხასიათის²⁰⁷, რამდენადაც დაზარალებული მხარის უფლება გავიდეს ხელშეკრულებიდან არსებობს მაშინ, როდესაც ადგილი აქვს ხელშეკრულების ფუნდამენტურ დარღვევას²⁰⁸ ანუ, როდესაც ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა არსებითად ლახავს მეორე მხარის ინტერესებს.²⁰⁹

ვენის კონვენციის 25-ე მუხლის თანახმად, ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევა არსებითია, თუ ამას მოყვა მეორე მხარის ისეთი ზიანი, რომ ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანწილად კარგავს იმას, რისი იმედიც ხელშეკრულების საფუძველზე სამართლიანად უნდა ჰქონოდა. ვენის კონვენცია არ შეიცავს განმარტებას თუ რა იგულისხმება სიტყვა „ზიანიში“, თუმცა კონტექსტის გათვალისწინებით შესაძლოა, ითქვას, რომ ამ შემთხვევაში „ზიანი“ აღქმული უნდა იყოს როგორც ფულადი ზიანის სინონიმი და ფუნდამენტური დარღვევის არსებობა უნდა შეფასდეს ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.²¹⁰

ამასთან, ხელშეკრულების დარღვევა არსებითად არ ჩაითვლება, თუ ვერც ხელშეკრულების დამრღვევი მხარე და ვერც მის ადგილზე ანალოგიურ

²⁰⁶ იხ. Cisg art. 49 (1)(a); 64 (1)(a).

²⁰⁷ *Babiak A.*, Defining "Fundamental Breach" Under the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, 1992, 127, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/babiak.html>>, [10.06.2019].

²⁰⁸ იქვე, 114; Magnus U., The Vienna Sales Convention (CISG) between Civil and Common law – Best of all Worlds? J. Civ. L. Stud., Vol. 3, No. 1, 2010, 77, <<https://digitalcommons.law.lsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1023&context=jcls>>, [12.06.2019].

²⁰⁹ *da Silveira M. A.*, Termination of Contract under the Principles of European Contract Law - A Comparative Study, 2006, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/silveira.html>>, [10.06.2019]; *Babiak A.*, Defining "Fundamental Breach" Under the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, 1992, 118-119, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/babiak.html>>, [10.06.2019].

²¹⁰ *Babiak A.*, Defining "Fundamental Breach" Under the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, 1992, 119-120, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/babiak.html>>, [10.06.2019].

ვითარებაში მყოფი სხვა პიროვნება ვერ გაითვალისწინებდა, რომ მის ქმედებას მოყვებოდა ასეთი შედეგი.²¹¹

მსგავსად სსკ-სა, შესრულების ვადის გადაცილებას ვენის კონვენციაც მხოლოდ მაშინ მიიჩნევს ფუნდამენტურ დარღვევად თუ სწორედ ვადას ჰქონდა ჰქონდა მხარისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა. ამავე დროს, სავალდებულო არ არის რომ მხარეებს ხელშეკრულებაში ჰქონდეთ გაწერილი ვადა, როგორც არსებითი პირობა და ასეთად მისი მიჩნევისათვის საკმარისია ისიც, რომ მისი მნიშვნელობა გამომდინარეობდეს კონკრეტული გარემოებებიდან, მაგალითად, როდესაც გამყიდველისთვის ცნობილია, რომ მყიდველმა დათქმულ ვადაში უნდა მიაწოდოს თავის მყიდველებს საქონელი ან თუ საქონლის თვისებიდან (მაგალითად სეზონური ტანსაცმელი) გამომდინარეობს მისი დადგენილ ვადაში მიწოდების საჭიროება.²¹²

როდესაც აშკარაა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ვერ შეასრულებს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე ვალდებული არ არის დაელოდოს იმ თარიღის დადგომას, როდესაც ვალდებულება უნდა შესრულდეს ხელშეკრულებით. ასეთ შემთხვევას ექნება ადგილი მაშინ, თუკი, მაგალითად, ხანძრის გამო განადგურდება საქონელი, რომელიც გამყიდველს უნდა მიეწოდებინა მყიდველისათვის ან თუ შესრულება შეუძლებელი გახდება ემბარგოს დაწესების ან საფინანსო კონტროლის გამო.²¹³

ერთ-ერთი მხარის ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში ორივე მხარე თავისუფლდება ნაკისრი ვალდებულების შესრულებისგან.²¹⁴ ამავე დროს, მყიდველი კარგავს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას თუ მას არ შეუძლია დააბრუნოს მიღებული საქონელი²¹⁵, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც: ა. აღნიშნული გამოწვეული არ არის მისი მოქმედებით ან დაუდევრობით; ბ. თუ საქონელი ან საქონლის ნაწილი უვარგისი გახდა ან გაფუჭდა 38-ე მუხლში გათვალისწინებული დათვალიერების შედეგად; გ.

²¹¹ *ob. Cisg art. 25; Magnus U., The Vienna Sales Convention (CISG) between Civil and Common law – Best of all Worlds? J. Civ. L. Stud., Vol. 3, No. 1, 2010, 77-78, <<https://digitalcommons.lsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1023&context=jcls>>, [12.06.2019].*

²¹² *Graffi L., Case Law on the Concept of "Fundamental Breach" in the Vienna Sales Convention, Int'l Bus. L. J., No. 3, 2003, 341-342, <<https://cisgw3.law.pace.edu/cisg/biblio/graffi.html>>, [19.06.2019].*

²¹³ *Bennett T., in Bianca C M., Bonell M J., Commentary on the International Sales Law: The 1980 Vienna Sales Law, Giuffrè: Milan, 1987, 526-528, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/bennett-bb72.html>>, [12.05.2019].*

²¹⁴ *Zahraa M., Ghith A. A., Specific Performance in the Light of the CISG, the UNIDROIT Principles and Libyan Law, Unif. L. Rev., Vol. 7, Iss. 3, 2002, 755, <<https://booksc.xyz/book/43414202/2937ff>>, [8.06.2019].*

²¹⁵ *Bonell M. J., THE UNIDROIT PRINCIPLES OF INTERNATIONAL COMMERCIAL CONTRACTS AND CISG -- ALTERNATIVES OR COMPLEMENTARY INSTRUMENTS ? Unif. L. Rev., Vol. 1, Iss. 1, 1996, 33 <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/ulr96.html#n31>>, [14.05.2019].*

თუ საქონელი ან მისი ნაწილი გაიყიდა ვაჭრობის ნორმალური წესით ან მოხმარებული იქნა ან გადაკეთდა მყიდველის მიერ მისი ნორმალური გამოყენების მიზნით მანამ, სანამ იგი აღმოაჩენდა ან უნდა აღმოეჩინა, რომ საქონელი იყო ნაკლიანი.²¹⁶

დ. ხელშეკრულებიდან გასვლის მიმართება სხვა მეორადი მოთხოვნის უფლებებთან

1. სსკ-ს მიხედვით

სსკ-ს 405-ე მუხლიდან გამომდინარეობს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება დაზარალებულ მხარეს მხოლოდ მას შემდეგ შეუძლია, რაც ამოიწურება დამატებითი შესრულებისთვის განსაზღვრული ვადა. მაშასადამე, მხარე მოკლებულია შესაძლებლობას უარი თქვას ხელშეკრულებაზე მანამ, სანამ დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის უფლებას არ გამოიყენებს (ეს წესი არ მოქმედებს, სსკ-ს 405-ე მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრული შემთხვევების არსებობისას). ამასთან, დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის უფლების განხორციელება გამორიცხავს ხელშეკრულებიდან გასვლის შესაძლებლობას და პირიქით, ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ მხარე ვერ მოითხოვს შესრულების მიღებას. ხელშეკრულებიდან გასვლისა და დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის უფლებათა კონკურენციასთან დაკავშირებით ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა შემდეგი: „დაუშვებელია ერთდროულად მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების შესრულებაცა და ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი უფლების გამოყენებაც. ამგვარ მოთხოვნათა კუმულაციურად განხორციელება დაარღვევდა ხელშეკრულების მხარეების ინტერესთა ბალანსს, სწორედ რასაც უზრუნველყოფს მეორადი მოთხოვნის, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენება.“²¹⁷

ამგვარად, მას შემდეგ, რაც გამყიდველს მიუვა მყიდველის ნება ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე, მყიდველი კარგავს სხვა მეორადი მოთხოვნის უფლებების განხორციელების შესაძლებლობას, გარდა ზიანის ანაზღაურების მეორადი მოთხოვნისა.²¹⁸ მხარის მიერ ხელშეკრულებიდან

²¹⁶ იხ. Cisg art. 82.

²¹⁷ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 4 ივნისის განჩინება საქმეზე: №ას-12-12-2012.

²¹⁸ *ახვლედიანი ზ.*, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 1999, 63; *ბაჩიაშვილი ვ.*, დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 177.

გასვლის უფლების განხორციელება არ გამოირიცხავს მის შესაძლებლობას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.²¹⁹

2. ვენის კონვენციის მიხედვით

იმისათვის, რომ ცხადად გამოიკვეთოს ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლების მიმართება სხვა მეორადი მოთხოვნის უფლებებთან ვენის კონვენციიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ცალ-ცალკე განვიხილოთ მყიდველისა და გამყიდველისათვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალებების იერარქია.

აა. მყიდველის სამართლებრივი დაცვის საშუალებების კონკურენცია

გამყიდველის მიერ ხელშეკრულების ფუნდამენტური დარღვევის შემთხვევაში მყიდველს შეუძლია მიმართოს შემდეგ სამართლებრივი დაცვის საშუალებებს:²²⁰

1. მყიდველს შეუძლია მოითხოვოს გამყიდველისაგან ვალდებულების შესრულება და შესრულებისთვის განუსაზღვროს მას დამატებითი, გონივრული ვადა²²¹ (მყიდველს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის შემდეგაც შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველი დამატებით ვადაში ვერ შეასრულებს ვალდებულებას. მყიდველმა დამატებითი ვადის განმავლობაში არ უნდა მიმართოს სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამყიდველი მას შეატყობინებს, რომ დადგენილ ვადაში ვერ ასრულებს ვალდებულებას²²²).
2. თუ საქონელი არის ნაკლიანი მყიდველს შეუძლია მოითხოვოს მისი შეცვლა²²³ ან შეკეთება.²²⁴
3. მყიდველს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე გამყიდველის მიერ ვალდებულების ფუნდამენტური დარღვევის გამო.²²⁵ ასეთ შემთხვევაში მყიდველს ხელშეკრულებიდან გასვლა შეუძლია წინა ორი სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოყენებამდეც, თანაც ისე,

²¹⁹ *მაჭარაძე მ.*, ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა — განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 143.

²²⁰ *Babiak A.*, Defining "Fundamental Breach" Under the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, 1992, 127-128, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/babiak.html>>, [10.06.2019].

²²¹ იხ. Cisg art. 46 (1); 47 (1).

²²² იხ. Cisg art. 47 (2).

²²³ იხ. Cisg art. 46 (2).

²²⁴ იხ. Cisg art. 46 (3).

²²⁵ იხ. Cisg art. 49 (1) (a); 51(2).

რომ არ დაკარგოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ამასთან, მას შემდეგ, რაც იგი გამყიდველს განუცხადებს, რომ უარს ამბობს ხელშეკრულებაზე, ვეღარ მოითხოვს ვალდებულების შესრულებას ან/და ფასის შემცირებას.

4. მყიდველს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე თუ შეთანხმებული საქონლის მხოლოდ ნაწილი მიეწოდა ან მიეწოდა ნაკლიანი საქონელი:
 - ა. გონივრულ ვადაში მას შემდეგ რაც გაიგო ან უნდა გაეგო ვალდებულების დარღვევის შესახებ;²²⁶
 - ბ. გამყიდველმა ვალდებულება ვერ შეასრულა დამატებით ვადაში;²²⁷
 - გ. გამყიდველი სთავაზობს, თუმცა ვერ აღმოფხვრის ნაკლს მყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში.²²⁸
5. მყიდველს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე თუ საქონელი მიეწოდა დაგვიანებით, ამასთან, ხელშეკრულებაზე უარი უნდა განაცხადოს გონივრულ ვადაში მას შემდეგ, რაც გაიგებს რომ საქონლის მიწოდება განხორციელდა.²²⁹
6. მყიდველს შეუძლია მიიღოს ნაკლიანი შესრულება და შეამციროს საქონლის ფასი²³⁰, რის შემდეგაც იგი ვეღარ მოითხოვს დამატებით შესრულებას, ხელშეკრულებიდან გასვლასა და ზიანის ანაზღაურებას.

ბბ. გამყიდველის სამართლებრივი დაცვის საშუალებების კონკურენცია

მყიდველის მიერ ხელშეკრულების ფუნდამენტური დარღვევის შემთხვევაში გამყიდველს წარმოეშობა შემდეგი მოთხოვნები:²³¹

1. გამყიდველს შეუძლია მოსთხოვოს მყიდველს ფასის გადახდა, შესრულების მიღება ან მისი სხვა ვალდებულებების შესრულება.²³²
2. გამყიდველს შეუძლია დაუწესოს მყიდველს დამატებითი გონივრული ვადა ვალდებულების შესრულებისთვის.²³³
3. თუ მყიდველმა გადაიხადა საქონლის ფასი და ფუნდამენტური დარღვევა გამოწვეულია არა დაგვიანებული შესრულებით, არამედ სხვა ვალდებულების დარღვევით, გამყიდველს შეუძლია

²²⁶ იხ. Cisg art. 49 (2) (b) (i).

²²⁷ იხ. Cisg art. 49 (2) (b) (ii).

²²⁸ იხ. Cisg art. 49(2)(b)(iii).

²²⁹ იხ. Cisg art. 49(2)(a).

²³⁰ იხ. Cisg art. 50.

²³¹ *Babiak A.*, Defining "Fundamental Breach" Under the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, 1992, 132-133, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/babiak.html>>, [10.06.2019].

²³² იხ. Cisg art. 62.

²³³ იხ. Cisg art. 63(1).

განაცხადოს ხელშეკრულებაზე უარი გონივრულ ვადაში მას შემდეგ რაც:

- ა. გაიგო ან უნდა გაეგო დარღვევის შესახებ²³⁴;
 - ბ. მყიდველმა ვალდებულება ვერ შეასრულა დამატებით ვადაშიც;²³⁵
 - გ. მყიდველმა განაცხადა, რომ ვალდებულებას ვერ შეასრულებს დამატებით ვადაში.²³⁶
4. იმ შემთხვევაში, როდესაც მყიდველმა გადაიხადა ფასი, გამყიდველი კარგავს უფლებას უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ ამას არ გააკეთებს მანამ, სანამ შეიტყობს, რომ ვალდებულება შესრულდა.²³⁷
5. გამყიდველს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე დამატებითი პირობების დაწესების გარეშე თუ მყიდველმა არ გადაიხადა შეთანხმებული ფასი.²³⁸

VI. ზიანის ანაზღაურება

ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დამრღვევი მხარისათვის დაკისრებულ ერთგვარ სანქციას წარმოადგენს.²³⁹ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, „ზიანის ანაზღაურება მიმართულია დაზარალებულის ქონებრივი სფეროს აღდგენისაკენ ზიანის მიმყენებლის ქონების ხარჯზე.“²⁴⁰ ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს ზიანის მიმყენებლისთვის ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების გზით დაზარალებული მხარის დანაკლისის აღდგენას.²⁴¹

ა. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ქართული სამართლის მიხედვით

კრედიტორის უფლება მოითხოვოს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება გათვალისწინებულია სსკ-ს 394-ე მუხლში. იმისათვის, რომ ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს დაეკისროს ზიანის ანაზღაურება საჭიროა გარკვეული წინაპირობების არსებობა.

²³⁴ იხ. Cisg art. 64(2)(b)(i).

²³⁵ იხ. Cisg art. 64(2)(b)(ii).

²³⁶ იხ. Cisg art. 64(2)(b)(ii).

²³⁷ იხ. Cisg art. 64(2)(a).

²³⁸ იხ. Cisg art. 64(1)(a).

²³⁹ *ახლედიანი ზ.*, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 1999, 64.

²⁴⁰ იქვე, 65.

²⁴¹ იქვე; *თოდუა მ., ვილემსი ჰ.*, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, 37; *Zimmerman R.*, Breach of Contract and Remedies under the New German Law of Obligations, Roma, 2002, 27, <<https://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/zimmerman.html>>, [2.07.2019].

აა. ზიანის ანაზღაურების დაკისრების წინაპირობები

1. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სსკ-ს 394-ე მუხლის მიხედვით

ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის უნდა არსებობდეს მართლწინააღმდეგობის, ზიანის, მიზეზშედეგობრივი კავშირისა და ბრალის ერთობლიობა.²⁴²

მართლსაწინააღმდეგო პირის ქმედება, როდესაც იგი თავისი მოქმედებით ან უმოქმედობით არღვევს სამართლის ნორმათა მოთხოვნებს.²⁴³

იმისათვის, რომ მხარეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ჰქონდეს, მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად უნდა დადგეს ზიანი, რომელიც იქნება სამართლებრივად მნიშვნელოვანი და დაცული, უმნიშვნელო ზიანი ანაზღაურებას არ ექვემდებარება. ზიანი შესაძლოა იყოს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო²⁴⁴, ასევე ქონებრივი (მატერიალური), რომელიც დაკავშირებულია დაზარალებული მხარის ქონებრივ დანაკარგთან, და არაქონებრივი (მორალური), რომელიც, მაგალითად, დაზარალებული მხარის სულიერ ტანჯვას იწვევს.²⁴⁵ ამასთან, სსკ-ს 411-ე მუხლით გათვალისწინებულია, რომ ზიანი უნდა ანაზღაურდეს როგორც ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, ასევე მიუღებელი შემოსავლისთვისაც²⁴⁶, ამდენად, ზიანი არის როგორც ფაქტობრივი ქონებრივი დანაკლისი, ასევე მიუღებელი შემოსავალიც.²⁴⁷

რაც შეეხება ბრალს, აღნიშნული ელემენტი არ წარმოადგენს პასუხიმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელ წინაპირობას და ზოგიერთ შემთხვევაში დანარჩენი სამი წინაპირობის არსებობა ბრალის გარეშეც ქმნის ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესაძლებლობას.²⁴⁸ მაგალითად, მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისას, მიუხედავად

²⁴² ზოიძე ბ., *ჰანტურია ლ./ზოიძე ბ./ნინიძე თ./შენგელია რ./ხეცურიანი გ.* (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 364-371.

²⁴³ იქვე, 364-365.

²⁴⁴ იქვე, 366.

²⁴⁵ *ახვლედიანი ზ.*, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 1999, 66.

²⁴⁶ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 8 თებერვლის განჩინება საქმეზე: №ას-1234-2018; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 7 მარტის განჩინება საქმეზე: №ას-854-804-2015; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 3 ივლისის განჩინება საქმეზე: №ას-725-693-2014; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 სექტემბრის განჩინება საქმეზე: №ას-956-918-2014.

²⁴⁷ *ახვლედიანი ზ.*, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 1999, 66.

²⁴⁸ ზოიძე ბ., *ჰანტურია ლ./ზოიძე ბ./ნინიძე თ./შენგელია რ./ხეცურიანი გ.* (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 371.

იმისა, გამოკვეთილია თუ არა ამ უკანასკნელის ბრალი, იგი ვალდებულია ანაზღაუროს ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანი.²⁴⁹

2. დამატებითი ვადის დაწესება

სსკ-ს 394-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს კრედიტორის შესაძლებლობას ვალდებულების შესრულების ნაცვლად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება თუკი მოვალე ვალდებულების შესრულებისათვის განსაზღვრულ დამატებით ვადაშიც არ შეასრულებს ვალდებულებას.

ამგვარად, სსკ-ს 394-ე მუხლის მე-2 ნაწილი ზიანის ანაზღაურების არსებობისთვის ითვალისწინებს შემდეგ წინაპირობებს:²⁵⁰ 1. ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობა; 2. მოვალის მიერ ვადის გადაცილება; 3. დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლა.

3. დამატებითი ვადის დაწესების საჭიროების არარსებობა

მიუხედავად იმისა, რომ კრედიტორი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნამდე, როგორც წესი, ვალდებულია მოვალეს განუსაზღვროს დამატებითი ვადა ვალდებულების შესრულების ან ნაკლის აღმოფხვრისათვის, ზოგიერთ შემთხვევაში იგი თავისუფლდება აღნიშნული მოვალეობისაგან. ასეთ შემთხვევებს განსაზღვრავს სსკ-ს 394-ე მუხლის მესამე ნაწილი, რომლის თანახმად, კრედიტორი არ არის ვალდებული დაუწესოს მოვალეს ვალდებულების შესრულებისთვის დამატებითი ვადა ორ შემთხვევაში. პირველ რიგში, ასეთი ვალდებულება არ არსებობს თუ აშკარაა, რომ მას არ მოჰყვება შედეგი. ასეთ შემთხვევას აქვს ადგილი, მაგალითად, მაშინ თუ საქორწინო კაბა არ არის მზად ქორწილის დღისთვის.²⁵¹ დამატებითი ვადის განსაზღვრის საჭიროება არ არსებობს არც მაშინ, როდესაც განსაკუთრებული გარემოებებიდან გამომდინარე, ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ზიანის ანაზღაურების დაუყოვნებლივ მოთხოვნა. ასეთ შემთხვევას შესაძლოა ჰქონდეს ადგილი მაშინ, როდესაც მოვალისთვის ვალდებულების შესრულება უფრო რთულია, ვიდრე ზიანის ანაზღაურება ან, როდესაც კრედიტორს აღარ აქვს ინტერესი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიღების მიმართ.²⁵²

²⁴⁹ ზოიძე ბ., *ჰანტურია ლ./ზოიძე ბ./ნინიძე თ./შენგელია რ./ხეცურიანი ჯ.* (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 388-389.

²⁵⁰ *მაჩალაძე ს.*, ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათა შედარებითი ანალიზი), ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, 89.

²⁵¹ იქვე, 90.

²⁵² *ჩაჩავა ს.*, მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, 57-58.

ბ. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გამომრიცხავი გარემოებები

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლოა გამოირიცხოს კანონით ან მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.²⁵³ თუმცა, რადგან სსკ-ს 395-ე მუხლის მეორე ნაწილი კრძალავს მოვალის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას თუ ზიანის დადგომა მისმა განზრახმა ქმედებამ განაპირობა, მხარეთა შეთანხმება ზიანის ანაზღაურებისგან გათავისუფლების შესახებ ბათილი იქნება მოვალის მიერ განზრახ გამოწვეული ზიანის დადგომისას.²⁵⁴ ამავე დროს, თუ მყიდველმა ხელშეკრულების დადებისას იცოდა, რომ ხელშეკრულების საგანი იყო ნაკლიანი, იგი სსკ-ს 494-ე მუხლის მეორე ნაწილიდან გამომდინარე ვერ მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას ნივთის ნაკლის გამო.

თუ ზიანის დადგომა წინასწარ განუჭვრეტელი, გარდაუვალი მოვლენის – დაუძლეველი ძალის მოქმედებამ განაპირობა, მხარე თავისუფლდება ვალდებულების დარღვევით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.²⁵⁵

ბ. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვენის კონვენციის მიხედვით

დაზარალებულ მხარეს ვენის კონვენციის 74-ე, 75-ე და 76-ე მუხლების საფუძველზე შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ამასთან, ვენის კონვენციის 75-ე და 76-ე მუხლების საფუძველზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობა არის ხელშეკრულებიდან გასვლა. ასეთ შემთხვევაში ზიანი შეიძლება დაანგარიშდეს როგორც სახელშეკრულებო ფასსა და იმ ხელშეკრულების ფასს შორის სხვაობის მიხედვით, რომელსაც ანულირებული ხელშეკრულების სანაცვლოდ დებს დაზარალებული მხარე, ასევე მიმდინარე საბაზრო ფასის მიხედვითაც.²⁵⁶

ვენის კონვენციის 79-ე მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს, რომ მხარეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო, თუ დაამტკიცებს, რომ აღნიშნული გამოწვეული იყო დაბრკოლებით, რომელიც მის კონტროლს არ ექვემდებარება და რომელსაც იგი ხელშეკრულების დადების დროს ვერ

²⁵³იხ. სსკ-ს 410-ე მუხლი.

²⁵⁴ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2014, 202, <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/natia_chitashvili.pdf>, [12.05.2019];

²⁵⁵ ზოიძე ბ., *კანტურია ლ./ზოიძე ბ./ნინიძე თ./შენგელია რ./ხეცურიანი ჯ.* (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 371-373; Zimmerman R., Breach of Contract and Remedies under the New German Law of Obligations, Roma, 2002, 29, <<https://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/zimmerman.html>>, [2.07.2019].

²⁵⁶ Schlechtriem P., Damages, avoidance of the contract and performance interest under the CISG, 2005, 1, <<https://pdfs.semanticscholar.org/ed9b/a6bed0650a64970688709c05d505a9fee84b.pdf>>, [14.05.2019].

გათვალისწინებდა. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში მყიდველს, რომელმაც დაარღვია დადგენილ ვადაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედების შესრულების (თანხის გადახდის) ვალდებულება, სასამართლომ არ დააკისრა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ვენის კონვენციის 79-ე მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, რადგან მიიჩნია, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა განპირობებული იყო ისეთი დაბრკოლებით, რომელიც გამოწვეული არ იყო მყიდველის მიერ და რომლის აღმოფხვრაც არ შეეძლო ამ უკანასკნელს.²⁵⁷ ამასთან, მართალია, ასეთი დაბრკოლების გამო კრედიტორი ვერ მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას, მაგრამ მას შეუძლია განახორციელოს სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებები მას შემდეგ, რაც აღმოიფხვრება დაბრკოლება²⁵⁸, მათ შორის, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს, რეალური შესრულების მიღება, თუკი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის განადგურება შეუძლებელს არ გახდის ასეთი მოთხოვნის განხორციელებას ან თუ იგი არ გამოიწვევს შეუსაბამო ხარჯებს, მაგალითად, ზღვის ფსკერზე ჩაძირული საქონლის ამოღებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს შეუსაბამო ხარჯები.²⁵⁹ ამგვარად, თუ შესრულება შეუძლებელი გახდება ისეთი გარემოების გამო, რომლებიც არ ექცეოდა მხარის რისკის ქვეშ და ასევე არ იკვეთება მისი ბრალეულობა, იგი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან.²⁶⁰

გ. ზიანის ანაზღაურების და სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებების ურთიერთმიმართება

ის ფაქტი, რომ ქართული სამართალი უპირატესობას არა ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, არამედ თავად ვალდებულების შესრულებას ანიჭებს სსკ-ს 394-ე მუხლის

²⁵⁷ იხ. “Wood case”, County Court Willisau (Switzerland), 12 March 2004, №10 01 5, <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/040312s1.html>>, [25.06.2019]; შეად. Société Romay AG v. SARL Behr France, Appellate Court Colmar, (France), 12 June 2001, №1 A 199800359, <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/010612f1.html>>, [25.06.2019], სადაც სასამართლომ ვალდებულების დარღვევა არ მიიჩნია საპატიოდ ვენის კონვენციის 79-ე მუხლის საფუძველზე.

²⁵⁸ *Jenkins S. H.*, Exemption for Nonperformance: UCC, CISG, UNIDROIT Principles -- A Comparative Assessment, 1998, 2026, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/jenkins.html#IV>>, [28.04.2019].

²⁵⁹ *Flambouras D. P.*, The Doctrines of Impossibility of Performance and Clausula Rebus SIC Stantibus in the 1980 Convention on Contracts for the International Sale of Goods and the Principles of European Contract Law - A Comparative Analysis, Pace Int'l L. Rev., Vol. 13, Iss. 2, 2001, 275, 276, <<https://digitalcommons.pace.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1212&context=pilr>>, [21.05.2019].

²⁶⁰ *Magnus U.*, The Vienna Sales Convention (CISG) between Civil and Common law – Best of all Worlds? J. Civ. L. Stud., Vol. 3, No. 1, 2010, 78, <<https://digitalcommons.lsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1023&context=jcls>>, [12.06.2019].

მეორე ნაწილით გათვალისწინებული დამატებითი ვადის დაწესების მექანიზმიდანაც ჩანს. ამ გზით სამოქალაქო კოდექსი ისევ და ისევ ცდილობს დაზარალებული მხარეს იმ შესრულების მიღების შესაძლებლობა შეუქმნას, რომელიც მხარეებმა ხელშეკრულებით შეათანხმეს.²⁶¹ ამავე დროს, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს რეალური შესრულების მიღება მიუხედავად იმისა, რომ მოვალემ ანაზღაურა ვალდებულების დარღვევით დამდგარი ზიანი.²⁶²

სსკ-ს 394-ე მუხლიდან გამომდინარეობს, რომ კრედიტორს ვალდებულების შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მხოლოდ მას შემდეგ აქვს, რაც მოვალისათვის ვალდებულების შესასრულებლად განსაზღვრული აუცილებელი დრო უშედეგოდ გავა. მართალია, სსკ-ს 394-ე მუხლის მეორე ნაწილში მითითებულია, რომ კრედიტორს „შეუძლია“ დაუნიშნოს მოვალეს ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადა, თუმცა აღნიშნული დანაწესი მისი პირდაპირი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით არ უნდა იქნეს გაგებული და დამატებითი ვადის სავალდებულოობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მოცემული მუხლის თანახმად, კრედიტორს მხოლოდ მაშინ შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ მოვალე მის მიერ დამატებით განსაზღვრულ ვადაშიც არ შეასრულებს ვალდებულებას.²⁶³

ამავე დროს, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისთვის სსკ-ს მე-400 და 404-ე მუხლებიდან გამომდინარე, ხოლო თუ მოვალე ვადის გადაცილების შემდეგაც არ შეასრულებს ვალდებულებას, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გამომდინარეობს სსკ-ს მე-400 და 394-ე მუხლებიდან.²⁶⁴

ვენის კონვენცია შესაძლებლობას აძლევს დაზარალებულ მხარეს აირჩიოს ვალდებულების რეალური შესრულებისა და ზიანის მოთხოვნებს შორის,²⁶⁵ ამასთან, შესაძლებელია ამ ორი მოთხოვნის გაერთიანებაც იმ შემთხვევაში,

²⁶¹ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 53.

²⁶² ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 1999, 39.

²⁶³ ჩაჩავა ს., მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, 57.

²⁶⁴ მაჩალაძე ს., ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათა შედარებითი ანალიზი), ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, 95.

²⁶⁵ *Kastely A. H.*, The Right to Require Performance in International Sales: Towards an International Interpretation of the Vienna Convention, 1988, 615, <<https://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/kastely1.html>>, [15.05.2019].

თუ რეალური შესრულების შემდეგ მაინც იკვეთება ზიანის ფაქტი²⁶⁶, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაზარალებული მყიდველის უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება კუმულატიურია სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალებებთან, ზიანის ანაზღაურება ავტომატურად არ გამოორიცხავს სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების შესაძლებლობას და ასევე არც სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენება (მაგალითად, ხელშეკრულებიდან გასვლა, რეალური შესრულების მოთხოვნა) გამოორიცხავს ზიანის ანაზღაურების უფლების განხორციელებას.²⁶⁷ ამდენად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დაზარალებულ მხარეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობებშიც შეუძლია, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ხშირად თან ახლავს ვალდებულების რეალური შესრულების მოთხოვნასაც.²⁶⁸

რაც შეეხება ზიანის ანაზღაურებისა და ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლებათა ურთიერთმიმართებას სსკ-ს მიხედვით, ამ მოთხოვნათა ერთობლივად არსებობის შესაძლებლობას უშვებს სსკ-ს 407-ე მუხლი, რომელიც უფლებას აძლევს კრედიტორს ხელშეკრულებიდან გასვლისას მოთხოვოს მოვალეს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობით.²⁶⁹ თუმცა აღნიშნული წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული. ასეთ შემთხვევას აქვს ადგილი, როდესაც ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლის წარმოშობას განაპირობებს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა²⁷⁰, ასეთ შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან, მაგრამ ვერ მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას. შესაბამისად, სსკ-ს 407-ე მუხლის თანახმად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისთვის უნდა

²⁶⁶ *Magnus U.*, The Vienna Sales Convention (CISG) between Civil and Common law – Best of all Worlds? J. Civ. L. Stud., Vol. 3, No. 1, 2010, 77, <<https://digitalcommons.law.lsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1023&context=jcls>>, [12.06.2019].

²⁶⁷ *Flechtner H. M.*, Buyers' Remedies in General and Buyers' Performance-Oriented Remedies, J.L. & Com., Vol. 25, 2005-2006, 341, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/flechtner6.html>>, [14.06.2019].

²⁶⁸ სასამართლო პრაქტიკაში იშვიათი არ არის ხელშეკრულების დამრღვევი მხარისათვის ერთდროულად ზიანის ანაზღაურებისა და ვალდებულების შესრულების დაკისრება. იხ. “*Pig case*”, District Court Bielefeld (Germany), 2 August 1996, №12 O 120/95, <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/960802g1.html>>, [20.06.2019].

²⁶⁹ *ბილინივი კ., ლუტრინგჰაუსი კ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009, 30, <http://www.library.court.ge/upload/gtz2009-ge-anspruchsgrundlagen_law.pdf>, [20.05.2019].

²⁷⁰ *ჩაჩავა ს.*, მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, 59.

არსებობდეს შემდეგი წინაპირობები²⁷¹: 1. ხელშეკრულებიდან გასვლა; 2. ვალდებულების შეუსრულებლობით დამდგარი ზიანი; 3. მოვალის ბრალი.

VII. დასკვნა

სსკ-სა და ვენის კონვენციის შესაბამისი ნორმების შედარებით-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ აღნიშნული სამართლებრივი აქტები ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მსგავს სამართლებრივი დაცვის საშუალებებს სთავაზობენ დაზარალებულ მხარეს, რაც გარკვეულწილად განაპირობა სსკ-ს ფორმირების პროცესში ვენის კონვენციით აღიარებული მიდგომებისა და პრინციპების მხედველობაში მიღებამ.²⁷² არც ქართული სამართლისა და არც ვენის კონვენციისათვის უცხო არ არის ისეთი მეორადი მოთხოვნის უფლებები, როგორცაა: დამატებითი შესრულება, ხელშეკრულებიდან გასვლა, ფასის შემცირება და ზიანის ანაზღაურება. საერთოა აღნიშნულ მეორადი მოთხოვნის უფლებათა წარმომშობი უმთავრესი წინაპირობის – ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის – არსებობის საჭიროებაც.²⁷³

ვენის კონვენციაც და ქართული ვალდებულებითი სამართალიც რეალური შესრულების ხელშეწყობაზე არიან ორიენტირებულნი და დაზარალებულ მხარეს მხოლოდ იმ შემთხვევაში ანიჭებენ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, როდესაც აშკარაა, რომ სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალებები სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფენ ამ უკანაკნელის ინტერესების დაცვას. ამასთან, მას შემდეგ, რაც დაზარალებული მხარე მოითხოვს ვალდებულების შესრულებას მეორე მხარისაგან, იგი ვერ წარადგენს ისეთი მეორადი მოთხოვნის უფლებებს, როგორცაა: ხელშეკრულებიდან გასვლა და ფასის შემცირება.

ვალდებულების რეალური შესრულება, როგორც ქართული ნასყიდობის სამართლიდან, ასევე ვენის კონვენციიდან გამომდინარე, წარმოადგენს დაზარალებული მხარის უპირატეს მეორად მოთხოვნას, რაც ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულების სავალდებულოობის პრინციპის (Pacta sunt servanda) გამოხატულებაა – სწორედ შესრულების

²⁷¹ *მაჩალაძე ს.*, ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათა შედარებითი ანალიზი), ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, 90.

²⁷² *ჩაჩავა ს.*, მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, 71; *შენგელია ე., ყანდაშვილი ი.*, საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ ვენის კონვენციის მოქმედება საქართველოში, მართლმსაჯულება, №3, 2008, 19.

²⁷³ *ჩაჩავა ს.*, მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, 61.

მიღებაა მხარეთა უპირატესი ინტერესი, მყიდველმა უნდა მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, რადგან, შესაძლოა, მას სხვაგვარად ხელი არ მიუწვდებოდეს ამ პროდუქციაზე, ზიანის ანაზღაურების მიღების უფლება კი ამ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს მისი ინტერესების სრულფასოვნად დაცვას.²⁷⁴

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ნასყიდობის სამართალიც და ვენის კონვენციაც დაზარალებული მხარის უპირატეს მეორად მოთხოვნად დამატებით შესრულებას მიიჩნევს²⁷⁵, შეიძლება ითქვას, რომ სსკ ვენის კონვენციასთან შედარებით, აღნიშნული უფლების განხორციელების მეტ გარანტიას იძლევა. პირველ რიგში, აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითია დავის განმხილველი სასამართლოსთვის ვენის კონვენციის 28-ე მუხლით მინიჭებული შესაძლებლობა არ გამოიტანოს გადაწყვეტილება ვალდებულების შესრულების დაკისრების შესახებ, თუ იგი ამგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა დავის საკუთარი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად განხილვისას. მოცემულ საკითხთან მიმართებით, ერთგვაროვანი მიდგომის არ არსებობის გამო, დაზარალებულ მხარეს, შესაძლოა, უარი ეთქვას ვალდებულების რეალური შესრულების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმის მიხედვით, თუ რომელი სამართლებრივი სისტემის შესაბამისად იქნება განხილული დავა. ზემოაღნიშნული დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა დამატებითი ვადის დაწესებასთან მიმართებით სსკ-სა და ვენის კონვენციით აღიარებული მიდგომები: სსკ-ს მიხედვით, დაზარალებული მხარე ვერ მიმართავს ვერცერთ სხვა მეორადი მოთხოვნის უფლებას მანამ, სანამ უშედეგოდ არ გავა ვალდებულების შესრულებისათვის დაწესებული დამატებითი ვადა (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სავალდებულო არ არის დამატებითი ვადის დაწესება). ვენის კონვენცია, მართალია, ითვალისწინებს დამატებითი ვადის დაწესების მექანიზმს, თუმცა აქ იგი იმ დატვირთვის არ ატარებს, რასაც სსკ-ში. ვენის კონვენციის მიხედვით, ასეთი ვადის დაწესება, ჩვეულებრივ, დაზარალებული მხარის არჩევანს წარმოადგენს.²⁷⁶ მაგალითად, ხელშეკრულების ფუნდამენტური დარღვევის შემთხვევაში დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს გავიდეს

²⁷⁴ *Boghossian N.*, A Comparative Study of Specific Performance Provisions in the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, 1999-2000, 63, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/boghossian.html>>, [17.06.2019].

²⁷⁵ *Schneider E. C.*, The Seller's Right to Cure under the Uniform Commercial Code and the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, *Ariz. J. Int'l & Comp. L.*, Vol. 7, 1989-1990, 78, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/schneider.html>>, [24.04.2019];

²⁷⁶ *DiPalma M.*, Nachfrist under National Law, the CISG, and the UNIDROIT and European Principles - A Comparison, *International Contract Adviser (Kluwer)*, Vol. 5, No. 1, 1999, 3, <http://www.sisudoc.org/cisg/en/pdf/nachfrist_under_national_law_the_cisg_and_the_unidroit_and_european_principles_a_comparison.maryellen_dipalma.landscape.a4.pdf>, [15.06.2019].

ხელშეკრულებიდან მეორე მხარისთვის დამატებითი ვადის დაწესების გარეშე. ამგვარად, დაზარალებულ მხარეს, რომელიც ვალდებულების რეალური შესრულების მიღებას ესწრაფვის, სსკ აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების მეტ გარანტიას აძლევს, ვიდრე – ვენის კონვენცია.

თუმცა სსკ-ს უპირატესობად ვერ ჩაითვლება ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას გამყიდველის მოვალეობების 490-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემული ფორმულირება, რომელიც ადგენს გამყიდველის ვალდებულებას შეცვალოს ნაკლიანი ნივთი, თუკი ასეთი ნაკლი აღმოაჩნდება გვაროვნულ ნივთს. აღნიშნული დანაწესი ნაკლის მქონე გვაროვნული ნივთის შეცვლის ვალდებულებას ითვალისწინებს მიუხედავად იმისა, ნაკლი არის თუ არა არსებითი ხასიათის. ამგვარი მოწესრიგების პირობებში, ნივთის ყოველგვარი ნაკლი წარმოშობს მყიდველის უფლებას მოითხოვოს ნაკლიანი ნივთის შეცვლა, რაც მძიმე მდგომარეობაში აყენებს გამყიდველს, რომლისთვისაც, შესაძლოა, ბევრად მარტივი ყოფილიყო ნაკლის გამოსწორება. აღნიშნული საკითხის ოპტიმალურ მოწესრიგებას შეიცავს ვენის კონვენცია, რომელიც გამყიდველს ნაკლიანი ნივთის შეცვლას მხოლოდ იმ შემთხვევაში ავალდებულებს თუ ნივთის ნაკლი მნიშვნელოვნად არღვევს ხელშეკრულებას, სხვა შემთხვევაში გამყიდველს მხოლოდ ნაკლის გამოსწორება ევალება.²⁷⁷ ამდენად, სასურველია სსკ-ს 490-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა ან უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი, ან, თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს და ნივთის ნაკლი მნიშვნელოვნად არღვევს ხელშეკრულებას, შეცვალოს ნივთი საამისოდ აუცილებელ ვადაში.“

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვენის კონვენციის შესაბამის ნორმასთან²⁷⁸ შედარებით, ნაკლებ ინფორმაციულია სსკ-ს 488-ე მუხლი, რომელიც ნივთობრივად უნაკლო ნივთის ცნებას განსაზღვრავს. მიზანშეწონილია, კანონმდებელმა სსკ-ს 488-ე მუხლში მეტად დააკონკრეტოს ის შემთხვევები, როდესაც ნივთი ნაკლის მქონედ მიიჩნევა.

მეორადი მოთხოვნის უფლებათა განხილვამ ცხადყო, რომ თუ ერთ შემთხვევაში მხარეს კანონი ავალდებულებს კონკრეტული მეორადი მოთხოვნის უფლების გამოყენებას, სხვა შემთხვევაში მას საკუთარი არჩევანი უზღუდავს ამა თუ იმ სამართლებრივი დაცვის საშუალებისთვის მიმართვის შესაძლებლობას, იმის მიხედვით თუ რომელ მათგანს გამოიყენებს თავდაპირველად.

სსკ-ს მიხედვით, მყიდველს შეუძლია გამოიყენოს ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლება იმ შემთხვევაში, როდესაც იგი

²⁷⁷ იხ. Cisg art. 46.

²⁷⁸ იხ. Cisg art. 35.

გამყიდველისაგან არ ითხოვს დამატებით შესრულებას გამყიდველისათვის საამისოდ მიცემული ვადის გასვლის შემდეგ და არც ხელშეკრულებაზე ამბობს უარს. მსგავსად აწესრიგებს მოცემულ საკითხს ვენის კონვენციაც, იმ განსხვავებით, რომ მყიდველი ვალდებული არ არის ფასის შემცირებამდე ვალდებულების შესასრულებლად დამატებითი ვადა განუსაზღვროს გამყიდველს. სასურველია სსკ-მ გაიზიაროს აღნიშნული მიდგომა და მყიდველს მიანიჭოს უფლება შესრულებისთვის დამატებითი ვადის დაწესების გარეშე მიიღოს ნაკლიანი ნივთი და პარალელურად შეამციროს მისი ფასი, რითაც მყიდველს დროის დაზოგვის შესაძლებლობა მიეცემა. ამგვარი მიდგომით არც გამყიდველის ინტერესი შეილახება არათანაზომიერად, რამდენადაც დამატებითი შესრულებისთვის ვადის განსაზღვრის შემთხვევაში მას მაინც ეკისრება ვალდებულების შესრულების დაყოვნებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, რომ არაფერი ვთქვათ დამატებითი შესრულებისთვის გასაწევ ხარჯზე.

სსკ-ს მიხედვით, მხარე მოკლებულია შესაძლებლობას უარი თქვას ხელშეკრულებაზე მანამ, სანამ დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის უფლებას არ გამოიყენებს²⁷⁹, ამავე დროს, ხელშეკრულებიდან გასვლისათვის საჭიროა, რომ ვალდებულების დარღვევა იყოს არსებითი ხასიათის²⁸⁰, მაშინ, როდესაც ვენის კონვენციის მიხედვით დაზარალებულ მხარეს შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან ნებისმიერ შემთხვევაში, თუკი მეორე მხარის მიერ ვალდებულების დარღვევა წარმოადგენს ხელშეკრულების ფუნდამენტურ დარღვევას.²⁸¹ ვენის კონვენციის ამგვარი მიდგომა არ ავალდებულებს რა დაზარალებულ მხარეს, თავდაპირველად, რეალური შესრულების მოთხოვნას, საფრთხეს უქმნის აღნიშნული მეორადი მოთხოვნის პრიმატს.

ამასთან, რამდენადაც სსკ მხარეს არ აძლევს უფლებას გავიდეს ხელშეკრულებიდან უმნიშვნელო დარღვევის არსებობის შემთხვევაში, სასურველია იგი შეიცავდეს არსებითი დარღვევის ნორმატიულ მოწესრიგებას ისე, როგორც ამას აკეთებს ვენის კონვენციის 25-ე მუხლი: „ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევა არსებითია, თუ ამას მოყვა მეორე მხარის ისეთი ზიანი, რომ ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანწილად კარგავს იმას, რისი იმედიც ხელშეკრულების საფუძველზე სამართლიანად უნდა ჰქონოდა“.

²⁷⁹ ეს წესი არ მოქმედებს, სსკ-ს 405-ე მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრული შემთხვევების არსებობისას.

²⁸⁰ იხ. სსკ-ს 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

²⁸¹ იხ. Cisg art. 49 (1) (a); 64 (1) (a).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სსკ არ განსაზღვრავს ვალდებულების დარღვევის ერთიან ცნებას და დარღვევის ცალკეული სახეების საკანონმდებლო მოწესრიგება გაბნეულია სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულებების მომწესრიგებელ ნორმებში²⁸², რაც მიჩნეულ უნდა იქნეს სსკ-ს ხარვეზად. სასურველია, სსკ-მ გაიზიაროს აღნიშნულთან მიმართებით ვენის კონვენციის დახვეწილი სისტემური მოწესრიგება.

რაც შეეხება ზიანის ანაზღაურების მეორად მოთხოვნას, ამ მხრივ სსკ-სა და ვენის კონვენციის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. სამართლებრივი დაცვის ამა თუ იმ საშუალებისთვის მიმართვა დაზარალებულ მხარეს არ ართმევს უფლებას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია კუმულაციურად არსებობდეს როგორც რეალური შესრულების, ასევე ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლებებთან, თუმცა ფასის შემცირებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები, ჩვეულებრივ, გამორიცხავენ ერთმანეთს.

ამდენად, დაზარალებულმა მხარემ ფრთხილად უნდა შეარჩიოს თუ რომელი სამართლებრივი დაცვის საშუალებას მიმართავს თავდაპირველად და ხელშეკრულებიდან გასვლის გადაწყვეტილების მიღებამდე, ისარგებლოს იმ მხარდაჭერით, რაც მას რეალური შესრულების მოთხოვნის შემთხვევაში აქვს კანონის მხრიდან, რადგან მას შემდეგ, რაც იგი უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, ორივე მხარე თავისუფლდება ნაკისრ მოვალეობათა შესრულების ვალდებულებისაგან და დაზარალებულ მხარეს მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეეძლება,²⁸³ რაც ხელშეკრულების დადებისას არ წარმოადგენს მხარის მთავარ მოტივს.

²⁸² ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2014, 263, <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/natia_chitashvili.pdf>, [12.05.2019];

²⁸³ *Babiak A.*, Defining "Fundamental Breach" Under the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, 1992, 128, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/babiak.html>>, [10.06.2019]; *Shen J.*, The Remedy of Requiring Performance under the CISG and the Relevance of Domestic Rules [particularly in the context of China-related sales transactions], 1996, 275, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/shen1.html>>, [25.06.2019].

ბიბლიოგრაფია

ქართულ ენაზე:

1. *ახვლედიანი ზ.*, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 1999.
2. *ბაჩიაშვილი ვ.*, დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008.
3. *ბეგიაშვილი ნ.*, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), სამართლის ჟურნალი „სარჩევი“, №1(2), 2011.
4. *ბილინგი ჰ., ლუტრინგჰაუსი პ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009.
5. *ზოიძე ბ.*, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005.
6. *ზოიძე ბ., ჭანტურია ლ./ზოიძე ბ./ნინიძე თ./შენგელია რ./ხეცურიანი ჯ.* (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001.
7. *იან კროპჰოლერი*, გსკ-ის კომენტარი, თბილისი, 2014.
8. *კანდელჰარდი რ.*, რეალური შესრულება თუ ზიანის ანაზღაურება: საერთაშორისო კონსენსუსი? საიუბილეო კრებული „სერგო ჯორბენაძე – 70“, თბილისი, 1996.
9. *მაჩალაძე ს.*, ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათა შედარებითი ანალიზი), ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004.
10. *მაჭარაძე მ.*, ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა — განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008.
11. *მესხიშვილი მ.*, ნივთობრივი ნაკლის ცნება გერმანულსა და ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004.
12. *თოდუა მ., ვილემსი ჰ.*, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006.

13. ფიფია ა., ხელშეკრულებიდან გასვლის კონტინენტურეკროპული და ანგლოამერიკული სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი მახასიათებლები და მათი გავლენა ქართულ სამართალზე, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008.
14. შენგელია ე., ყანდაშვილი ი., საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ ვენის კონვენციის მოქმედება საქართველოში, მართლმსაჯულება, №3, 2008.
15. ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2010.
16. ჩაჩავა ს., მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004.
17. ჩაჩავა ს., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge., 29.03.2016, მუხ. 489.
18. ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2014.
19. ძლიერიშვილი ზ., ვალდებულების შესრულება, თბილისი, 2006.
20. ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014.

უცხოურ ენაზე:

1. *Andersen C.B.*, Comparative Analysis: Selected Notice Requirements under CISG, PECL and UNIDROIT Principles: CISG Arts. 39 & 26; UNIDROIT Principles Arts. 1.9, 3.14, 7.3.2.; PECL Arts. 1.303, 3.304, 4.112, 9.303, 13.104, 2004.
2. *Andersen C.B.*, General Principles of the CISG - Generally Impenetrable? 2008.
3. *Babiak A.*, Defining "Fundamental Breach" Under the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, 1992.
4. *Bailey J. E.*, Facing the Truth: Seeing the Convention on Contracts for the International Sale of Goods as an Obstacle to a Uniform Law of International Sales, Cornell International Law Journal, Vol. 32, Iss., 2, 1999.
5. *Basedow J.*, Towards a Universal Doctrine of Breach of Contract: The Impact of the CISG, 2005.
6. *Bergsten E. E., Miller A. J.*, The Remedy of Reduction of Price, American Journal of Comparative Law, Vol. 27, Iss. 2-3, 1979.

7. *Bianca C M., Bonell M J.*, Commentary on the International Sales Law: The 1980 Vienna Sales Law, Giuffrè: Milan, 1987.
8. *Blase F., Höttler P.*, Remarks on the Damages Provisions in the CISG, Principles of European Contract Law (PECL) and UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (UPICC), 2004.
9. *Boghossian N.*, A Comparative Study of Specific Performance Provisions in the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, 1999-2000.
10. *Bonell M. J.*, THE UNIDROIT PRINCIPLES OF INTERNATIONAL COMMERCIAL CONTRACTS AND CISG -- ALTERNATIVES OR COMPLEMENTARY INSTRUMENTS ? Uniform Law Review, Vol. 1, Iss., 1, 1996.
11. *Bridge M.*, A Law for International Sales, 2007.
12. *Bridge M.*, Good Faith, the Common Law, and the CISG, Uniform Law Review, Vol. 22, Iss., 1, 2017.
13. *Cerqueira G.*, Defective Performance in Contracts for International Sale of Goods : A comparative analysis between the Brazilian Law and the 1980 United Nations Convention on Contracts for the International Sales of Goods, 2005.
14. *Date-Bah S. K.*, in *Bianca C M., Bonell M J.*, Commentary on the International Sales Law: The 1980 Vienna Sales Law, Giuffrè: Milan, 1987.
15. *Da Silveira M. A.*, Termination of Contract under the Principles of European Contract Law - A Comparative Study, 2006.
16. *DiPalma M.*, Nachfrist under National Law, the CISG, and the UNIDROIT and European Principles - A Comparison, International Contract Adviser (Kluwer), Vol. 5, No. 1, 1999.
17. *Enderlein, F.*, Rights and Obligations of the Seller under the UN Convention on Contracts for the International Sale of Goods, 1996.
18. *Enderlein F., Maskow D.*, International Sales Law : United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods : Convention on the Limitation Period in the International Sale of Goods : Commentary, New York, 1992.
19. *Felemegas J.*, Comparison between provisions of the CISG regarding the right to require specific performance (Arts. 28, 46 and 62) and the counterpart provisions of the UNIDROIT Principles (Arts. 7.2.1 - 7.2.5), 2005.
20. *Ferrari F.*, Fundamental Breach of Contract Under the UN Sales Convention -- 25 Years of Article 25 CISG --, Journal of Law and Commerce, Vol. 25, 2006.

21. *Ferrari F.*, Tribunale di Vigevano: Specific Aspects of the CISG Uniformly Dealt With, 2001.
22. *Fitzgerald J.*, CISG, Specific Performance, and the Civil Law of Louisiana and Quebec, *Journal of Law and Commerce*, Vol. 16, 1997.
23. *Flambouras D. P.*, The Doctrines of Impossibility of Performance and Clausula Rebus SIC Stantibus in the 1980 Convention on Contracts for the International Sale of Goods and the Principles of European Contract Law - A Comparative Analysis, *Pace International Law Review*, Vol. 13, Iss. 2, 2001.
24. *Flechtner H. M.*, Buyers' Remedies in General and Buyers' Performance-Oriented Remedies, *Journal of Law and Commerce*, Vol. 25, 2005-2006.
25. *Gabriel H. D.*, The Buyer's Performance Under the CISG: Articles 53-60 Trends in the Decisions, *Journal of Law and Commerce*, Vol. 25, 2005-2006.
26. *Gonzalez O.*, *Remedies under the U.N. Convention for the International Sale of Goods*, *International Tax & Business Lawyer*, Vol. 2, Iss. 1, 1984.
27. *Graffi L.*, Case Law on the Concept of "Fundamental Breach" in the Vienna Sales Convention, *International Business Law Journal*, No. 3, 2003.
28. *Herman S.*, Specific Performance: a Comparative Analysis, *Edinburgh Law Review*, Vol. 7, Iss., 1, 2003.
29. *Honnold J. O.*, *Uniform Law for International Sales under the 1980 United Nations Convention*, Hague, 3rd ed., 1999.
30. *Jafarzadeh M.*, THE BUYER'S REMEDIES FOR SELLER'S NON-CONFORMING DELIVERY, A Comparative Study under English Law, the 1980 UN Convention on Contracts for the International Sale of Goods and Shiah Law, 1998.
31. *Jenkins S. H.*, Exemption for Nonperformance: UCC, CISG, UNIDROIT Principles -- A Comparative Assessment, 1998.
32. *Kabik M.*, Through the Looking-Glass: International Trade in the Wonderland of the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, *International Tax & Business Lawyer*, Vol. 9, Iss., 2, 1992.
33. *Karton J. D., de Germiny L.*, Has the CISG Advisory Council Come of Age, *Berkeley Journal of International Law*, Vol. 27, Iss., 2, 2009.
34. *Kastely A. H.*, The Right to Require Performance in International Sales: Towards an International Interpretation of the Vienna Convention, 1988.
35. *Kazimierska A.*, The Remedy of Avoidance under the Vienna Convention on the International Sale of Goods, 1999-2000.

36. *Kee C.*, Remedies for breach of contract where only part of the contract has been performed: Comparison between provisions of CISG (Articles 51, 73) and counterpart provisions of the Principles of European Contract Law, 2002.
37. *Khandani K.M.*, Does the CISG, compared to English law, put too much emphasis on promoting performance of the contract despite a breach by the seller? 2012.
38. *Koskinen J.*, CISG, Specific Performance and Finnish Law, 1999.
39. *Leisinger B. K.*, Fundamental Breach Considering Non-Conformity of the Goods, 2007.
40. *Liu C.*, Additional Period (Nachfrist) for Late Performance: Perspectives from the CISG, UNIDROIT Principles, PECL and Case Law, 2nd ed., 2005.
41. *Liu C.*, THE CONCEPT OF FUNDAMENTAL BREACH: Perspectives from the CISG, UNIDROIT Principles and PECL and case law, 2nd ed., 2005.
42. *Liu C.*, Remedies for Non-performance - Perspectives from CISG, UNIDROIT Principles & PECL, 2003.
43. *Magnus U.*, The Vienna Sales Convention (CISG) between Civil and Common law – Best of all Worlds? *Journal of Civil Law Studies*, Vol. 3, No. 1, 2010.
44. *Mak V.*, Performance-oriented remedies in European sale of goods law, Oxford and Portland, 2009.
45. *Masidlauskiene V.*, THE CISG: ADVANTAGES AND DISADVANTAGES WHEN COMPARED TO SOME NATIONAL LAWS, 2010 – 2011.
46. *Mullis A.*, Avoidance for Breach under the Vienna Convention; A Critical Analysis of Some of the Early Cases, 1998.
47. *Nyer D.*, Withholding Performance for Breach in International Transactions: an Exercise in Equations, Proportions or Coercion? *Pace International Law Review*, Vol. 18, Iss. 1, 2006.
48. *Piliounis P. A.*, The Remedies of Specific Performance, Price Reduction and Additional Time (Nachfrist) Under the CISG: Are These Worthwhile Changes or Additions to English Sales Law? 2000.
49. *Schlechtriem P.*, Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), Oxford, 2nd ed., 1998.
50. *Schlechtriem P.*, Damages, avoidance of the contract and performance interest under the CISG, 2005.
51. *Schlechtriem P.*, Subsequent Performance and Delivery Deadlines - Avoidance of CISG Sales Contracts Due to Non-conformity of the Goods, 2006.

52. *Schlechtriem P.*, Uniform Sales Law - The UN-Convention on Contracts for the International Sale of Goods, Vienna, 1986.
53. *Schneider E. C.*, The Seller's Right to Cure under the Uniform Commercial Code and the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, Arizona Journal of International and Comparative Law, Vol. 7, 1989-1990.
54. *Shen J.*, The Remedy of Requiring Performance under the CISG and the Relevance of Domestic Rules [particularly in the context of China-related sales transactions], 1996.
55. *Southerington T.*, Impossibility of Performance and Other Excuses in International Trade, 2001.
56. *Van Alstine M. P.*, Consensus, Dissensus, and Contractual Obligation Through the Prism of Uniform International Sales Law, 1996.
57. *Walt S.*, For Specific Performance Under the United Nations Sales Convention, Texas International Law Journal, Vol. 26, Iss., 2, 1991.
58. *Zahraa M., Ghith A. A.*, Specific Performance in the Light of the CISG, the UNIDROIT Principles and Libyan Law, Uniform Law Review, Vol. 7, Iss. 3, 2002.
59. *Ziegel J. S.*, The Remedial Provisions in the Vienna Sales Convention: Some Common Law Perspectives, 1984.
60. *Zimmerman R.*, Breach of Contract and Remedies under the New German Law of Obligations, Roma, 2002.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 8 თებერვლის განჩინება საქმეზე: №ას-1234-2018.
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 27 ოქტომბრის განჩინება საქმეზე: №ას-373-347-2017.
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-940-2018.
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 ნოემბრის განჩინება საქმეზე: №ას-629-588-2017.
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 16 ივნისის განჩინება საქმეზე: №ას-560-519-2017.
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 15 სექტემბრის განჩინება საქმეზე: № ას-845-811-2016.
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-486-467-2016.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-24-22-2013.
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 24 ნოემბრის განჩინება საქმეზე: № ას-859-825-2016.
10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 ნოემბრის განჩინება საქმეზე: №ას-719-687-2016.
11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 23 მარტის განჩინება საქმეზე: №ას-146-142-2016.
12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 26 ნოემბრის განჩინება საქმეზე: №ას-640-608-2013.
13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ივლისის განჩინება საქმეზე: №ას-1209-1169-2016.
14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 4 ივნისის განჩინება საქმეზე: №ას-12-12-2012.
15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 1 დეკემბრის განჩინება საქმეზე: №ას-1003-924-2017.
16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 7 ივლისის განჩინება საქმეზე: №ას-681-635-2017.
17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-75-71-2017.
18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-793-760-2016.
19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 იანვრის განჩინება საქმეზე: №ას-671-642-2016.
20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 7 მარტის განჩინება საქმეზე: №ას-854-804-2015.
21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 3 ივლისის განჩინება საქმეზე: №ას-725-693-2014.
22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 სექტემბრის განჩინება საქმეზე: №ას-956-918-2014.

**უცხოური სასამართლოებისა და საარბიტრაჟო ინსტიტუტების
გადაწყვეტილებები:**

1. “Wood case”, County Court Willisau (Switzerland), 12 March 2004, №10 01 5, <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/040312s1.html>>, [25.06.2019].
2. Société Romay AG v. SARL Behr France, Appellate Court Colmar, (France), 12 June 2001, №1 A 199800359, <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/010612f1.html>>, [25.06.2019].

3. “*Pig case*”, District Court Bielefeld (Germany), 2 August 1996, №12 O 120/95, <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/960802g1.html>>, [20.06.2019].
4. ICC Arbitration Case No. 8786 of January 1997, <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/978786i1.html>>, [10.05.2019].
5. E.K., L. und A. v. F., Supreme Court Bundesgericht (Switzerland), 28 October 1998, №4C.179/1998/odi, <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/981028s1.html>>, [7.05.2019].
6. Société Sacovini/M. Marrazza v. Sté les fils de Henri Ramel/Sté Bonfils Georges/Sté Preau et compagnie, Supreme Court France, 23 January 1996, №173 P/B 93-16.542, <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/960123f1.html>>, [7.05.2019].
7. “*Shoes case*“, Appellate Court Frankfurt, (Germany), 18 January 1994, №5 U 15/93, <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/940118g1.html>>, [7.05.2019].
8. “*Saltwater isolation tank case*“, Commercial Court Zürich (Switzerland), 26 April 1995, № HG 920670, <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/950426s1.html>>, [25.06.2019].
9. “*Thread case*“, Appellate Court Düsseldorf, (Germany), 21 April 2004, № 15 U 222/02, <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/040421g2.html>>, [24.06.2019].
10. “*Construction machine case*“, Supreme Court Switzerland, 19 February 2004, №4C.307/2003/ech, <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/040219s1.html>>, [17.05.2019].
11. “*Filters case*“, District Court Mönchengladbach, (Germany), 15 July 2003, №7 O 221/02, <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/030715g1.html>>, [29.05.2019].
12. “*Shoes case*“, District Court München, (Germany), 20 February 2002, №10 O 5423/01, <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/020220g1.html>>, [29.05.2019].
13. “*Shoes case*“, Appellate Court München, , (Germany), 1 July 2002, №10 O 5423/01, <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/020701g1.html>>, [29.05.2019].

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური გამოცემა, „უწყებანი“, საკანონმდებლო დამატება, №31.
2. German Civil Code – Bürgerliches Gesetzbuch, Bundesministerium der Justiz, Juris GmbH, Saarbrücken, 2005.
3. Principles of European Contract Law (PECL) – Parts I and II - Revised 1998, Part III –2002.
4. United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) 1980, United Nations Commission on International Trade Law,

United Nations Publication – Sales No. E. 10. V.14, United Nations, New York, November, 2010.

5. UNIDROIT Contract Principles/UPICC – UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, International Institute for the Unification of Private Law (UNIDROIT), Rome, 2004.